# ღია წერილი

საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს



საქართველოს გენერალურ პროკურორს არჩილ კბილაშვილს



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს



# საერთო გაზეთი

№46 (230) ● 7-13.XI.2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

20 იანვარს გასდის სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა და ოქტომბრამდე პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ხდება დავით უსუფაშვილი

## saqarTvelos rkinigza _ erovnuli katastrofis zona!

მაგათ თუ სიცოცხლე უნდათ, საქართველოს ციხეში დაეტიონ...

am werils rom waikiTxaven, zogierTi `a-s-o~ SeiZleba `trusikidan~ amoxtes, magram amoxtes _ sul fexebze mkidia...

თუ გინდათ იყოთ ქართველები, მუტრუკებო, ადექით ფეხზე!

## daarsdeba Tu ara qarTvelTa gaqarTvelebis saministro?

ISSN 2233-3783









## Cikatiloebi qarTul jarSi

იქ იყო უზარმაზარი ხორცსაკეპი, რომლებშიც გვამებს ატარებდნენ და მერე მტკვარში ყრიდნენ...

## lado bedukaZis skandaluri aRiarebiTi Cveneba

dasasruli. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #45

ვინ გაუშვებს სოზარ სუბარის სამინისტროს ეზოში ინდაურს?

## gmirobidan kvazigmirobamde

მიეცით საქართველოს საშუალება, თავი მოაწონოს რუსეთს

## `zviangebis~ dasasruli

დაიწყებენ თუ არა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები გაზეთების კითხვას?

# dafuZnda sazogadoebrivi moZraoba `lazare~!

2012 წლის 2 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე", რომლის მიზანია ეროვნულ ფასეულობათა და ღირებულებათა დაცვა.

**მოძრაობის დაფუძნების ინიციატორია პოეტი რეზო ამაშუკელი.**



## მოძრაობის წევრები:

**მარიამ ლორთქიფანიძე,
რეზო ჩხეიძე,
ჭაბუა ამირეჯიბი,
რობერტ სტურუა,
გიგა ლორთქიფანიძე,
ოთარ მელვინეთუხუცესი,
როინ მეტრეველი,
ჯიბსონ ხუნდაძე,
ჯემალ აჯიაშვილი,
თამაზ წივწივაძე,
ვაჟა ლორთქიფანიძე,
ანზორ ერქომაიშვილი,
ანზორ მელია,
ილია პატაშური,
ალეკო ცინცაძე,
გოგი ხოშტარია,
დიმა ჯაიანი,
ბაკურ გულუა,
სერგო ვარდოსანიძე,
გირვერ ფარულავა,
ფრიდონ ინჯია,
ელიზბარ ჯაველიძე,
მარიამ ცაცანაშვილი,
გელა ქოქიაშვილი,
ჯონი ხეცურიანი,
ჯემალ აზარიაშვილი,
თამრიკო ჭოხონელიძე,
მინდია უგრეხელიძე,
ლაშა ნადარეიშვილი,
ვახტანგ ხარჩილავა,
ჯაბა ხუბუა
ნუგზარ ბაგრატიონი,
ბაჩანა ბრეგვაძე,
იური ვაზაგაშვილი,
არნო ხიდირბეგიშვილი,
ზაზა ხატიაშვილი,
სოსო მანჯავიძე,
დავით მხეიძე,
ლექსო კობაიძე,
ლევან თოდაძე,
გიგა ალბორაშვილი,
ნათია კეკაშვილი,
გიორგი სარიშვილი.**

## ნორა კვიციანი პატიმრობიდან გაათავისუფლდა



რუსთავის ქალთა სასჯელაღსრულების №5 დაწესებულებიდან ხუთი პატიმარი ქალი გაათავისუფლა.

გათავისუფლებულებს შორის არის ემზარ კვიციანის და, ნორა კვიციანი, სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის სოზარ სუბარის თქმით, გუშინ შეიქმნა კომისია, რომლის რეკომენდაციის საფუძველზე გათავისუფლდა ნორა კვიციანი და კიდევ ოთხი მსჯავრდებული.

გათავისუფლებულმა ქალბატონებმა ქალთა კოლონია უკვე დატოვეს.

შეგახსენებთ, რომ ნორა კვიციანი კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის დაა. უფლებადამცველების ნაწილი მას პოლიტიკურ პატიმრად მიიჩნევდა და აცხადებდნენ, რომ ნორა კვიციანი წინა ხელისუფლებამ მის ძმაზე ემზარ კვიციანზე ზეწოლის მიზნით დააკავა.

**„მედიანიუსი"**

# საქართველოს პრემიერ—მინისტრის პრესსამსახურის განცხადება



საქართველოს პრემიერ—მინისტრისთვის კვლავ პრიორიტეტულია კახეთის რეგიონისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სრულფასოვნად ანაზღაურების საკითხი და როგორც არაერთხელ განაცხადა, მზად არის დაეხმაროს კახელ გლეხებს.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების ფონზე, აღსრულების ბიურო, როგორც ჩანს, შეეცადა ხელი აეღო დანაშაულებრივ ქმედებაზე და ყოველგვარი მოთხოვნის გარეშე, საკუთარი ნებით, ჯარიმის სახით აღსრულებული 80 მილიონი ლარი ბიძინა ივანიშვილს უკან დაუბრუნა, მიზეზად კი სააღსრულებო საქმის წარმოების პროცესში დაშვებული პროცედურული დარღვევები დაასახელა.

გვინდა განვაცხადოთ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება 80 მილიონ ლართან დაკავშირებით ამ დრომდე ძალაში რჩება და კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ თავის დროზე, სააღსრულებო ბიურომ სრულიად უკანონოდ მოახდინა „ქართუ ჯგუფის" წილების მიმართ იძულებითი აღსრულების განხორციელება.

აღნიშნული ქმედებით ცალსახად ჩანს, რომ, როგორც დაჯარიმების პროცესი, ასევე მისი აღსრულება და შემდგომ ფულის უკან დაბრუნება კანონთან შეუსაბამოა და საჭიროებს საქმის მოკვლევას. ამდენად, ამ თანხის რაიმე სახით გამოყენება, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენამდე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

მთავრობის ახალმა შემადგენლობამ კახეთის რეგიონისთვის სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის საჭირო ფულადი სახსრების მოძიება პრეზიდენტისა და პრემიერის სარეზერვო ფონდებში სცადა, თუმცა აღნიშნულ ფონდებში თანხები სრულად გახარჯული აღმოჩნდა. შესაბამისი ხარჯები გათვალისწინებული იყო ბიუჯეტში, თუმცა გაირკვა, რომ ძველმა მთავრობამ მისი დიდი ნაწილი არამიზნობრივად გახარჯა და დაზარალებულ მოსახლეობამდე კომპენსაცია არ მივიდა.

**P.S. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუ" უკვე დაიწყო კახეთის რეგიონისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის შესწავლა და უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს დაზარალებულებისთვის სამართლიანი და სრულყოფილი კომპენსაციების გაცემას.**

# afxazeTidan devnilo Zvirfaso Tanamemamuleno!

მე, ერთ-ერთი თქვენთაგანი, ტერენტი ხაბეიშვილის შვილი და ლადო ანდრონიკაშვილის მეუღლე მოგმართავთ! მამაჩემი სოხუმში ცნობილი რკინიგზელი გახლდათ, რომელსაც მთელი საქართველო იცნობდა. ასევე ცნობილი იყო ჩემი მეუღლე, სახელგანთქმული ექიმი მეან-გინეკოლოგი, ასობით ადამიანისთვის დიდი ამაგის დამდები.

თქვენთან ერთად მეც დავკარგე სოხუმში კოპწიად მოვლილი ეზო-კარმიდამო. ის, რაც იქ დავტოვეთ, იმის ანაზღაურება შეუძლებელია. იქ, ყოველ მტკაველში ჩვენი სული და გულია ჩარჩენილი. იქ ჩვენი მშობლების საფლავებია. საქართველოს ხელისუფლება, ცხადია, ვალდებულია თავის მოქალაქეებს უპატრონოს, მაგრამ არ შემიძლია გულგრილად ვუსმინო საუბარს ტანჯული დევნილების პატიოსნებაზე და ვუყურო იმას, რაც ამ დღეებში ხდება. უკვე არაერთგზის და არაერთხელ გავიგონეთ, რომ არიან დევნილები, რომელთაც რამოდენიმე ბინა აქვთ და ბინების გაქირავებით ბიზნესს აკეთებენ.



ჩვენ ყველამ დავინახეთ ჩვენი წინა ხელისუფლების უსინდისო ზეწოლა, როდესაც პარლამენტის პირველივე სხდომაზე ახალ საპარლამენტო უმრავლესობას ეკითხებოდნენ მოუხნეს თუ არა უკვე გლეხებს მიწა უფასოდ, აღასრულეს თუ არა თავიანთი დაპირება... ამას სთხოვდნენ ბიძინა ივანიშვილის გუნდს, ჯერ არ მისულს თავისი დანიშნულების ადგილზე, პარლამენტის პირველივე სხდომაზე.

ძვირფასო დევნილებო, თქვენი ხმაურიანი აქციები, შეჭრები საცხოვრებელი ფართის მოთხოვნებით, პრეტენზიები ახალი ხელისუფლებისადმი აშკარად ტოვებს სპეკულაციის შთაბეჭდილებას და გული მტკივა, რომ დევნილის, უდანაშაულოდ დასჯილი, მსხვერპლად განწირული ადამიანის სახელი ილახება.

**ბიძინა ივანიშვილმა, რომელმაც უკვე ამდენი სიკეთე გაუკეთა ჩვენს ხალხს, (აღარ ჩამოვთვლი სიკეთეებს) თავი გადადო, რომ ბოლომდე გაიტანოს სიკეთე თავისი ხალხისთვის, მშრომელი ქვეყნისთვის. კაცს, რომელსაც არაფერი არ აკლდა, ჩვენი სილატაკის ჭაობიდან ამოყვანისთვის პოლიტიკოსობა იტვირთა. ამას გაფრთხილება უნდა! მადლიერება დავანახოთ მას, ვაგრძნობინოთ მაინც....** თქვენი მოუთმენელი ზეწოლა იმ მთავრობის მორალს მიაგავს, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის პირველ დღესვე გადახნულ ველ-მინდვრებს სთხოვს ახალ ხელისუფლებას. ეს გამყიდველი, ქართული მიწა-წყლის გამნიავებელი ნაცმოძრაობის ხალხი პირობის შეუსრულებლობაში და პატიოსნებაში ედავება ბიძინა ივანიშვილს! ეს სირცხვილია! თქვენი მხრიდან მოუთმენლობა დღეს ხალხის მიერ უარყოფილი ხელისუფლების დავალებად და უხერხულ სპეკულაციად იკითხება. არ შეიძლება ადამიანმა თავისი გაჭირვებით ისპეკულაციოს, მითუმეტეს, არ შეიძლება ეს სპეკულაცია მიმართოს იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც შენს და შენი ოჯახის გადასარჩენად და საშველად მოვიდა. არ მინდა ასეთი სამარცხვინო საქმისთვის შეძლოს ვინმემ მართლა გაჭირვებული და მართლა გატანჯული დევნილების სუფთა სახელის გატალახიანება. სადაც ამდენი, ცოტაც მოვითმინოთ, ჩემო საყვარელო და ტანჯულო ხალხო! შველა კარზეა მომდგარი! დავაფასოთ ეს წყალობა ღვთისგან და მადლობა შევწიროთ. ვის ერჩით? ბიძინა ივანიშვილს? ამას ნუ ვიკადრებთ ჩემო საყვარელო დევნილებო, თქვენ შემოგევლეთ!

**ლამარა ხაბეიშვილი-ანდრონიკაშვილი**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# ღია წერილი

## საქართველოს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს

## საქართველოს გენერალურ პროკურორს არჩილ კბილაშვილს

## საქართველოს შსს მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს







სანამ მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, თავს ნებას მივცემ მცირე ფრაგმენტი შემოგთავაზოთ ჩემი წერილიდან „365 დღედ გაწერილი გმირობა“

*„ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია!*

*ბიძინა ივანიშვილი ეროვნული გმირია და ამ სიტყვებში არ არის იოტისოდენა გადაჭარბება და გაზვიადება — ის ნამდვილად ეროვნული გმირია.*

*ეს თავმდაბალი და ძალზე შინაური კაცი ერთი შეხედვით სულაც არ ჰგავს გმირის იმ სტერეოტიპს, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქართველი კაცის წარმოსახვაში ყალიბდებოდა, არ ჰგავს, მაგრამ ის ნამდვილად გმირია.*

*ვფიქრობ, ქართველ ხალხს ჯერჯერობით ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული ის, რაც 1 ოქტომბერს მოხდა.*

*ფაქტობრივად, ეს იყო არა რიგითი საპარლამენტო არჩევნების დღე, არამედ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გადამწყვეტი, დამაგვირგვინებელი ეტაპი და, მერწმუნეთ, არც ამ სიტყვებშია რაიმე გადაჭარბებული და გაზვიადებული“.*

რაც ახლა თქვენ აქ წაიკითხეთ, ნამდვილად არ დამიწერია იმისთვის, რომ ვინმესთვის დითირამბები მემღერა და ხოტბა-დიდება შემესხა.

ჩემი მიზანი ერთი იყო — თავისი ნამდვილი სახელი დამერქმია იმ ისტორიული მოვლენისთვის, რაც 1 ოქტომბერს მოხდა, რადგან ამის გარეშე შემდგომი სწორი ნაბიჯების გადადგმა გაგვიჭირდება.

ურთულესი, საბედისწერო დრო უდგას დღეს საქართველოს.

**1 ოქტომბერს არაფერი არ დამთავრებულა — მთავარი ომი საბოლოო გამარჯვებისთვის ახლა იწყება და ეს ომი ქართველი ხალხის გამარჯვებით დასრულდება თუ არა, ეს დიდად არის დამოკიდებული თქვენზე, ქალბატონო თეა, ბატონო არჩილ, ბატონო ირაკლი.**

სწორედ ამიტომ გწერთ თქვენ ამ წერილს, თქვენ და არა სხვებს.

ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე, ნამდვილად გულწრფელად ვამბობ — შესანიშნავი ადამიანები ბრძანდებით თქვენ და მიხარია, რომ ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის უმნიშვნელოვანეს ამ სამ უწყებას თქვენი სახით ასეთი წესიერი, ერთგული და პატრიოტი ადამიანები უდგანან სათავეში.

მიხარია და ამავე დროს თანაგიგრძნობთ კიდევაც — იმდენად დიდი პასუხისმგებლობის ტვირთი გაწევთ და ისეთ ურჩხულს ხართ შეჭიდებული...

პირდაპირ გეტყვით:

— თქვენზე და თქვენდამი დაქვემდებარებულ ამ სამ უწყებაზეა დღეს დამოკიდებული, გათავისუფლდება თუ არა საბოლოოდ საქართველო სააკაშვილის უსასტიკესი რეჟიმის ნარჩენებისგან და მიეცემა თუ არა ქვეყანას წინსვლის და განვითარების შანსი?

**უცნაური, არაადექვატური, არანორმალური სიტუაციაა დღეს ქვეყანაში — ნათლად და ცხადად არის ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ ამ ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანას დანაშაულებრივი, კრიმინალური რეჟიმი მართავდა, რომლის მიერ ჩადენილი უამრავი შემზარავი დანაშაული სახეზეა, ამავე დროს ამ დანაშაულობათა ჩამდენი დამნაშავეებიდან ზოგი პრეზიდენტია, ზოგი პარლამენტარი, ზოგიც ძველებურად აგრძელებს მუშაობას სახელმწიფო სტრუქტურებში.**

ისმის კითხვა: თუ ეჭვს არ იწვევს, რომ ეს ადამიანები დამნაშავეები არიან, მაშინ რატომ ყოვნდება მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების აღძვრა, რომ ეს ადამიანები დროულად წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და პასუხი აგონ ჩადენილ დანაშაულთა გამო?

ჩვენ ძალიან კარგად გვესმის, რომ საქმის ხელახლა გამოძიება და ამ საქმეში დამნაშავე პირების გამოვეთა დროს მოითხოვს, მაგრამ რა გაფერხებთ მაშინ, როცა დანაშაული სახეზეა და ამ დანაშაულის მონაწილე პირთა ვინაობაც ცნობილია?

ასე მაგალითად, **რატომ არ დაიკითხა აქამდე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც რამდენჯერმე ოფიციალურად განაცხადა, რომ სწორედ მან გასცა ბრძანება ეცერის სპეცოპერაციის დასაწყებად?**

**ამავე საქმესთან დაკავშირებით, რატომ არ დაიკითხა ამ სპეცოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ყოფილი შსს მინისტრი, აწ უკვე ვიცე-სპიკერი (!) გია ბარამიძე, რომელიც პირდაპირ მოითხოვს დამკითხეთო.**

რატომ არავინ არ უსრულებს ამ ადამიანს თხოვნას და რატომ არავინ არ დაუსვამს სათანადო კითხვებს?

როგორ ავხსნათ ის ამბავი, რომ მიუხედავად უმძიმესი დანაშაულის დამამტკიცებელი არაერთი უტყუარი ფაქტისა, ამ დანაშაულის ჩამდენი პერსონების პასუხისმგებლობის საკითხი ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

**რატომ არ დაკითხულა აქამდე ვანო მერაბიშვილი, სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით?**

აქაც ხომ დასადგენი და საიდუმლოებით მოცული არაფერია?

უკვე ბევრჯერ ითქვა, ძალიან ბევრჯერ ითქვა, რომ დაიწყება ყველა იმ საქმის ხელახალი გამოძიება, რომლებზეც საზოგადოება დიდი ხანია სამართლიან და ობიექტურ შეფასებას ითხოვს.

იმდენჯერ იქნა ნახსენები სიტყვა დაიწყება, რომ საქართველოს მოსახლეობას ლოგიკურად უჩნდება კითხვა:

**— კარგია, რომ დაიწყება, მაგრამ როდის დაიწყება — ხვალ, ზეგ, ერთი კვირის, ერთი თვის შემდეგ?**

**არ გიფიქრიათ იმაზე, რომ ხვალ, ზეგ, ერთი კვირის თუ ერთი თვის შემდეგ შეიძლება გვიანი იყოს?**

ხომ ცხადია, რომ ამ მასობრივ გაფიცვებს, აშკარად საბოტაჟის შემცველ ქმედებებს, ციხეებში ეპიდემიასავით აფეთქებულ მღელვარებებს სწორედ ამ დამნაშავე ელემენტების უჩინარი ხელი მართავს.

**„ნაციონალები“ რევანშისთვის ემზადებიან და, როგორც ირკვევა, უკან უხმობენ ქვეყნიდან გაქცეულ თანამოაზრეებს.** (ზოგიერთი მათგანი უკვე საქართველოშია).

აშკარად შემოგდებულ სატყუარას ჰგავს წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ მრავალგზის გაპიარებული განცხადება, რომ ისინი ექვსი თვის შემდეგ უკან ხელისუფლებაში აპირებენ მობრუნებას.

**ტყუილია ეს! „ნაციონალები“ ექვსი თვე ვერ დაიცდიან, რადგან ძალიან კარგად იციან, რომ ამ ხნის განმავლობაში მათი უმრავლესობა ციხეებში აღმოჩნდება, ამიტომ ისინი მოქმედებას დაიწყებენ ახლავე, დაუყოვნებლივ, ოპერატიულად, რომ მათთვის უაღრესად სახიფათო პროცესებს დაასწრონ.**

**ან თქვენ დროულად მოახდენთ მათ იზოლირებას და გაუვნებელყოფას ან ისინი დაგასწრებენ და ქვეყანას ქაოსში გახვევენ.**

ეს ელემენტარული ლოგიკაა და თუ ამ ლოგიკის შესაბამისად არ იმოქმედეთ, არ არის გამორიცხული, ქართული სახელმწიფოს არსებობას დიდი საფრთხე დაემუქროს.

1 ოქტომბერს ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა და ძალაუფლება თქვენ განდოთ, თქვენ ჩაგაბარათ, რომ მისი სახელით იმოქმედოთ და სამართალი აღადგინოთ.

წარმატება მინდა გისურვოთ და კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

**ვახტანგ ხარჩილავა**
**მწერალი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი**

# baCo Camovidaa...



ბაჩო ჩამოვიდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ხვალზეგ დიმაც ჩამოვა, ზურიკოც, „მასტერაც“, ეზუგბაიაც ჩამოვა და ვიქნებით ყველანი ერთად ტკბილად, თბილად და მხიარულად.

ბაჩო ჩამოვიდა და აქეთ შემოგვიტია:“ — რა ცოცხი, რისი ცოცხი, რა წამება, რისი წამება, რა 113 მილიონი, რა ციხე და პატიმრები, ერთი რეფორმატორი კაცი ვარ, რაებს მეკითხებით, თქვენ შიგ ხომ არა გაქვთო?

რაც მართალია, მართალია, ეს ფრაზა — თქვენ შიგ ხომ არა გაქვთ, ბაჩოს არ უთქვამს, თუმცა მის ნათქვამში სწორედაც ეს ფრაზა იგულისხმებოდა.

არ უთქვამს და აწი იტყვის, წინ დიდი დროა.

ბაჩანას არც ის უთქვამს — ჩამოვედი აგერ და ერთი ადგილი არ მომაჭამოს ვინმემო.

არ უთქვამს, მაგრამ ესეც იგულისხმებოდა.

— მაინც რატომ ჩამოვიდა ეს ბაჩო? რა უნდა? რა მიზანი ამოძრავებს? როგორ გაბედა აქ ჩამოსვლა? — ერთი ამბავია ატეხილი ქართულ მედიაში.

ბჭობენ, დაობენ, კამათობენ, მარჩიელობენ ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, ექსპერტები და დასკვნა ვერ გაუკეთებიათ — ბაჩოს ჩამოსვლა ახსნას არ ექვემდებარება.

მაინც რა გვითხრა ბატონმა ბაჩომ თავისი ჩამობრძანებით?

რა გვითხრა და-ფეხზე მკიდიხართ ყველანი, ფეხზე მკიდია მთელი საქართველო, მთელი ქართველი ხალხი. თქვენ ხომ არ გგონიათ, მართლაც თქვენ წყვეტთ რაიმეს ამ ქვეყანაში? ცოცხის ტარსაც შეგირჭობთ, „დუბინკასაც“, თავზეც დაგასაქმებთ და თითსაც ვერ დამაკარებთ, რადგან თქვენ არავინ არ ხართ და არაფერს არ წარმოადგენთ — აი, ეს გვითხრა.

არა, თქმით არ უთქვამს, მაგრამ თავისი ჩამოსვლით ზუსტად ამაზე მიგვანიშნა და ეს იგულისხმა.







# daiwyeben Tu ara axali xelisuflebis warmomadgenlebi gazeTebis kiTxvas?

— მე გაზეთებს არ ვკითხულობ! — ისე ამაყად განაცხადა წინა ხელისუფლების პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, თითქოს გაზეთების კითხვა სათაკილო საქმე ყოფილიყოს.

სტალინი სააკაშვილზე ნაკლები ბიჭი არ ყოფილა, მაგრამ ის კითხულობდა გაზეთებს, სააკაშვილი — არა.

როცა ქვეყნის მეთაური აცხადებს, რომ გაზეთებს არ კითხულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სულ ფეხებზე ჰკიდია, რა ხდება მის სამეთაურო ქვეყანაში.

გაზეთებს არც სააკაშვილის პოლიტიკური წინაპრები —„მოქკავშირელები“ კითხულობდნენ.

უფრო მეტიც, როგორც თავად აცხადებდნენ, ისინი ტელევიზორსაც კი არ უყურებდნენ.

ასეთი მანკიერი ტრადიცია დახვდა ახალ ხელისუფლებას და ჯერჯერობით არავინ იცის — გააგრძელებს ეს ახალი ხელისუფლება ძველ ტრადიციას თუ სხვა გზას აირჩევს?

როგორც გაირკვა, სირაქლემას პოზა, რომელიც „მოქკავშირმა“ და მისმა განაყოფმა „ნაცმოძრაობამ“ აირჩია, არც ისე სახარბიელო აღმოჩნდა — მართალია, თავი კი გაქვს ჩარგული ქვიშაში, მაგრამ უკანა მხარე დაუცველია და ეს აბეზარი ჟურნალისტები იმ დაუცველ მხარეს მიადგებიან ხოლმე დასალაშქრად...

ხელისუფალი, რომელიც ფიქრობს, თუ გაზეთს არ წავიკითხავ და ტელევიზორს არ ჩავრთავ, ამით პრობლემა მოიხსნებაო, რბილად რომ ვთქვათ, ცდება, რადგან რაც იბეჭდება, რაც ტელეეკრანზე გადის, მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული პიროვნების წასაკითხად და გასაგონად კი არ ქვეყნდება, არამედ, პირველ ყოვლისა, იმ მრავალათასიანი აუდიტორიისთვის, რომელსაც საზოგადოება, ხალხი ჰქვია.



რა აწუხებს ხალხს, რა პრობლემები აქვს, რისი თქმა სურს ამის მიტანა ხელისუფლებამდე ყველაზე კარგად, ყველაზე ობიექტურად მასმედიას შეუძლია და როცა ხელისუფალი მასმედიასთან ურთიერთობაზე უარს ამბობს და საკუთარი გარემოცვის მიერ მოქსოვილ მაამებლურ ინფორმაციებში იბლანდება, მისი კარიერა ადრე თუ გვიან კრახით დასრულდება.

ამიტომაც მოგიწოდებთ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებო, მინისტრებო, პარლამენტარებო, ჩინოვნიკებო — იკითხეთ გაზეთები, უსმინეთ რადიოს, უყურეთ ტელევიზორს, შედით სოციალურ ქსელში და მიიღეთ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, გაიგეთ, რაც შეიძლება მეტი, თუ რას ფიქრობენ თქვენზე, რას ითხოვენ თქვენგან და: **იმოქმედეთ! იმოქმედეთ! იმოქმედეთ!**

სიტყვის თავისუფლება, ასე თუ ისე, სააკაშვილის დროსაც იყო, მაგრამ სამაგიეროდ, არ იყო არანაირი რეაგირება საზოგადოებიდან წამოსულ მესიჯებზე, რაც ფუნქციას და აზრს უკარგავდა სიტყვის თავისუფლების არსებობას.

„შეაყარე კედელს ცერცვი“ — ასე შეიძლება დავახასიათოთ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში არსებული სიტუაცია, რამაც „ნაციონალები“ საზოგადოებისგან სრულ იზოლაციამდე მიიყვანა.

იმედია, ახალი ხელისუფლება ძველი ხელისუფლების შეცდომებს არ გაიმეორებს.

საქართველოში დღეს სამი სეპარატისტული რეჟიმია — აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის და „ნაციონალური მოძრაობის“.

აქამდე ხომ ორი იყო, ახლა ეს მესამეც დაემატა და გასამდა.

აქამდე თუ ორი სეპარატისტი პრეზიდენტი გვყავდა, ახლა უკვე სამი გვყავს.

თავისი სეპარატისტულობის ხარისხით ეს მესამე იმ ორს არაფრით არ ჩამოუვარდება.

თან მთელი უბედურება ის არის, რომ იმ ორს თუ თავისიანები არჩენენ, ამ მესამის რჩენა ჩვენ გვიწევს.



არადა, ისეთი მადა აქვს, იმ ფულით, მაგის შენახვას რომ ვახარჯავთ, ორ ავტონომიურ წარმონაქმნს კიდევ შევინახავდით.

# saqarTveloSi dRes aris sami separatistuli reJimi

მაგის მადასაც რომ თავი დავანებოთ, ურიცხვი დაცვა ჰყავს, ურიცხვი სატრანსპორტო საშუალება ემსახურება, როგორც საჰაერო, ასევე სახმელეთო.

რამდენიმე რეზიდენცია აქვს როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

ამასაც ხომ შენახვა უნდა?

არადა, წმინდა წყლის სეპარატისტივით იქცევა — თან ვითომ პრეზიდენტია და იმავე დროს ოპოზიციაში ვარო, იძახის.

ოპოზიციაში ვარ და ექვსი თვის შემდეგ მთელი ჩემი ლაშქრით და ჯამაათით დავბრუნდებიო, ამბობს.



ომს გვიპირებს, მგონი, ომით ფიქრობს უკან დაბრუნებას, თორემ ექვსი თვის შემდეგ არჩევნები არ არის, რომ გაიმარჯვოს და დაბრუნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გამოხოხებული სეპარატისტია, მაინც დღემდე მთავარსარდლად ითვლება და რომ მოინდომოს, უსიამოვნებებს გადაგვყრის — ჯარს შემოგვისევს, ქალაქებს და სოფლებს დაიპყრობს, რომ შიგ თავისი მეციხოვნეები ჩასვას.



მეციხოვნეები ახლაც უზის კონტროლის პალატაში, სასამართლოებში, თვითმმართველობებში, სამხარეო ადმინისტრაციებში, ჩვენი ძარცვით ნაშოვნი ფულიც ბევრზე ბევრი აქვს და საზღვრებს გარეთაც ბევრი თანამოაზრე ჰყავს — ზოგი აქედან გაქცეული ყაჩაღი, ზოგიც იქაური ბანდიტი.

თუ გვინდა, რომ ქვეყანაში მშვიდობა იყოს და ქვეყნის განვითარების და აღორძინების შანსი მოგვეცეს, ეს ახალი სეპარატისტული წარმონაქმნი როგორმე უნდა გავაუქმოთ, როგორმე უნდა მოვიშოროთ თავიდან.

თუ ამას არ ვიზამთ, ადგება და თვითონ მოგვიშორებს...

აი, ნახავთ თუ არა...

გამოურთეთ დენი, გაუთიშეთ გაზი, შეუწყვიტეთ წყალი, არ მისცეთ სატაშფანდურო ფული, დაუკეტეთ რეზიდენციები, დროზე დაიჭირეთ, ვინც დასაჭერია, დროზე გააქციეთ, ვინც გასაქცევია, თორემ ადგება და აქეთ შემოგვიტრიალდება და მერე მტრისას, ეგ საქმეს იზამს.

**გვერდი მოამზადა გიორგი გამეზარდაშვილმა**



# 20 იანვარს გასდის სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა და ოქტომბრამდე პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ხდება დავით უსუფაშვილი

**ინტერვიუ გიორგი ყორღანაშვილთან**

**— ბატონო გიორგი, ქართველმა ერმა, თუ მსოფლიომ არა, უნდა მისცეს თუ არა პოლიტიკური შეფასება „ნაცმოძრაობის“ ჩადენილ ბოროტებას?**

— სააკაშვილი — ეს არის დაყენებული მტერი ჩემი ქვეყნის ასაოხრებლად. მოვიდა ამბიციური, ავადმყოფური ფსიქიკის მტერი, რომელიც კიდევ უფრო გაღიზიანდა იმის გამო, რომ ქართველი ხალხი ქართულად დაუდგა ბევრ რამეში. გაღიზიანება აკლდა მაგას? მოსკოვი, შეიძლება ძალიან დიდი ქალაქია, მაგრამ დანარჩენი რუსეთია თითქმის ყოველთვის გადამწყვეტი, საქართველოში პირიქითაა, თბილისი ნიშნავს საქართველოს და ამ მაიმუნმა თბილისი რომ შეიძულა, მთელი საქართველო და ქართველობა შეიძულა...



ასე რომ, მიხეილ სააკაშვილი არის ყოვლად ჩამოყალიბებული მაიმუნი, ყველაფერში ქართველების მოძულე. ქართველებმაც ხელი შევუწყვეთ, არ გავაკეთებინეთ ყველაფერი ისე, როგორც თვითონ აწყობდა და მთლად აიშალა კიდეც, ბოლომდე აიჭრა. ყველა ბოროტება, რაც მან ჩაიდინა ქართველი ხალხისა და საქართველოს წინაშე, ის რომ ჩამოვთვალოთ, შორს წავალთ, მაგრამ კოდორი რომ არ ვახსენო, არ შემიძლია, დაწვრილებით ვიცი ყველაფერი...

ას რამეს რომ გააკეთებ, ალბათობის თეორიით, ნახევარი ნახევარზეა ცუდი და კარგი, ასიდან ასივე ჩემი სამშობლოს საწინააღმდეგოდაა გაკეთებული. გზებზე მელაპარაკება — კარგი, რაა! თემურ ლენგმა ტყე გაჭრა, გზა გაიყვანა დასავლეთ საქართველოს ასწიოკებლად, იმ გზას მერე „თემურის გზა“ შეარქვა ხალხმა და იმ გზაზე დადიოდნენ. რას აკეთებ და რატომ აკეთებ, ის მითხარი — იქ სენაკის აეროპორტი, აქ მარნეულის აეროპორტი, თურქებმა რომ დააფინანსეს, ეს ყველაფერი ირანის გამო კეთდებოდა — აბსოლუტურად ყველა სვლა ჩემი სამშობლოს საწინააღმდეგოდაა გაკეთებული. კი, დიქტატორის ელემენტებიც არის მოცემული და რეჟიმისაც, მაგრამ რომელი დიქტატორი გაუკეთებს ამას თავის ქვეყანას... ოპოზიცია ვართო, რომ გაიძახოდნენ, იმიტომ ვგიჟდებოდი, რომ „ოპოზციას“ ძახილით ათეთრებდნენ ამ ქართველთმოძულე მაიმუნს, რადგან, თუ ოპოზიცია ხარ ე.ი ის უკვე ხელისუფლებაა. თუ შენ კარგი ქართველი ხარ, რადგან ის ხელისუფლება კი არა, მტერია შენი სამშობლოსი, შენც მტერი უნდა ყოფილიყავი მისი!

**— ჰოდა, ამას გეკითხებით, ხელისუფლება იყო, დიქტატორი, მტერი თუ რაც იყო, უნდა მიეცეს თუ არა, როგორც პოლიტიკური, ისე იურიდიული შეფასება-თქო.**

— აუცილებლად! აუცილებელია, მაგრამ ძალიან სასწრაფო არ არის.

**— „სასწრაფო არ არის“ — როგორ გავიგო...**

— გეტყვით. კი, გადაიბარეს ნელ-ნელა ხელისუფლება და ბატონი ივანიშვილის მინისტრები არიან ქვეყნის განმანთავისუფლებელი ხალხის წარმომადგენლები, გეთანხმებით, მაგრამ მე ვთვლი, რომ ივანიშვილს შეუძლია გახდეს საქართველოს განმანთავისუფლებელი, არის ამის ელემენტები, თუმცა, სანამ ძალაუფლება რეალურად არ ექნება ხელში, მანამდე მკვეთრი სვლების გაკეთება არ შეიძლება.

**— დააკონკრეტეთ.**

— მაგალითად, რომ ამბობენ გასამართლებები სასწრაფოდ დაიწყოსო. იგივე პოლიტიკურ შეფასებაზე და იურიდიულ შეფასებაზეც, პოლიტიკურზე განსაკუთრებით, დროებით თავი უნდა შეიკავონ. მე, რიგით მოქალაქეს, მაქვს უფლება, მაგრამ მათ არა აქვთ.

ამათ ჯერ კიდევ შეუძლიათ ბევრი რამის არევ-დარევა. მარტივი რამ ვთქვათ, საქართველოს ფარგლებს გარეთ ხომ ყველა მოტყუებული ჰყავდა, რომ დიდი დემოკრატია და ქვეყნის ამყვავებელი, ეს ისევ ძალაში რჩება. ახლაც ხომ ისე გამოჰყავს, რომ დემოკრატიულად გადააბარა ხელისუფლება არჩევნებში გამარჯვებულ ძალას და უცბად, ახალმა მთავრობამ რომ მკვეთრად უარყოფითი შეფასება გააკეთოს, დასავლეთმა შეიძლება ვერ გაიგოს. ამ მაიმუნს ბევრი ცუდი რამის გაკეთება შეუძლია ჯერ კიდევ. ეს არის კაცი, რომელიც უაღრესად ავადმყოფური ბუნებისაა და თანაც, საშინლადაა გაღიზიანებული ქართველებით.

**— გასაგებია, თანაც, პრეზიდენტს უფლებამოსილება 2013 წლის 20 იანვარს კი, ეწურება, მაგრამ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომამდე, ფაქტობრივად, ისევ პრეზიდენტის სავარძელში ტოვებს კიდევ საკმაო ხანს — უკაცრავად და, ასეთი უაზრობა რატომ გვიწერია კონსტიტუციაში?**

**— არაა ასე და რატომ არავინ იღებს ამაზე ხმას, ძალიან მაინტერესებს და მიკვირს კიდევაც. 20 იანვარს გასდის სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა და მთავრდება მისი უფლებამოსილება, შემოდგომაზე კი ტარდება მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები, ამას ვერ გაექცევი. პრეზიდენტი კარგავს უფლებამოსილებას, ნიშნავს იმას, რომ კი არ გადადგა, გადადგომაზე მეტია, გაუვიდა ვადა. მის მოვალეობას დროებით ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციით, 20 იანვრიდან პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ხდება დათო უსუფაშვილი.**

გადადგომის შემთხვევაში, პარლამენტის თავმჯდომარე 40 დღის განმავლობაში ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას, ვადის ამოწურვის შემთხვევაში კი, პრეზიდენტის არჩევამდე.

**— მაინც უაზრობაა...**

— არ არის. კონსტიტუციაში არ წერია, რომ ვადაამოწურული პრეზიდენტი აგრძელებს პრეზიდენტობას, წერია, რომ არჩევნები ტარდება იმ წელს, როცა ვადა ეწურება. მე ამის მეშინია სწორედ, რაღაც მამაძაღლური გეგმები ხომ არ აქვს?

ცოტა მოთმინება და რა თქმა უნდა, დაიწყება ის ყველაფერი, რასაც ხალხი ასე ითხოვს. მაგალითად, ბარამიძე აქეთ იხვეწება: ნუ მაბრალებთ აფრასიძეების ჩახოცვას, გამასამართლეთო, ჰოდა, გასამართლდეს და გაირკვეს. სასამართლოზე აფრასიძეებიც იქნებიან და ყველანი მოვლენ. აკაკი ჩხაიძეც მოვა, კაცი ვერტმფრენით რომ მოიტაცეს...

**— წეღან თქვით, შეიძლება, ივანიშვილი საქართველოს განმანთავისუფლებელი გახდესო, რა იგულისხმეთ.**

— გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმედღიან ან თვიან დამოუკიდებლობას, დამოუკიდებლობა არ გვღირსებია და სააკაშვილმა ისე წაიყვანა საქმე, ისე დაჭიმა ხალხი, რომ გაჩნდა შანსი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. ახლა ისეთი პირი უჩანს საქმეს, ივანიშვილის ხელში მართლა ჩანს დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი. ის რომ არის, „ალიკ რინოკს“ რომ ეძახიან...



**— ალექსანდრე ებრალიძე?**

— დიახ, მაგან რომ მიულოცა, მთელი აჟიოტაჟი იყო ატეხილი, ეს რა თქვა, „ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერსო“ — ხალხი იცინოდა. მე არ გამეცინა, იმიტომ, რომ გარედან უფრო კარგად ჩანს. თუ მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, შესაძლებელია, რომ ნანატრი დამოუკიდებლობა რეალურად მოვიპოვოთ, სხვა რატომ ვერ დაინახავს ამას. სააკაშვილმა იმ ზომამდე მიიყვანა საქართველო, რომ გაუღვიძა და გაუმძაფრა ქართველობისა და თავისუფლების გრძნობა. როგორც ჩანს, მართალი ყოფილა, სულელი მტერი ზოგჯერ სასარგებლო ყოფილა ქვეყნისთვის.

70 წელს ვარ გადაცილებული და პირველი შემთხვევაა, რომ მოსული მმართველობის მიმართ სერიოზული სიმპათია მაქვს და დადებითად ვარ განწყობილი.

**— 1 ოქტომბერს რანაირ შეფასებას აძლევთ.**

— ზვიადის შემდეგ ეს არის ქართულ წიაღში დაბრუნების პირველი მცდელობა. მაშინ საშინელება იყო, ჯერ კიდევ არსებობდა სსრკ და ხალხს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მოვლენის წინაშე დავდექით. ზვიად გამსახურდია გადასარევი პიროვნება იყო, შემოქმედი, მთარგმნელი, პოეტი, მაგრამ წრე, ნახევარზე მეტი, უსაზიზღრესი პიროვნებები ჰყავდა შეკრულ-შემოკრულები, ამდენად, რაც მოხდა, აუცილებლად მოხდებოდა — სად შეეძლო ზვიადს ასეთი რამეების კონტროლი.

1992 წლიდან 2012 წლამდე რომ ავიღოთ, მინიმუმ 20 წელი დასჭირდა იმას, რომ ჩარხი მობრუნებულიყო. ჩათვალეთ, რომ ახლა ზვიად გამსახურდიას ეპოქაა, მაგრამ ჩვენი უდიდესი გამოცდილებით.

**მაია ჭელიძე**

## ევროპას კრიზისის შედეგების დასაძლევად 5 წელზე მეტი დასჭირდება



ფინანსური კრიზისისაგან გამოსასვლელად ევროპას 5 წელზე მეტი დასჭირდება. - ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა საკუთარი პარტიის, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის ყრილობაზე განაცხადა. მისი თქმით, სწორედ ამდენი ხანი არის საჭირო იმისათვის, რომ ევროპამ ვალებთან დაკავშირებული კრიზისის შედეგები სრულად დაძლიოს.

„ჩვენ სუნთქვის შეკავება 5 ან მეტი წლით მოგვიწევს“, — აღნიშნა ანგელა მერკელმა.

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით მან ევროპის ქვეყნების ლიდერების ძალისხმევას გაუსვა ხაზი და დაუშვა შესაძლებლობა, რომ „ევროპა პლუსს“ 2 წელიწადში მიაღწევს. მან ინვესტორების ნდობის განმტკიცებაზეც ისაუბრა.„ინვესტორების დიდ ნაწილს არ სჯერა, რომ ჩვენ ჩვენი დაპირებების ასრულება შეგვიძლია“, — აღნიშნა ანგელა მერკელმა და დასძინა, რომ ამ მხრივ არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად ევროპის ქვეყნებმა ძალისხმევა არ უნდა დაიშურონ.

**„მედიანიუსი“**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# საქართველოს გენპროკურორს არჩილ კბილაშვილს საქართველოს იუსტიციის მინიტრს თეა წულუკიანს საქართველოს შსს მინიტრს ირაკლი ღარიბაშვილს

## saqarTvelos rkinigza _ erovnuli katastrofis zona!

***საქართველოს რკინიგზა წლებია კორუფციის ბუდედაა ქცეული. ფინანსური პოლიციის მიერ გამოვლენილი დარღვევები რევიზორებს 25 აქტად აქვთ წარმოდგენილი, თუმცა მათი განსაჯაროება ჯერ არ მომხდარა. რა ფაქტები არსებობს ეზუგბაიას წინააღმდეგ, და რა დარღვევებს ჰქონდა ადგილი ამაზე, საქართველოს რკინიგზის პროფკავშირების წარმომადგენელი, ყოფილი რკინიგზელი გია ყრუაშვილი გვესაუბრება***

### შევლენ თუ არა ლტოლვილები მაღალჩინოსნების „დვარეცებში“

2006-07 წლებში საქართველოს რკინიგზაში კეზერაშვილის ბრძანებით შევიდა ფინანსური პოლიცია შესამოწმებლად, სადაც დაიწერა 25 შუალედური აქტი, რომელიც 100 მილიონზე მეტ ფინანსურ დარღვევებზე იქნა შედგენილი. აქტები გამოსაძიებლად გადაეცა ფინანსურ პოლიციას გამომძიებელ კოტე ყიფიანს, რის საფუძველზე პრეზიდენტთან მოხდა შეთანხმება არველაძე და კეზერაშვილის ხელმძღვანელობით. არავინ არ დასჯილა იქნა გარიგება რკინიგზის ხელმძღვანელებსა და ფინანსურ პოლიციას შორის.

ახლა, მინდა დევნილებს ვუთხრა — საბავშვო ბაღში შეჭრებს თავი დაანებონ. ვანო მერაბიშვილს, ბეჟუაშვილებს, კუბლაშვილებს, „დვარეცები“ აქვთ. პროკურატურაში არსებობს დოკუმენტები, რომ კუბლაშვილმა ბუკიას ბაღში თავის ცოლის და მოსამსახურედ დაუყენა მოხუცებულ ქალბატონს, ეს უკანასკნელი კი როგორ მოკლეს და სად გააქრეს კაცმა არ იცის. ამ ჩინოვნიკებს უზარმაზარი სახლები აქვთ და რაღა გატყავებულ, ჩამონგრეულ შენობებში შედიან, შევიდნენ ჩვენი შრომით, ჩვენი მოპარული ფულით აშენებულ „დვარეცებში“. თუ თავგანწირვაზე მიდიან, საბავშვო ბაღებში და ჩამონგრეულ შენობებში კი არ უნდა შევარდნენ, არამედ მერაბიშვილების და მისთანების „დვარეცებში“ და მათი უკანონოდ აშენებული ფართები დაიკავონ. იმიტომ, რომ „ნაციონალები“ საკმაოდ საშიში ძალაა, ჩიორები და ქოჩორები არ მალავენ, რომ უკან დაბრუნება სწადიათ და ქართველ ხალხს თითს უქნევენ. ქართველმა ხალხმა ივანიშვილის გამარჯვება იზეიმა, მაგრამ თუ ერთად არ დავდექით, გაბოროტებული ძალა შემოგვიტევს და ჩვენგან, ქართველებისგან აღარაფერი დარჩება.

### როგორ ასაიდუმლოებდა წინა ხელისუფლება უმძიმეს ავარიებს, რომელიც რკინიგზაზე დღე-ღამეში ათჯერ ხდება

პირდაპირ ვაცხადებ, საქართველო რკინგზაში დღე-ღამის განმავლობაში, დაახლოებით ათი უმძიმესი ავარია ხდება, რომელიც იქ მოკალათებული ირმა სტეფნაძის თამადობით იჩქმალება. ირაკლი ეზუგბაია სააკაშვილის ჯიბის ტელევიზიებს სერიოზულ თანხებს უხდიდა და ამ ფაქტებს მალავდნენ, არასდროს აფიქსირებდნენ. ეს ვაგონები ავარიულ სიტუაციებში ყოველდღე ჩხერიმელაში იყრებოდა და ეს ფაქტები არ ხმაურდებოდა.

**— რა გახლავთ ყოველდღიურად ამ ოდენობის ავარიის დაფიქსირების მიზეზი, ეს ხომ საკმაოდ დიდი ციფრია?**

— ამას იწვევს მოძრავი შემადგენლობა — ლოკომოტივი, რომელსაც მატარებელი დაჰყავს. ყველა ლოკომოტივს სამ წელიწადში ერთხელ აწევითი, ხოლო 6 წელიწადში ერთხელ საქარხნო შეკეთება უტარდება. ეს ნიშნავს, რომ გამოიცვალოს გორგოლაჭები, შეიცვალოს კაბელები, ელექტროგაყვანილობა, დამხმარე მანქანები. არცერთ მოძრავ შემადგენლობას ეს სამუშაოები არ უტარდება ვინაიდან აწევითი შეკეთების ბაზა საქართველოს რკინიგზაზე უკვე განადგურებულია და ფიზიკურად აღარ არსებობს. ხოლო ქაღალდზე ათობით მილიონია დახარჯული ამ სამუშაოების შესრულებისთვის და გაყალბებულია ყველა ის თარიღები და ბეჭდები რომელიც ადასტურებს ვითომდა სამუშაოს შესრულებას, მილიონობით თანხები კი ეზუგბაიას ჯიბეში მიდის რაც კიდევ ერთხელ ცადყოფს რომ ყველა ლოკომოტივი და ელექტრო მატარებელი საქართველოს რკინიგზაზე ავარიულია და მისი გამოყენება საფრთხეს უქმნის მგზავრებს. აქვე ერთ მაგალითს გეტყვით, 2009-10 წლებში ელექტრო მატარებლებს 001,002,003 სავაგონო დეპოში ჩაუტარდა ვითომ კაპიტალური შეკეთება სინამდვილეში მარტო მისი შეღებვა მოხდა რაზედაც დაიხარჯა 17 მილიონი დოლარი რომელიც ეზუგბაიამ მგზავრთა გადაყვანის დირექტორმა ბულიამ და ვაგონშემკეთებლი ქარხნის დირექტორმა წილოსანმა გაინაწილეს, რომელიც სავაგონო სატვირთო დეპოში კეზერაშვილთან ერთად 50 პროცენტიან წილშია. ამ დროს ეზუგბაია დღეს ისეთ განცხადებებს აკეთებს, თითქოს საქართველოს რკინიგზის აშენებელი იყოს. 2011 წლის გაზაფხულზე ეზუგბაიამ, ამ ბულიამ, ჯინჯოლიამ, ანუ რკინიგზის 5 დირექტორმა თითეულმა პრემიის სახით გამოიწერა 200 -200 ათასი ლარი პრემიის სახით ანუ 5 თანამდებობის პირმა აიღო პრემიის სახით ერთი მილიონი. ანალოგიური პრემიები გამოიწერეს 2012 წლის მაისში, ივნისში და ივლისის თვეში, მაშინ როცა ადამიანებს სკოლაში ბავშვები ვერ მიჰყავთ იმის გამო, რომ მათთვის წიგნებს და ფეხსაცმელს ვერ ყიდულობენ.



ირაკლი პეტრიაშვილი შეეცადა ეს თემა საბოტაჟში გადაეზარდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ერთი კვირის წინ გულზე მჯიღს ირტყამდა რკინიგზელებს გავფიცავო, მაგრამ ახლა ამბობს კონსტრუქციული დიალოგის გზით უნდა ვიაროთ. როდის, როგორ დასჭირდება, ისე მსჯელობს, რაც სწორედ არ მიმაჩნია. იგი პრინციპული არასდროს ყოფილა. მათი სურვილები, მოქმედებები სულ სხვა საქმეს ემსახურება. მხედრიონის პერიოდი უმძიმესი იყო. მაშინ მემანქანედ ვმუშაობდი, ხელფასი კუპონებზე გვქონდა. რკინიგზელებს თავისი ხელფასის გარდა ერთი თეთრი არ აუღიათ ზედმეტი. უდენობის დროს, უმძიმეს პირობებში, ქუჩაში საათობით ვიდექით, მაგრამ არ გავფიცულვართ. მთავარი რაც იყო, ღირსება გვქონდა. მაშინ რკინიგზის ხელმძღვანელი რემი ვაშაკიძე იყო, რომელსაც ფერმები ჰქონდა, პროდუქტები მოჰქონდა და რკინიგზელებს გვირიგებდა. ეზუგბაიამ კი მთლიანად გაასხვისა შენობა-ნაგებობები, პრაქტიკულად ყველაფერი გაყიდა, გაანადგურა, ხალხს ღირსება აჰყარა, 5 ათასი რკინიგზელი სამსახურიდან დაითხოვა და მათ ნაცვლად ნაც. მოძრაობის ნაცნობ-მეგობრები, ახლობლები დანიშნა. რამდენიმე ათეული ადამიანი ვიცი, ვისაც სამსახურში მისულს გათავისუფლების ბრძანება დაახვედრეს და შიმშილით სიკვდილისთვის გაწირეს. ბევრმა ამ სტრესს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. მემანქანე ტრისტან კაკიაშვილი პირდაპირ თბომავალზე გარდაიცვალა. მას თბომავალი გაუფუჭდა, ვერ გააკეთა და რკინიგზის ხელმძღვანელობის მუქარის ფონზე, ადგილზე გარდაიცვალა, ოჯახს კი პენსიაც არ დაუნიშნეს. რკინიგზელი, მემანქანე რომ გაზარდო, ამას 5 წელი სჭირდება. ამისთვის ელიავას ტექნიკუმი არსებობდა, რომელიც ეზუგბაიამ გაასხვისა, რაც მისი და სააკაშვილების ჯიბეებში ჩაილექა. გეგონება საქართველო მათი კანტორაა. რატომ არ იღებენ ხმას არასამთავრობოები მართლმადიდებლობის დასაცავად. მთელი საქართველო სააკაშვილმა თავისი მოადგილეებიან-მინისტრებიანად შპს-დ გადააქცია. თითქოს ინდ.მეწარმე იყოს, თავისი ცეხი შექმნა. ახლა, ეს ყველაფერი დამთავრდა. იმედი მაქვს ახალი ხელისუფლების პერიოდში ეს ადამიანები სამშობლოს ღალატისთვის პასუხს აგებენ. „ნაცმოძრაობის“ დეპუტატები დღეს ისე საუბრობენ, რომ დამნაშავე აღარ ჩანს. გეგონება, რაღაც უხილავი ძალა მოვარდა, ამდენი ხალხი გააუბედურა და გაქრა. სირცხვილია, როდესაც „ნაც. მოძრაობის“ ასეთ რიტორიკას ვისმენთ. მათ ერთი კარგი ალიყური უნდათ.

### ფაქტები, რომელიც პროკურატურამ უნდა გამოიძიოს

10 ელმავალზე (თითეულის მასა 185 ტ წარმოადგენს,ასევე თითეულ ელმავალს 5 ტონა უმაღლესი ხარისხის სპილენძი გააჩნია) აუქციონზე 1 ლარად შეისყიდა ეზუგბაიას მამიდაშვილმა და ჯართის სახით დაჭრა და გაყიდა. ეს რაც შეეხება, მარტო ერთ დეპოს; 2009 წელს 20 მილიონი დოლარი იქნა გადარიცხული ქობულეთში სავაჭრო ცენტრის ასაშენებლად, რომელიც შემდეგ პრეზიდენტის ახლო მეგობარზე იქნა გასხვისებული უსასყიდლოდ. ეს ხდებოდა მაშინ როცა ლოკომოტივები და მოძრავ შემადგენლობა ამორტიზირებულია უსახსრობის გამო და ავარიულია; 1995-97 წლებში ნათლულში ფრანგული პროექტით აშენდა რკინაბეტონის განძელების-(შპალი) ქარხანა რომელიც რომელი ქარხანაც მთელ ამიერკავკასიის რკინიგზას ამარაგებდა განძელებით.ეს უნიკალური ქარხანა საჩუქრად გადაეცა პრეზიდენტის რწმუნებულს ჩოჩელს; დიდუბეში მაგნიტოგორსკის ქუჩაზე 1 ჰ მიწის ნაკვეთი შენობანაგებობებით და მისასვლელი ლიანდაგებით და დიდი რკინიგზის ავტოფარეხით და სარემონტო დანადგარებით 6000 ლარად შეისყიდა რკინიგზის ერთერთმა დირექტორმა აბუაშვილმა და შემდეგ გაასხვისა 6 მილიონ დოლარად. ბათუმში სალოკომოტივო რკინიგზის თბომავლებით მოგება რკინიგზის ბიუჯეტში შემოდიოდა. ეს რკინიგზის თბომავლები ვარშალომიძეების ძმაკაცებს მიჰყიდეს და რკინიგზის ნაცვლად მოგების თანხა კერძო პირის ჯიბეში წავიდა. 2003 წელს საქართველოს რკინიგზამ ბანკიდან კრედიტის სახით 15 მილიონი აიღო და რკინიგზის ლიანდაგის მთელ პერიმეტრზე ოპტიკურ ბოჭკოვანი საკონტაქტო კაბელი განათავსა, შეიძინა ტელეკომი. უნიკალური დამაკავშირებელი საშუალება 2009 წელს გიორგი არველაძის ინიციატივით საპრივატიზაციო ნუსხაში შეიტანეს და გაასხვისეს 20 მილიონ დოლარად, ხოლო ბანკის კრედიტი დღემდე გადაუხდელია. ამგვარი მაქინაციებით ყველაფერი საკუთარ თავზე მოირგეს. აქვე გეტყვით, რომ 15 ათასი კაციდან დაახლოებით 4 ათასზე მეტი თანამდებობის პირია. მათი 95 პროცენტი სულ ნაც. მოძრაობის დეპუტატების ბიძაშვილ-მამიდაშვილები, საყვარლები და ა.შ. ამაზე პასუხს ვაგებ. ეს ხალხი, ფაქტობრივად რკინიგზისთვის გამოუსადეგარია, ისინი პროფესიონალები არ არიან. ერთ ფაქტს აქვე გეტყვით, ირმა სტეფნაძეს საქართველოს რკინიგზაში 7 ათასი ლარი აქვს ხელფასი. მისი მოყვანილი დაქალი თაკო თუ თეკო ზუსტად არ მახსოვს, წამყვანი სპეციალისტია, რომელსაც 1.400 ლარი აქვს ხელფასი, მეორე წამყვან სპეციალისტს, რომელიც უპატრონოა, და მართლა იცის საქმე ანუ სტეფნაძის, ან ვინმეს მოყვანილი არ არის, 300 ლარი აქვს. ეზუგბაიას გარდა სხვაც ბევრია დასაჭერი, თუნდაც ბარამიძე. ბევრი პარადოქსი ხდება, ახალაიები მკვლელები არიან და მათი მამა მაჟორიტარად ავირჩიეთ. „ნაც.მოძრაობა“ 40 პროცენტითაა საქართველოში წარმოდგენილი, ეს



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ცოტა როდია. ეზუგბაიამ საშიშროება რომ იგრძნო, გაიქცა. მერე დაურეკეს, ჯერ საჭირო ხარ, ჩამოდიო, აშშ-ში ვილა გააყიდინეს. თავისთავად ცხადია, რომ გაფლანგული თანხები სულ ეზუგბაიას კისერზე არ არის. იგი იყო ნოტარიუსი. რასაც ავალებდნენ იმას აკეთებდა. დიდ პატივს ვცემ წულუკიანს და იმედი მაქვს იუსტიციის სამინისტროდან ამ საქმეს გამოვითხოვთ და გამოსაძიებლად პროკურატურას გადავცემთ.

### ჩინური ელექტრომატარებელი თუ ურიკებით მოპარული ფულები

ჩინური ელექტრომატარებელი, რომელიც შეისყიდეს 2009 წელს და 25 მილიონი დაჯდა, სინამდვილეში ჩინეთიდან კუზაოები იქნა შესყიდული, ურიკები და სათადარიგო ნაწილები რიგიდან შემოიტანეს და შემდეგ თბილისის ვაგონშემკეთებელ ქარხანაშიააწყვეს, თანხა გაცილებით ნაკლები დაიხარჯა, ვიდრე სინამდვილეში. ამ ელექტრომატარებლებს 2011 წელს უკვე უნდა ჩატარებოდა აწევითი შეკეთება, რაც ვერ ჩაუტარდა, ვინაიდან საამქრო აღარ არსებობს და ეს ავარიული ელექტრომატარებელი 120კმ სიჩქარით დადის, რაც კატასტროფის ტოლფასია. 2012 წელს ასევე ჩინეთიდან შეისყიდეს ელექტრომატარებელი, რომელშიც 37 მილიონი შვეიცარიული ფრანკი იქნა გადახდილი, ანუ 50 მილიონამდე დოლარი იგივე ფულის გათეთრებასთან და შავ ფფულთანაა კავშირში. ეზუგბაიას მოსვლის დღიდან დღემდე ძველ და ჩამოწერილ ლოკომოტივებზე და ვაგონებძე იხსნებოდა ვარგისი სათადარიგო ნაწილები და მისი გადაწყობა და აწყობა, შემდეგ სალოკომოტივო დეპოს საწყობში ამ ნაწილების მოგროვება ხდებოდა. როგორც კი საკმარისი ოდენობის ნაწილები დაგროვდებოდა, ეზუგბაია ტენდერს ჩაატარებდა, თავის კლასელ მაღლაკელიძეს, ან ნათესავს მოაგებინებდა და ვითომ შეისყიდეს ისე შემოჰქონდათ ეს ძველი სათადარიგო ნაწილები რაზედაც ბოლო 2 წელიწადში 80 მილიონამდე თანხაა მითვისებული; ფილიალ მგზავრთა გადაყვანის დირექტორს თემურ ბულიას, რომელსაც მერაბიშვილი და მესხელი მფარველობდა, დაახლოებით 200 მილიონზე მეტი თანხა აქვთ დატაცებული.



სამშენებლო სამუშაოების შესრულების წარმოებისთვის საკითხები დირექტორთა საბჭოს სხდომებზე განსახილველად რკინიგზის გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელს გიორგი არველაძეს გაჰქონდა. 5 მილიონ ლარამდე გადაირიცხა სამტრედიის სტადიონის მშენებლობაში; რუსთავის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, რომლის მეპატრონეები კეზერაშვილი და წილოსანი არიან, 2010 წელს გარემონტდა 2 ათასი სატვირთო ვაგონი, რომელიც დაკომპლექტდა ძველი სატვირთო ვაგონების სათადარიგო ნაწილებით, ყველა ვაგონზე შეკეთების თარიღები გაყალბებულია — ამოჭრილია და შემდეგ ახალი თარიღია მიდუღებული, რაც სიყალბეა. ამ ვაგონების შეკეთება საქართველოს რკინიგზას 120 მილიონი დოლარი დაუჯდა. სინამდვილეში, მხოლოდ 15 მილიონი ლარი დაიხარჯა; 2008 წელს 50 მილიონად შეისყიდეს სადგურ ზესტაფონდი და სხვა სადგურებში ვაგონის ელექტრო სასწორები, რომელიც ყიდვის მომენტშიდაც უვარგისი იყო და არ მუშაობდა. ეს სასწორები დაყენების დღიდან დღემდე არ მუშაობს. ეს ელექტროსასწორები ტექნიკურმა დირექტორმა ჭავჭანიძემ შეისყიდა; რკინიგზაში მგზავრთა გადაყვანას და იქ შემოსულ თანხებს აკონტროლებდა ვანო მერაბიშვილი და მესხელი, ხოლო დეპარტამენტში სველ ტვირთებზე გადაზიდვებს და შესყიდვებს მიხეილ სააკაშვილი, კეზერაშვილი და არველაძე ახორციელებდნენ; 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ეზუგბაიას მოადგილემ და არველაძის კლასელმა ზაქაიძემ საქართველოს რკინიგზიდან ნაცმოძრაობის ანგარიშზე 80 მილიონი გადარიცხეს; რკინიგზის დეპარტამენტში ეზუგბაიამდე, მაშინ როდესაც 10ჯერ მეტი სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები იყო, დეპარტამენტში ხელმძღვანელ თანამდებობაზე პროფესიონალი რკინიგზელები მუშაობდნენ და ეს რიცხვი 380 თანამშრომელს არ აღემატებოდა, რომელთა თვიური ხელფასები 700-დან ათას ლარამდე მერყეობდა, ეზუგბაიას პერიოდში თანამდებობის პირების რაოდენობა 4 ათასამდე გაიზარდა, პროფესიონალი რკინიგზელების გაყრის ხარჯზე, ხოლო მათი ადგილები ყოფილმა პროკურორებმა, სოდის და კუდის ყოფილმა თანამშრომლებმა დაიკავეს, რომელთა ხელფასი 7 ათასიდან 20 ათასამდე მერყეობს; სადგურ ბათუმში ეზუგბაია მატარებელში თეთრი შორტებით ავიდა. გამცილებელს ეზუგბაია მამათმავალი ეგონა და და მისი ვაგონიდან ჩაგდებას შეეცადა. ეს თანამშრომელი სასწრაფოდ გააძევეს სამსახურიდან.

შემოვლითი რკინიგზა არის ფულის მახე. შემოვლით რკინიგზაზე მისმა ხელმძღვანელობამ და მათ შორის გიგი უგულავამ შეისყიდეს მილიონი კვადრატული მიწა. ვინც ვერ დაითანხმეს, მათ პოლიცია მიუგზავნეს. ადამიანებისგან 13-15 ლარად იყიდეს კვადრატული. მილიონ კვადრატული მიწის შესყიდვაში 13 დოლარი დარჩა კვადრატულზე. შემოვლითი რკინიგზით, ასევე — მოსახლეობა ზღვის წყალს ხმარობს და კერა გაჩნდა, რომ ზღვა დაბინძურდება. მეორეც — დიდუბიდან, ავჭალიდან მთელი შენობა-ნაგებობები, მთელ პერიმეტრზე ფულს საშოვნელად გაამზადეს. ამას ემსახურებოდა ეს ყოველივე. ანუ ეს ადამიანები მაქსიმალურად ფულის შოვნაზე იყვნენ ორიენტირებულნი. მათ ქვეყანა არ უმართავთ, მათ ფული იშოვეს. ბატონი ბიძინასადმი დიდი იმედებია, იმიტომ, რომ მას მინისტრებს ეს ფუფუნება ვერ ექნებათ.

**ესაუბრა თამარ შველიძე**

# Tu gindaT iyoT qarTvelebi, mutrukebo, adeqiT fexze!

## დაარსდება თუ არა ქართველთა გაქართველების სამინისტრო?

საზოგადოება, ახალი მთავრობა, ახალი საპარლამენტო ხელისუფლება, მასმედია ბევრს ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა დაანგრია ქვეყნის ეკონომიკა, გააჩანაგა ქართული სოფელი, გაალატაკა ქვეყნის მოსახლეობა, დაგვაყაჩაღა, გაგვძარცვა, შეურაცხგვყო, მაგრამ, ჯერჯერობით, არავინ არ საუბრობს იმის შესახებ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა კიდევ ერთი დიდი დანაშაული ჩაიდინა — სცადა ქართველებისთვის ქართველობა წაერთმია, ზნე, სახე და ხასიათი შეეცვალა.

**ჩემი აზრით, ბევრ გადაუდებელ საქმეთა შორის, ალბათ, ყველაზე გადაუდებელი საქმეა, რომ ჩვენს ბავშვებს, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს ხელახლა ვასწავლოთ და ხელახლა ვუთხრათ, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფროსებს ადგილი უნდა დაუთმონ.**

შეიძლება, ვინმეს ჰგონია, რომ ბევრი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმეების ფონზე ეს უმნიშვნელო დეტალია, თუმცა, ვფიქრობ, ეს ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი ისეთივე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხია, როგორიც, ვთქვათ, ბიუჯეტის შევსების საკითხი.

აქაც ბიუჯეტზეა საუბარი, ოღონდ ერის სულიერ ღირებულებათა ბიუჯეტზე, რომელიც გაცილებით მეტად ფასობს, ვიდრე ლარს პლუს ლარი.

რა კარგი იქნებოდა, განათლების ახალ მინისტრს, სანამ ბოლონიის პროცესთან მიერთებაზე დაიწყებდა საუბარს, ერის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ღირებულებებთან მიერთების შესახებ დაეწყო ლაპარაკი და ერთი ასეთი შინაარსის დეკრეტი გამოეცა:

— მე განათლების მინისტრი ესა და ეს მოვუწოდებ როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე სტუდენტებს ამიერიდან საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადგილი დაუთმონ უფროსი ასაკის ადამიანებს.

განათლების მინისტრის კომპეტენციაში არ შედის და ამდენად ზუსტად არ ვიცი, ვის უნდა მიემართა მათთვის, ვინც უკვე არც მოსწავლეა, არც სტუდენტია, მაგრამ ზუსტად ისე იქცევა, როგორც ეს მოსწავლე და სტუდენტი — ზის გადათხლაშული ორმეტრიანი მუტრუკი სავარძელში, თავზე კი მანდილოსანი ადგას, ეს კი ადგილიდან არ იძვრის.

ასეთი მუტრუკებით არის გავსებული ჩვენი ავტობუსების, სამარშრუტო ტაქსების, მეტროს ვაგონების სალონები.

როგორც ზემოთ ვთქვი, არ ვიცი, რომელმა უწყებამ უნდა გამოსცეს დეკრეტი ამ მუტრუკების მისამართით, მაგრამ ამგვარი დეკრეტიც რომ გამოსაცემია, ფაქტია:

**თუ გინდათ, რომ ქართველები გერქვათ, ადექით ფეხზე, მუტრუკებო და ადგილი დაუთმეთ მანდილოსნებს!**

— რას ჰქვია, თუ გვინდა ქართველები გვერქვას, ქართველები ვართ ჩვენ, კაცური კაცები და ვაჟკაცებიო, — წამოგიხტებიან მუტრუკები.

არა, არ ხართ თქვენ ქართველები, თქვენ მუტრუკები ხართ, ოღონდ ამის შესახებ თქვენ თვითონ არაფერი იცით...



ერის გამუტრუკების, ერის წახდენის და გათახსირების პროცესი ისე ოსტატურად, ისე ფილიგრანულად მართეს შინაურმა თუ გარეულმა მტრებმა, რომ ვერც შევამჩნიეთ, ვერც მივხვდით, როგორ გავმუტრუკდით, როგორ წავხდით, როგორ მივადექით საკუთარ დედას და როგორ ვთქვით — ჩემი დედა მოვ... ანო.

ჩემი დედა მოვტ...ნიდან ერთი ნაბიჯია „ფორმულამდე“ — ჩემი სახელმწიფოს დედაც...

აკი, სწორედ ქართველებმა უტირეს დედა ქართულ სახელმწიფოს.

სხვები გვეშველებოდნენ და გვეხმარებოდნენ, თორემ ჩვენი სახელმწიფოს მთავარი გამპატიურებელ-გამბახებლები ჩვენ თვითონ ვიყავით.

**საგონებელში ვარ ჩავარდნილი, რომელ უწყებას ვთხოვოთ გამოსცეს დეკრეტი — ქართველებო, თუ გინდათ იყოთ ქართველები, ნუ შეაგინებთ საკუთარ დედას!**

სულ ახლახან, რამდენიმე თვის წინათ „ნაციონალი“ ქართველები ქვებს ესროდნენ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ ქართველებს.

იყო დრო, როცა ქართველი კაცისთვის უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა მსგავსი რამ.

ვაჟკაცი კაცი ქვის ასაღებად ძირს როგორ დაიხრებოდა და მერე იმ ქვას კაცს როგორ ესროდა?

შეიძლება, ძაღლისთვის ან საქონლისთვის ესროლა, მაგრამ კაცს ქვას როგორ ესროდა?

დეტალია, ხომ? კი, დეტალია, მაგრამ განა ერის მთლიანი პორტრეტი ამგვარი დეტალებისგან არ შედგება?

მოაშორეთ ეს დეტალები ამ პორტრეტს და პორტრეტის ადგილას ერთი შავად გადაღლაბნილი ლაქალა დარჩება.

როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არა მარტო ეკონომიკურად, არა მარტო მატერიალურად, სულიერად გაგვაჩანაგა და გაგვაპარტახა.

ახლა ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ერი ამ ნანგრევებიდან წამოდგეს და თავისი ისტორიული ფასეულობები და ღირებულებები დაიბრუნოს.

**სააკაშვილმა სცადა ახალი ტიპის, ახალი ჯიშის ქართველი „შეექმნა“ და „შექმნა“ კიდეც — ქვასროლიები, ჩამშვებები, მაბეზღარები, ადამიანის ცოცხის ტარით და ხელკეტით გამუპატიურებლები.**

**1 ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ საქართველო ხელახლა უნდა დაიბადოს და თავის ფესვებს უნდა დაუბრუნდეს.**

**თუ ეს ვერ შევძელით, ეს გამარჯვება აზრს და მნიშვნელობას დაკარგავს...**

**— ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს! — თქვა ერთმა კარგმა კაცმა და კარგმა ქართველმა.**

**დედის გაზრდილს არ ჰგავს ბევრი ჩვენგანი და ალბათ, იმიტომ თქვა...**

* * *

მართალია, ისედაც ბევრი სამინისტრო გვაქვს, მაგრამ სადაც ამდენია, იქ ერთიც რომ დავამატოთ, არაფერი უშავს.

ვთქვათ, **ქართველთა გაქართველების სამინისტრო** რომ დავაარსოთ, ცუდი იქნება?

არა, არ იქნება ცუდი!

ჰოდა, დავაარსოთ!

**ვახტანგ ხარჩილავა**

საუბრები ზაზა შათირიშვილთან

# gmirobidan kvazigmirobamde



## სააკაშვილი, როგორც ჰადესის მკვიდრი, რომლის დაბრუნება შეუძლებელია

როდესაც 9 წლიან პერიოდზე ვსაუბრობთ, შემდეგი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ — ეს არ არის მხოლოდ 20-წლიანი პერიოდის ნაწილი, არამედ, რეალურად, 90 წლიანი პერიოდის ნაწილია. ეკონომიკაში ძალიან საინტერესო ცნება არსებობს, რომელიც რუსმა ეკონომისტმა კონდრატიევმა შემოიტანა, რომელიც 37 წელს დახვრიტეს — ე.წ. გრძელი ტალღები. როდესაც კონდრატიევი კაპიტალისტურ ეკონომიკას იკვლევდა, მან გარკვეული ტიპის ციკლები აღმოაჩინა — არსებობს 50-60 წლიანი აღმავლობის ციკლი, შემდეგ დეპრესიის, ისევ აღმავლობის და ა.შ. რატომ ხდება ასე? — ამაზე ზუსტი პასუხი დღემდე არ არსებობს, თუმცა, ამ ციკლების არსებობას ეკონომისტთა უმრავლესობა აღიარებს. გავავლებდი ანალოგიას — საქართველოში პოლიტიკური სისტემის თვალსაზრისით, ის ციკლი, რომელიც 1921 წელს დაიწყო, 90 წელიწადს გაგრძელდა და 2012 წლის 1 ოქტომბერს დასრულდა. თუ 90-წლიან ციკლს შევხედავთ, დავინახავთ — 20-იანი წლების ბოლშევიკურ შემდეგ სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის, ნაციონალური, შევარდნაძის დაბოლოს, სააკაშვილის პერიოდს. თუ ამ ყველაფერს შინაარსობრივად განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ბოლშევიკური პერიოდი ეს არის ვერტიკალი, როდესაც პარტია ხელისუფლება ხდება, ხოლო ეკონომიკა მთლიანად მართული, კერძო საკუთრება კი, ფაქტობრივად კანონგარეშეა. შემდეგ შემოდის ნეპის პერიოდი. შემდეგ დგება სტალინური პერიოდი, შემდეგ ნომენკლატურის — ხრუშჩოვი-ბრეჟნევის პერიოდი მოდის. მერე ხდება ამის ლიბერალიზაცია, ნაციონალური მომენტი — კიდევ ერთი ტრანსფორმაცია იმავე სისტემის, რომელიც ასევე ცდილობს ყველა სისტემაზე კონტროლს. შემდეგ მოდის შევარდნაძის პერიოდი, როდესაც ამ კონტროლის შესუსტება ხდება და ბოლოს ჰიპერ-კონტროლი. ამ აზრით, თუ 9-წლიან რეჟიმს ნეობოლშევიზმად განვიხილავთ, თუ ამას 90-წლიან ციკლში განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ ციკლი შეიკრა და როგორც დაიწყო, ზუსტად ისე დამთავრდა. ანუ სისტემურად ეს მართლაც იყო გამეორება, არა მარტო ფსიქოლოგიურად, ან — რიტორიკის დონეზე, არამედ წმინდა სისტემის დონეზე — რითიც დაიწყო, იმით დასრულდა, ანუ ბოლშევიზმით, ხისტი ვერტიკალით.

მოკლედ, სააკაშვილის დრო დამთავრდა. აქედან გამომდინარე, მისი მობრუნება უკვე შეუძლებელია, მან ჩაილურის წყალი დალია. ქართულ ენაში ჩაილურის წყალის დალევა იგივეა, რაც ბერძნულ მითოლოგიაში დავიწყების მდინარის — ლეთეს გადალახვა. ამ აზრით, მეტაფორულად რომ ვთქვათ, სააკაშვილი უკვე არის ბერძნული ჰადესის მკვიდრი. მისი დაბრუნება და გამეორება უკვე შეუძლებელია.

## წამის გმირები

მაგალითად, რჩეულიშვილი, რომლის ფრაზა შევარდნაძე ისტორიის სანაგვეზე — შემოგვრჩა, უცებ აღმოჩნდა ფოკუსში. ის წამიერი გმირია. არიან გმირები საათის, 24 საათის, წლის, წამის, საუკუნის. მაგალითად, მერაბიშვილი, სანამ ხმას არ იღებდა, მის მიმართ დიდი მოლოდინი იყო, როგორც კი ხმა ამოიღო მაშინვე მისსავე პერსონაჟს დაემსგავსა „ბანანის რესპუბლიკიდან". რაც შეეხება ოქრუაშვილს, რომელმაც სააკაშვილს მკვლელი უწოდა, ერთი დღე ციხეში ჩასვეს და შემდეგ პარიზში აღმოჩნდა — იგი რაღაც მომენტში გმირად იქცა, მერე მოინანია და გმირის შარავანდედი დაკარგა. თუმცა, იგი ესქატოლოგიურ ფიგურად მაინც რჩება. ეს იგივეა, რაც შიიტური ესქატოლოგიის თანახმად დაფარული იმამი. ასე ელოდებოდა ხალხი ოქრუაშვილის მოსვლას, მაგრამ ესქატოლოგიური ვნებები გაქრა. აქვე საინტერესოა კიწმარიშვილის ფიგურა, რომელიც ოქრუაშვილის მოლოდინს ქმნიდა, ანუ ესქატოლოგიურ პათოსს, ვნებებს აღვიძებდა, შემდეგ ამან ოპოზიცია აბსოლუტურ ფრაგმენტაციამდე, დაშლამდე, ნიჰილიზმამდე მიიყვანა. ეს შეიძლება ჩანაფიქრში არ იყო, მაგრამ ასეთი შედეგი მოგვცა, რაც მხოლოდ ეროსის კი არა მთელი ოპოზიციის დამსახურებაა. ამ თვალსაზრისით კიწმარიშვილი გოდოს — ოქრუაშვილის — მოლოდინს უწყობდა ხელს.

## ივანიშვილი — აწმყო და ცხოვრების საზრისი — მონტაჟი

საინტერესო მომენტია, დასრულდა თუ არა ამით გმირების, ფსევდოგმირების, კვაზიგმირების ეპოქა? — რა თქმა უნდა, არა, პირიქით, კიდევ უფრო მეტი გმირები გამოჩნდებიან. უკვე ჩანან კიდეც ასეთი გმირები. მაგალითად, ერთ დღეს გმირი იყო კიკონიშვილი, რომელმაც შალვა რამიშვილს ფაშისტი უწოდა. მეორე დღეს, რაღაც მომენტში, გურჩიანი გახდა გმირი. ვიღაცისთვის გურჩიანი გმირია, ვიღაცისთვის, ანტიგმირი. ვიღაცისთვის გმირი ლორთქიფანიძეა და პირიქით — ვიღაცისთვის ის ანტიგმირია. ანუ საზოგადოება ძალიან ჭრელია და ამდენად, წამის, დღის გმირები შეიძლება რამდენიმე იყოს — გმირი მერე ანტიგმირი, გააჩნია რა კუთხით შეხედავ.




ამ კუთხით, ძალიან საინტერესოა, ვინ არის ბიძინა ივანიშვილი? თუნდაც რით განსხვავდება იგი წამის, დღის გმირებისგან. პიერ-პაოლო პაზოლინის გენიალური სტატია აქვს — „სიკვდილი, როგორც სიცოცხლის საზრისი". სადაც იგი ამბობს, რომ სიკვდილი ის მონტაჟია, რითაც საბოლოოდ ცხოვრების საზრისს ვხვდებით. იგი კინოს და ცხოვრებას ერთმანეთს ადარებს — რაც კინოში მონტაჟია, ის არის სიკვდილი ცხოვრებისათვის, როცა უკვე რაღაც მთავრდება და როგორც ფილმს, ისე შეგვიძლია თავიდან ბოლომდე ვუყუროთ. აქედან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილზე ვერც ერთს ვიტყვით და ვერც მეორეს. იმიტომ, რომ ეს ჯერ არ დასრულებულა. ამ ეტაპზე, მას ვიღაც აღიქვამს, როგორც გმირს, ვიღაც, როგორც მორალურ პოლიტიკოსს, ვიღაც აღიქვამს, როგორც მესიას, ვიღაც — როგორც გამჭრიახ ადამიანს და ა.შ. ანუ ახლა ჰორიზონტი გაიხსნა, რაც ნიშნავს, რომ მომავლის ძალიან ბევრი პროექტი არსებობს, განსხვავებით სააკაშვილისგან, რომელიც წინ მიგვიძღოდა ნათელი სინგაპურისკენ, რომელიც თან ნატოში იყო, თან შვეიცარია იყო და თან ეს ყველაფერი ერთად.

> „იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
> ვისიც არ ითქმის სახელი,
> ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
> ჩუმის ნატვრითა ქართველი?"
>
> ილია

ამისგან განსხვავებით, ახლა აწმყოს მიენიჭა ძალიან დიდი მნიშვნელობა. ანუ ივანიშვილი თავისი ერთწლიანი გზით გვეუბნება, რომ აწმყო არის მნიშვნელოვანი — ახლა მორალური უნდა იყო, როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობდა — „აქ და ახლა". „აქ და ახლა" უნდა იყო მორალური, „აქ და ახლა" უნდა იყო პასუხისმგებლობით აღსავსე, „აქ და ახლა" არის საზრისი. თუ ეს ასე არ არის, მაშინ მერეც არ იქნება, ეს საზრისი.

შესანიშნავმა რეჟისორმა მიხეილ რომმა, რომელიც ეიზენშტეინის მოწაფე იყო, პირველ ფილმს რომ იღებდა ეიზენშტეინს რჩევა ჰკითხა. ეიზენშტეინმა უთხრა — ახლა შენ პირველ ფილმს იღებ და მისი გადაღების დროს სულ უნდა გქონდეს ერთი აზრი — თითქოს ამ ფილმის გადაღების შემდეგ კვდებიო. იმ განცდით უნდა გადაიღო, რომ ამ ფილმის გარდა არაფერი არ გრჩებაო. ეს ძალიან ქრისტიანული მომენტია. ეიზენშტეინს ალბათ, გაუკვირდებოდა, ამას რომ ვამბობ, მაგრამ ქრისტიანული ცხოვრება არის სწორედ ცხოვრება აქ და ახლა. იმიტომ, რომ ამ ცხოვრებასა და იმ ცხოვრებას, როგორც გენიალური რუსი კათოლიკე ფილოსოფოსი პიოტრ ჩაადაევი იტყოდა — მესაფლავის ნიჩაბი არ ჰყოფს, ანუ იქ ცხოვრება მესაფლავის ნიჩბით არ იწყება. მარადიული ცხოვრება მუდმივად მონაწილეობს ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ცხოვრების საზრისი, ანუ „მერე" — უკვე ჩართულია აქაურობაში. აქედან გამომდინარე, ადამიანმა უკვე აქ თუ არ იცხოვრე, მერე გვიან იქნება. ყოველთვის უნდა იცხოვრო „აქ და ახლა"-ს საზრისით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენმა ამ ახალმა სიტუაციამ აწმყოს მნიშვნელობა გამოაჩინა. იმიტომ, რომ სააკაშვილი ორიენტირებული იყო მომავალზე. ზვიად გამსახურდია იყო ადამიანი, რომელიც ორიენტირებული იყო წარსულზე. შევარდნაძე იყო ადამიანი, რომელიც დროს ანელებდა — სასპენსი იყო. ახლა აწმყოს დრო მოვიდა, ივანიშვილი აწმყოა, რომელიც ღიაა, როგორც წარსულისადმი, ისე მომავლისადმი. და ეს მომავალი, ამ ყველაფერში უკვე ჩართულია და ასევე წარსულიც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. მე ასე ვიტყოდი — ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ივანიშვილი. გარკვეული აზრით ისე, როგორც არ ვიცით საკუთარი თავი. ეს მაშინ გამოჩნდება, როცა მონტაჟი მოხდება. მაგრამ ისევ ვიმეორებ, უკვე ისე უნდა იცხოვრო, როგორც ამ მონტაჟის ჩრდილი, რასაც ქრისტიანი საბოლოო სამსჯავროს უწოდებს, ხოლო ბუდისტი — მაიტრეას ეპოქას (მაიტრეა მომავლის ბუდაა, რომელიც როცა მოვა, ყველა ცოცხალი არსება ნირვანაში გადავა).

## რისკისა და ხიფათის დრო

სახარებაში მუდმივად არის ასეთი ფრაზა — მოვალს, მაგრამ აწვე არს. ანუ ღვთის სამეფო მოვა, მაგრამ უკვე აქ არის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია — ივანიშვილმა ქართულ სინამდვილეში აწმყო დააბრუნა. იმიტომ, რომ სააკაშვილი სინამდვილეში იმ მომავალს აგებდა, რომელიც „ვიკიპედიაში" ჩაიწერებოდა, ხოლო რასაც ივანიშვილი გვთავაზობს, ეს თითოეული ჩვენთაგანის მონაწილეობაა ამ პროცესში. ამიტომ ნურასოდეს ვიკითხავთ — ვინ არის გმირი, რადგან გმირი თითოეული ჩვენგანია. იმიტომ, რომ თითოეული ჩვენგანი ერთდროულად თან საპყარია, თან გმირია, ეს ყველაფერი ერთადაა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ისაა, თუ ვისთვის ხდება ეს ყველაფერი? — იმისთვის, რომ აისახოს, მოხდეს რეპრეზენტირება, გადაღება, თუ ეს ყველაფერი ხდება იმისთვის, რომ გვქონდეს ის, რასაც ეპიკურელები სიცოცხლის


იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

სისავსის განცდას უწოდებდნენ. ეს სავსებით ქრისტიანული პოზიციაა — სიცოცხლის სისავსის, სიხარულის განცდა, მიუხედავად ტანჯვისა. ეს არის ადამიანის ცხოვრება — საზრისის განცდა. საზრისი კი ყოველთვის არის აქ და ახლა. საზრისი ყოველთვის იყო და იქნება, მაგრამ აქ და ახლა. ამიტომ არ არსებობს ცენტრალური და მარგინალური, ჩამორჩენილი და არაჩამორჩენილი, პროგრესული და რეგრესული, არსებობს საზრისის სიტუაცია — ან წვდები ამ საზრისს, ან უარს ამბობ მასზე. ამ აზრით არ არსებობს პრივილეგირებული დრო — ყველა დრო ერთნაირად კარგია ან ცუდია. მაგრამ რაღაც მომენტში ამის გათვალისწინება ხდება და უცებ ჰორიზონტის აბსოლუტური გახსნის განცდა ჩნდება. ჰორიზონტი მაშინ იხსნება, როდესაც ვერტიკალური, ანუ ტრანსცენდენტური განზომილება შემოდის. ამ აზრით, ტრანსცენდენტური განზომილება არის სწორედ საზრისის მომენტი — მოვალს, მაგრამ აწვე არს. ასე ვიტყოდი, 1 ოქტომბერი სწორედ ასეთი მომენტია, რომელიც, ერთი მხრივ, ისტორიაში პიროვნების როლს გვიჩვენებს, ანუ ეს გამარჯვება ერთმა კაცმა — ბიძინა ივანიშვილმა მოიტანა, მაგრამ მეორე მხრივ — ქართული საზოგადოების მზაობაც არის. აღმოჩნდა, რომ ქართულ საზოგადოებას სიცოცხლის ინსტინქტი აქვს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ეს სიტუაცია ძალიან მნიშვნელოვანია, გარკვეული აზრით, ბედისწერით აღსავსეა. ბარათაშვილს აქვს ეს არაჩვეულებრივად გამოხატული — „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“ (ამას ნაპოლეონი ამბობს ბარათაშვილთან). არის დროის რაღაც მომენტი, როცა ის საზრისია. ყველა წამში არის საზრისი, მაგრამ უცებ ისე ხდება, რომ ფარდა ჩამოვარდება და ვხედავთ კულისებს მიღმა რა ხდება, ანუ ჰორიზონტი იხსნება. ახლა სწორედ ასეთი სიტუაციაა. ზოგი ამას შანსს უწოდებს. დრო, ამ შემთხვევა-



ში, სავსეა მოლოდინით, რისკით და ხიფათით. როგორც ჰოლდერლინი იტყოდა — სადაც ხიფათია, ხსნაც იქაა. ბერძნებს დროის აღმნიშვნელი რამდენიმე ტერმინი ჰქონდათ, მაგალითად — ქრონოსი, ანუ დრო, რომელიც ითვლება და კაიროსი — ჟამი, რომელიც არ ითვლება. წამი, სადაც იმ წამში ხდება ყველაფერი, ეს შეიძლება საუკუნეზე დიდი იყოს. წამი, რომელშიც მთელი მარადისობა ეტევა. ჩვენ ახლა ასეთ მომენტში ვართ, როგორც ტოლკინის გენიალურ ეპოპეაში — წავიდნენ ელფები, გნომები და ახლა ადამიანების ეპოქაა. ადამიანების ჟამი მოვიდა.

ესაუბრა
**თამარ შველიძე**

# konf l iqt i samt rediaSi

**ერთი კვირის წინათ სამტრედიაში დიდი ხმაური იყო — ქალაქის ახალ გამგებელს ავთანდილ სტურუას. რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი იყო, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ და გამგებელს მძიმე ბრალდებები წაუყენეს.**

**ვნებათაღელვა სამტრედიაში ჯერ არ ჩამცხრალა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები თვლიან, რომ სტურუამ გამგებლის თანამდებობა კანონდარღვევით დაისაკუთრა. ამასთან ერთად, სტურუას ადანაშაულებენ თანხების უკანონოდ მითვისებასა და განკარგვაში.**

**„ქართული ოცნების“ სამტრედიელი მხარდამჭერები და აქტივისტები გამოსავალს საკანონმდებლო ცვლილებებში ხედავენ, რომლითაც შესაძლებელი გახდება გამგებლების დემოკრატიული, ცივილიზებული გზით არჩევა.**

**ზურაბ ნინუა, კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნების“ წარმომადგენელი:** — 2006 წლის აპრილი თუ მაისის თვეში კულაშის გამგებელი ზაზა ნემსაძე ზედმეტად გადარიცხული თანხების არამიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით დააკავა ქუთაისის საფინანსო პოლიციამ. საფინანსო პოლიციის უკვე ყოფილ გამომძიებელს ერეკლე გიორგაძეს და ავთო სტურუას შორის მისი სიძის დაკავებიდან რამოდენიმე საათში მოხდა გარიგება და ზაზა ნემსაძე იქნა გამოშვებული საფინანსო პოლიციიდან ისე, რომ დაკა-



ვების ფაქტი დაფიქსირებული არ იქნა.ავთო სტურუას მითითებით საფინანსო პოლიცია მოედო სხვადასხვა სამსახურებს უკანონოდ.

2006 წელს ავთო სტურუამ ჩემს წინააღმდეგ დაიწყო ცილიმწამებლური კამპანია.ეს ერეკლე გიორგაძემაც მითხრა,წერტილი ვერ ვნახე შენს დასაჭერად, თორემ ავთო სტურუას შეკვეთით იქნებოდი დაჭერილიო.

ავთო სტურუამ მის ცოლს მისცა სოციალური დახმარება 500 ლარი ამ დროს მისი ცოლი იყო აბაშის მაცხოვრებელი. ავთოს ცოლი იყო, თორემ არანაირი შეხება არ ჰქონდა სამტრედიასთან. ავთო სტურუა მუშაობდა აბაშის ენერგეტიკის სამსახურის უფროსად და იმავდროულად იყო „ნაციონალური მოძრაობის“ სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ნამდვილად ვიცი, რომ მილიონ ნახევარზე მეტი ავთანდილ სტურუას გამგებლობის პერიოდში არამიზნობრივად აქვს დახარჯული. 2008 წლის არჩევნებისთვის რომ ემზადებოდნენ, საარჩევნო ფულები ბიუჯეტიდან მოხსნა ავთო სტურუამ, როცა ის დეპუტატობის კანდიდატი იყო. ანალოგიური მოხდა ახლაც, 2012 წლის ბიუჯეტი სამტრედიის არის 13 მილიონი და აქედან სამტრედიისთვის 2 მილიონის თუ არის გაკეთებული რამე. ეს ყველაფერი საარჩევნო კამპანიას მოხმარდა. გამგეობაში ფიგურირებდა და დღესაც ფიგურირებს ლელა დიასამიძე, ადრე იყო იურიდიული სამსახურის უფროსი და ახლა საკრებულოში იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეა, რომელიც არის ავთო სტურუას უახლოესი ნათესავი. ამ ფულების გადარიცხვებს და დახმარებებს უშუალოდ ლელა კურატორობდა. მისი და ავთო სტურუას გარეშე არაფერი არ ხდებოდა.

ახლაც ოქტომბრის თვეში ავთო სტურუამ თავი უკანონოდ დაინიშნა გამგებლად საკრებულოს გადაწყვეტილებით. ეს არის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსანდრე ჯვარშეიშვილის მიერ დაკავებული თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ავთო სტურუამ 2004 წლიდან დეპუტატობა და გამგებლობა კარგად მოირგო. თითოეული დღე ავთო სტურუას და კობა კანდელაკის გამგებლობის პერიოდიდან მოსაკვლევია. 2006 წლის 13 იანვარს უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქის სტატუსით კობა კანდელაკმა თავის თავზე გასცა ერთჯერადი დახმარება 200 ლარი, იმ დროისთვის კობა კანდელაკი თანამდებობრივად სამტრედიის რაიონის გამგებლის პირველი მოადგილე იყო და მისი ხელმოწერითაა გაცემული აღნიშნული დახმარება, თქვენს გაზეთს წარმოვუდგენთ ამ განკარგულების №17-ის ასლს. პროკურატურა შემოვა, კონტროლის პალატა თუ საფინანსო პოლიცია, მე თვითონ მათთან ერთად დავჯდები და გადავამოწმებ თითოეულ ფურცელს, რადგან ავთო სტურუას ჰყავს მფარველები პროკურატურაში, საფინანსო პოლიციაშიც, კონტროლის პალატაში ჰყავს ნაცნობ-მეგობრები. ისევ ბატონი ბიძინა და საკანონმდებლო ორგანო უნდა მოგვეხმაროს. სასწრაფოდ უნდა მიიღონ კანონები ისეთი, არა როგორც ნაციონალებმა მოირგეს, არამედ ისეთი, ქვეყანას რომ მოერგოს. სასწრაფოდ უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება. გადარჩეული იქნას ყველა სოფლის გამგებელი, მათი 99% ნაციონალები არიან. უნდა იქნას გადამოწმებული ყველა სკოლის დირექტორების წარსული და არჩევნებთან დაკავშირებით როგორ მოქმედებდნენ. არჩევნებში უმეტესად ისინი იყვნენ კომისიის თავმჯდომარეები. პედაგოგების უმრავლესობა „ოცნებას“ ედგა გვერდში, მაგრამ დირექტორებს ტერორში ჰყავდათ ისინი.


საქართველო
სამტრედიის რაიონის გამგეობა
განკარგულება № 17

**კობა ძიძიგური, სამტრედიის საკრებულოს ფრაქცია „სამტრედიას“ თავმჯდომარე:** — ჩვენთან მოდის მოსახლეობა გვიყვება იმ დანაშაულებების შესახებ, რომელიც სტურუას აქვს პირადად მათ მიმართ ჩადენილი, ისინი სარჩელის გამზადებას აპირებენ. ამბობენ, რომ იყო მისი მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა, არჩევნების დღეს პირდაპირი გინება საარჩევნო უბნებზე, მუქარა. მამუკა მხეიძეს, ყოფილ დეპუტატს შვილის დაწვით ემუქრებოდნენ, თუკი „ქართული ოცნების“ ხალხთან ურთიერთობას არ შეწყვეტდა. ემუქრებოდნენ ავთანდილ სტურუა და ვარძელაშვილი, რომლებიც ერთად აშინებდნენ ხალხს. ვარძელაშვილს ახლდნენ სპორტის წარმომადგენლები 100-150-მდე კუნთიანი ბიჭები ხალხის დასაშინებლად, რომლებიც ხალხს ცემდნენ, მაგრამ დაზარალებულები ამას ვერ ამბობდნენ,რადგან ფაქტის გახმაურების შემთხვევაში დაჭერით ემუქრებოდნენ.



ავთო სტურუას კისერზე 26 წლის ბიჭის სიკვდილია.

ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ღვთის წყალობით ხდება ამ ქვეყანაზე და ბატონი ბიძინას გამოჩენა პოლიტიკაში მართლა ღვთის წყალობა იყო. აღარანაირი შანსი არ ჩანდა იმისა, რომ ნაციონალებს ვინმე შეცვლიდა ხელისუფლებაში.

**მამუკა მხეიძე, პარლამენტის ყოფილი წევრი:** — 1 ოქტომბერს დილის 10 საათზე ჩემი შვილის ბაბუასთან იყო სატელეფონო ზარი, რეკავდა ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, რომელიც ეუბნებოდა: რატომ დადის ეს ბავშვი 41 ნომერი მაისურითო. ცოტა ხნის შემდეგ კი უკვე იმუქრებოდნენ ბავშვის ლიკვიდაციით... 41-ნომრიანი მაისურიანად დავწვავთ შენს შვილსო. ეს მოხდა დილის 10 საათიდან დილის 12 საათამდე, არადა ამ დროს ჩვენ ხმა უკვე მიცემული გვქონდა.



მე კონკრეტულად ვერ ვიტყვი, რომ ავთო სტურუა მემუქრებოდა, მაგრამ საქმე იმაშია, ე.წ ზონდერ ბრიგადებს, რომლებიც ჩამოყვანილი იყვნენ აქ და რომლებსაც ავთო ხელმძღვანელობდა, კარგად იცოდა, ვინ იყვნენ ეს ხალხი, რისთვის იყვნენ ჩამოსული.

თქვენი გაზეთიდან ვეუბნები ავთო სტურუას: მე არც გამგებლობა და არც მაჟორიტარობა არ მინდა, მაგრამ სამართლიანობა უნდა აღდგეს.

**ავთო სტურუა, სამტრედიის გამგებელი:** — ვიყავი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ნაციონალური მოძრაობის და ვცდილობდი ჩამეტარებინა საარჩევნო კამპანია ისეთნაირად, რომელიც საარჩევნო კამპანიას სჭირდება. თუკი ვინმემ რაიმე დააშავა რაიმეს გადააჭარბა, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს. ის რომ, არ გვინდა ეს გამგებელი, რადგან ის არის ნაციონალური მოძრაობის წევრი, ეს არის უსამართლობა. მე უნდა მომეცეს საშუალება იმისთვის, რომ ვიმუშაო. ვინაიდან მე დამნიშნა რაიონის საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს თანხმობით.



მე ბრალს მდებენ 26 წლის ბიჭის თვითმკვლელობაზეც.

ორიოდე სიტყვით გეტყვით: პოლიტიკის გულისთვის, სიბინძურეებზე არ უნდა წავიდეს ადამიანი. ეს არის უდიდესი ცოდვა და ვინც ამაზე საუბარი ააგორა, მის ოჯახს და მის შვილებს უდიდესი ცოდვა დაადო. როგორ შეიძლება ადამიანს დააბრალო ის, რასთანაც შეხება არ ჰქონია.

**ნატო ივანიაძე,**
**სამტრედია,**
**სპეციალურად „საერთო გაზეთისთვის“**

# Cikatiloebi qarTul jarSi

# იქ იყო უზარმაზარი ხორცსაკეპი, რომლებშიც გვამებს ატარებდნენ და მერე მტკვარში ყრიდნენ...

**როგორც ირკვევა, ბაჩო ახალაიას სისასტიკისა და სადიზმის მსხვერპლნი მარტო პატიმრები არ ყოფილან. რა საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სამხედრო პირები თავდაცვის უწყებაში და რა ცოდვის კალო დაატრიალა „ბატონმა“ ბაჩანამ შსს-ში ამის შესახებ „საერთო გაზეთს“ ვაზიანის (№4 ბრიგადა) სამხედრო ნაწილის ერთ-ერთი თანამრომელი, ე.წ. კონტრაქტნიკი (მისი ვინაობის გამხელისგან, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, თავს შევიკავებთ) და აფხაზეთის ომის მონაწილე, სამხედრო დაზვერვის ყოფილი ოფიცერი, ვეტერანი ნათელა ქარდავა ესაუბრნენ.**

ჩვენი ანონიმი რესპონდენტის განცხადებით, გიორგი სიხარულიძის თავდაცვის მინისტრობის დროს ჯარში ნორმალური მდგომარეობა იყო, თუმცა ბაჩო ახალაიას გამინისტრების შემდეგ ვითარება მკვეთრად შეიცვალა, კონტრაქტნიკების შეურაცხყოფა და ცემა-წამება ჩვეულებრივ ამბად იქცა.

ჯარი, რომ იტყვიან, „დააჩმორეს“, ისე დააშინეს, რომ ბრძოლის უუნაროდ აქციეს. ნაცემმა და დაშინებულმა ჯარისკაცმა როგორ უნდა იბრძოლოს და დაიცვას სამშობლო?

ღამის 2-3 საათზე გაყავდათ პლაცზე (სამწყობრო მოედანი) ჯარისკაცები და სცემდნენ, რაშიც უშუალოდ მონაწილეობდა ბაჩო ახალაია. სატანკო ნაწილში „სალიარკა“ დაიკარგა. შუაღამისას გამოიყვანეს იმ ნაწილის ჯარისკაცები და ენა ვერ აღწერს, ისე აწამეს. ეს საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, ტირილი მინდოდა ამას რომ ვუყურებდი. ჯარისკაცები გააშიშვლეს, ჯერ სასტიკად სცემეს და მერე აიძულებდნენ ბეტონზე ზურგით დაყრილებს, წრიულად ეტრიალათ. ამ ცემა-წამებაში მონაწილეობდნენ ბაჩო ახალაია, ბრიგადის მეთაური ზურაბ შამათავა, რომელიც ახალაიას დეიდაშვილია, ბრიგადის სერჟანტი ჯიმშერეიშვილი, სახმელეთო ჯარების სერჟანტი გორგაძე და საერთოდ, სამივე ბატალიონის სერჟანტები. ახალაიამ ბალთიანი ქამარი მოახსნევინა გორგაძეს და იმით სცემდა ჯარისკაცებს. ნაცემი ჯარისკაცები სადღაც წაიყვანეს და ცოცხლები არიან თუ არა, არ ვიცი.

რამდენიმე თვის წინ ვაზიანის ბრიგადაში მომხდარი ფაქტი მინდა გავიხსენო, ოღონდ ზუსტად არ ვიცი, რომელ ბატალიონში მოხდა (თავდაცვის მინისტრი ისევ ბაჩო ახალაია იყო), ერთ კონტრაქტნიკს სახლში უნდოდა წასვლა, მაგრამ არ უშვებდნენ. მას უთხოვია, მობილურ ტელეფონს მაინც შემოვიტან, ოჯახს რომ დავეკონტაქტოო. უარი უთხრეს. მას მაინც შეუტანია ტელეფონი, რის შესახებაც იქ ვილაცისთვის უთქვამს, ეს ბიჭი მეთაურთან დააბეზღა. იგი შტაბში მიიყვანეს და სასტიკად სცემეს. ის ვაჟკაცი, თავმოყვარე ბიჭია, ვერ აიტანა ასეთი შეურაცხყოფა და ტყვია დაიხალა, მაგრამ, საბედნიეროდ გადარჩა.

ის პირები, რომლებიც ასეთ რეპრესიებს უწყობდნენ ჯარისკაცებს, ყველა ბაჩო ახალაიას საახლობლოს განეკუთვნებიან, ე.წ. ზონდერები არიან და სადამსჯელო ოპერაციებზე სულ ეს ხალხი გაყავდათ. ახალაია შს მინისტრად რომ დანიშნეს, მარტო ეს ჯგუფი კი არა, ლამის თავდაცვის სამინისტროს მთელი შემადგენლობა (დაზვერვა, ბრიგადის დაზვერვა, რეინჯერები) თან წაიყვანა და შსს-ს მიამაგრა, ყველას წოდებები მისცა, ვიცე-პოლკოვნიკობა და ა.შ. ამბობდნენ, დავით ვეკუას მინისტრის მოადგილეობას ჰპირდებოდაო. ახალაიას გადადგომის შემდეგ, ამ ჯგუფს საყრდენი გამოეცალა და ისევ დაბრუნდნენ თავიანთ უწინდელ თანამდებობებზე. არ იფიქროთ, რომ პროფესიონალები არიან და იმიტომ ჰყავდა ახალაიას პატივში, უბრალოდ სასაცილოა მათ პროფესიონალიზმზე საუბარი. ბაჩოს „ხალხი“ იყო და იმიტომაც ნიშნავდა პრესტიჟულ თანამდებობებზე. შამათავას 150.000-დოლარიანი ბინა უყიდეს ვაკეში თუ საბურთალოზე. დავით ვეკუაც დიდ პატივში ჰყავდათ. რაც შეეხება გიორგი კალანდაძეს, ზურაბ შამათავას მოსვლამდე ვაზიანის ბრიგადის მეთაური იყო, უფროსი ლეიტენანტი და ერთ წელიწადში ვიცე-პოლკოვნიკი გახდა. როგორც მოეხასიათებოდათ, წოდებებს ისე ირიგებდნენ“.

**- თუ ასეთ მძიმე პირობებში იყავით, გაგეწყვიტათ კონტრაქტი და წამოსულიყავით.**

- კონტრაქტს ასე ადვილად ვერ გაწყვეტდი. ეს რომ მოგეთხოვა, წასვლის მიზეზს აუცილებლად გკითხავდნენ და თუ ეტყოდი, არ მომწონს ეს სისტემა და რეჟიმიო, უარეს დღეში ჩაგაგდებდნენ, საქმეს „შეგიკერავდნენ“ და დაგიჭერდნენ, ოჯახსაც გაგინადგურებდნენ. იმ კონტრაქტნიკებს, ვისაც სამსახურის ვადა ეწურებოდათ (3-4 თვე ჰქონდათ დარჩენილი) და კონტრაქტს აღარ აგრძელებდნენ, მონებივით ექცეოდნენ, ყველანაირ „შავ სამუშაოს“ მათ აკეთებინებდნენ. ამ ხალხსაც რა ექნა, ითმენდნენ და ასე დამცირებული ამთავრებდნენ სამსახურს. ბოლო ხანს (შაშკინის მინისტრობის დროს) გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჯარისკაცებზე პრემიები უნდა გაეცათ. სერჟანტებს სათითაოდ იბარებდნენ და ეუბნებოდნენ, გვერდით თუ დაგვიდგებით, დაგაჯილდოებთო. გვერდით დგომაში რას გულისხმობდნენ, ზუსტად არ ვიცი, ალბათ, იმას, არჩევნების დროს რამე რომ მომხდარიყო, მხარს თუ დაუჭერდნენ. გამოიტანეს პრემიების თანხაც, 700 თუ 750 ათასი ლარი, მაგრამ აღარავის მისცეს. სად გაქრა ეს ფული, არავინ იცის.

როგორც ვეტერანი მეომარი **ნათელა ქარდავა** აცხადებს, ასეთივე ინციდენტები შსს-ს დაქვემდებარებაში მყოფ განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა სამსახურშიც (გმდს) ხდებოდა.

- ადრე ამ სამსახურს შინაგანი ჯარები ერქვა, სადაც მე თვითონ ვმსახურობდი და იქ ბევრი ჩემი მეგობარი ისევ მუშაობს. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეში ეჭვი არ მეპარება. ბაჩო ახალაია, შს მინისტრად დანიშვნისთანავე, ღამის 4 საათზე, მისულა თავის ბანდასთან ერთად ამ სამსახურში. ახალაიას და მის ბანდას ძალიან მოსწონებიათ იქაურობა, რა კარგი კაბინეტებიაო. ბაჩოს ყველასთვის დაურიგებია ოთახები, ძველი თანამშრომლები კი ერთ ოთახში შეუყრიათ.

ეს უბედურება ამით არ დამთავრებულა. ახალაიამ რამდენიმე თავისი დამქაში (ზურაბ შამათავა, დავით ვეკუა, კიკაბიძე და სხვები) მიუგზავნა ამ სამსახურის ოფიცრებს და დაუწყიათ მათთან ვითომდა შინაურული საუბარი, აგინებდნენ ახალაიებს, სააკაშვილსა და მერაბიშვილს, არ მოგვწონს ამათი საქციელი, რამე თუ მოხდა, დედას ვუტირებთო. რამდენჯერმე გაუყვანიათ ეს ოფიცრები ნაწილიდან, საქეიფოდაც დაუპატიჟებიათ და მიდიოდა ეს საუბრები. თავიდან ეს ოფიცრები (შვიდი კაცი) არ აყვნენ პროვოკაციას, მაგრამ ბოლოს დაუჯერებიათ მათი გულწრფელობა, მართლა შინაურები არიანო და უთქვამთ, არც ჩვენ მოგვწონს ეს ხალხი და რამეს თუ დააპირებთ, გვერდით დაგიდგებითო.

ამ გარეწრებმა, თურმე, ჩაიწერეს ეს საუბარი და მიუტანეს ახალაიას, ამ ოფიცრებსაც მოასმენინეს. მოგვიანებით, შვიდივე ოფიცერი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს და მთელი ოთხი დღე უგზო-უკვლოდ იყვნენ დაკარგული, არავინ იცოდა, რომ კოჯრის სამხედრო ნაწილში ჰყავდათ. სამსახური და ოჯახები ეძებდნენ, მაგრამ მათ კვალს ვერ მიაგნეს, რადგან ყველას მობილური ტელეფონები გამორთული იყო. თურმე მთელი ეს პერიოდი ამ ადამიანებს არაადამიანური სისასტიკით სცემდნენ და აწამებდნენ. ერთ მათგანს ორივე ფეხი მოსტეხეს და ყბის ძვლები ჩაუმტვრიეს. ბოლოს ერთმა მათგანმა როგორღაც მოახერხა სამსახურში დარეკვა, არ ვიცით სად ვართ, ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ, სასტიკად გვცემენ და გვიშველეთო.

ნაცემ-ნაწამები ოფიცრები კოჯრიდან კი წამოიყვანეს, მაგრამ სამსახურის ნაცვლად, ვაზიანის სამხედრო ნაწილში მიიყვანეს. შამათავამ, ვეკუამ და კიკაბიძემ ამ ბრიგადის კონტრაქტნიკ ჯარისკაცებს თურმე მიწა გაათხრევინა და ეს ნაწამები ოფიცრები ისე ჩააფლვევინეს, რომ მარტო თავები გამოსჩენოდათ. მერე ამ ჯარისკაცებისთვის უბრძანებიათ, ზემოდან ირბინეთო. ეტყობა, კარგად რომ „დატკბნენ“ მათი წამებით, მერე ამოათხრევინეს და ხსენებულ „ტროიკასა“ და სხვა პირებს (ყველა მათგანი ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ყოფილა) ამ ჯარისკაცებისთვის ბალთიანი ქამრებით ცემა დაუწყიათ, როგორ იკადრეთ, რომ ოფიცრები მიწაში ჩაგეფლათო. მოკლედ, უნდოდათ ყველაფერი ამ ბიჭებისთვის გადაებრალებინათ. ბოლოს, როგორც იქნა, დააბრუნეს ეს ოფიცრები, რომლებსაც სერიოზული მკურნალობა დასჭირდათ. ისინი ისე არიან შეურაცხყოფილი და დაშინებული, რომ ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ უნდათ.

რაც შეეხება ახალაიას ამ მაოხრებელ ბანდას, კი წავიდნენ ამ სამსახურიდან, მაგრამ რაც მოეწონათ, კომპიუტერი იქნებოდა, ტელევიზორი თუ სხვა რამ, ყველაფერი თან გაიყოლეს, ავტობუსებით გაიტანეს ნაალაფარი.

**- კიკაბიძესთან დაკავშირებით რის მოყოლას აპირებდით?**

- აგვისტოს ომის დროს ის ვაზიანის ბრიგადის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური გახლდათ. ერთი ჩემი ახლობელი მსახურობდა ამ ბრიგადაში და ომშიც იბრძოდა. ასე, რომ მან და ყველა იმ სამხედრო პირმა, ვინც იმ პერიოდში გორში იყო, კარგად იციან რეალურად რაც მოხდა. მეთაურებმა მიგვატოვეს, ტყვია-წამლის გარეშე დაგვტოვეს, ცარიელი ავტომატით რა უნდა გაგვეკეთებინა. რუსებმა რომ დაგვცხეს, თავს ვერსად ვაფარებდით, რადგან ყველგან კასეტური ბომბები ცვიოდა. ბიჭებმა გადავწყვიტეთ მოგვენახა ჩვენი მეთაური კიკაბიძე, რომელიც გამქრალი იყო. მისულან გორის საავადმყოფოში და კიკაბიძე უკითხავთ, რომელიც თურმე გინეკოლოგიურ განყოფილებას ყოფილა შეფარებული. კიკაბიძე და სხვა იქ მყოფები ნარკოტიკისგან გათიშულები იყვნენო. ამ ბიჭებმა როგორღაც მოახერხეს, რომ ყველაფერი მობილური ტელეფონით გადაეღოთ, ეს ჩანაწერი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი და მოსმენილი. კიკაბიძე საოპერაციო მაგიდაზე იწვა, მკლავზე „ჟგუტი“ ჰქონდა გაჭერილი და მეორე ოფიცერი (ჩემმა ახლობელმა მისი გვარიც მითხრა, მაგრამ აღარ მახსოვს), რომელიც ისეთ „კაიფში“ იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა, ვენაში ნემსს უკეთებდა. კიკაბიძე მათ ეუბნებოდა: მთავარსარდალს, ანუ მიშას რა ვუთხრათ, დავალება იყო, რომ ჩვენიანების 30% დახოცილიყო, მსხვერპლი კი მხოლოდ 15%-ია. მე რა ვქნა, როცა ის (აქ უწმაწური სიტყვებით მოიხსენია ვიღაც) არის ყველაფერი და როგორ მოვიქცეო. ჩემი ახლობლის თქმით, ამ ამბიდან მოკლე ხანში ქართველი სამშვიდობოების სარდალი მამუკა ყურაშვილი დაჭრეს, ფეხებში ესროლეს. მივხვდით, რომ ყურაშვილმა არაფერი იცოდა და პატიოსნად იბრძოდა, ესენი კი წინასწარ იყვნენ ყველაფერზე შეთანხმებულიო. იმის მერე გინახავთ ყურაშვილი? სად არის ეს ადამიანი ძალიან მაინტერესებს.

როგორც კი ამ ბიჭებმა ეს ინფორმაცია თბილისში გაახმაურეს, მაშინვე დაიწყო მათი დაჭერები, ხსენებული ბრიგადის 40 ჯარისკაცი დაიჭირეს დეზერტირობის ბრალდებით. ხელმძღვანელობამ მიატოვა და გაიქცა და ეს ბიჭები დასაჯეს, ცოცხლები რატომ დაბრუნდითო. ხსენებული ჩანაწერი რომ ვნახე, მაშინვე დავუკავშირდი ჟურნალისტებსა და ადვოკატებს, პრესაშიც დაიბეჭდა ამის შესახებ და მათ შეძლებისდაგვარად დავეხმარეთ, მაგრამ რამდენია ისევ პატიმრობაში დეზერტირობის ბრალდებით.

ერთი შემაძრწუნებელი ფაქტის შესახებაც მინდა გიამბოთ, რაც ასევე საკუთარი თვალით მაქვს ნანახი და დღემდე საჯაროდ არაფერი მითქვამს. ჩემი ნაცნობი ქალბატონი რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექთნად მუშაობდა, ის ექიმებმა საავადმყოფოს სარდაფში (მორგში) ჩაიყვანეს და აჩვენეს ამ ომის შედეგად დაღუპული უამრავი ადამიანის ცხედარი. გადავწყვიტე, ყველაფერი საკუთარი თვალით მენახა. ამ ქალბატონთან ერთად შუაღამისას მივედი რესპუბლიკურ საავადმყოფოში. როგორც იტყვიან, „ჩორნი ხოდებით“ ჩაგვიყვანეს მორგში, რაც იქ ვნახე, მას შემდეგ დავრწმუნდი, რომ მართლაც გეგმავდნენ უამრავი ადამიანის გაჟლეტას, რომ ეს ომი იყო სპექტაკლი, რათა უამრავი ადამიანი დაეხოცათ და მერე მსოფლიოსთვის ეჩვენებინათ — აი, რუსეთმა რა გააკეთა, რამდენი მშვიდობიანი მოსახლე და ჯარისკაცი გაგვიწყვიტაო.

**- ეს როდის მოხდა და კონკრეტულად რა ნახეთ?**

- 2008 წლის აგვისტოს მიწურულს, როდესაც დაღუპულების ცხედრების გამოტანა დაიწყეს. უამრავი მიცვალებული იყო. იქ იდგა უზარმაზარი ხორცსაკეპები, რომლებშიც გვამებს ატარებდნენ. მაპატიოს მათმა სულებმა, ამ დაკეპილ „მასას“ 200-ლიტრიან პლასტმასის კასრებში ათავსებდნენ და მტკვარში ყრიდნენ. იმიტომაც იყო მერე ხალხი რომ ამბობდა — მტკვარს ადამიანის თავები და კიდურები მოჰყვებოდაო. ასე რომ, რაც ნაცხელისუფლებამ ოფიციალურად გამოაცხადა, იმაზე გაცილებით მეტი სამხედრო პირი დაიღუპა ამ უაზრო ომში. მათ დაბრუნებას კი დღესაც ელიან მათი მშობლები, ციხეში ან ტყვეობაში ჰგონიათ.

ქალბატონმა ნათელამ ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სისხლიან სპეცოპერაციასთან დაკავშირებითაც მოგვაწოდა საინტერესო ინფორმაცია. იმ ჩეჩნებს და ქისტებს, რომლებიც ამ სპეცოპერაციისას დახოცეს, ორი თვის განმავლობაში ვაზიანის სამხედრო ნაწილში ავარჯიშებდნენ, რასაც უშუალოდ ხელმძღანელობდა ბაჩო ახალაია. ამ ყველაფრის შესახებ მაღალი ეშელონებიდან საქმის კურსში მხოლოდ ახალაიები, მიხეილ სააკაშვილი და გიგა ბოკერია იყვნენ.



**მანანა სუხიშვილი**

# am werils rom waikiTxaven, zogierTi `a-s-o~ SeiZelba `trusikidan~ amoxtes, magram amoxtes _ sul febebze mkidia...

ხომ საინტერესოა, სულ რამდენი ე.წ. „არასამთავრობო" ორგანიზაციაა საქართველოში? ზუსტად, ალბათ, არც არავინ იცის, მაგრამ ოფიციალური სტატისტიკით, თურმე ნუ იტყვით და... 12500-მდე ყოფილა!

თუმცა საქართველოში მხოლოდ რამდენიმე, უფრო ზუსტად კი 5-6 არასამთავრობო ორგანიზაციის ჰეგემონიაა. დღეს ერთ-ერთ მადგანზე, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაზე („საია") მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება.

როცა საქართველოში ათასობით პატიმარი თუ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანი ითხოვდა — გვიშველეთ, გვაწამებენ და უდანაშაულოდ ვსხედვართ ციხეშიო, „საია" არათუ რეაგირებდა ამ ყველაფერზე, პირიქით, ცინიკურად აცხადებდა: პოლიტპატიმრების მცნება საქართველოში არ არსებობს და ვერც მათ ციხიდან გამოშვებაზე მოგიწერთ ხელს, ბატონებოო!

ძვირფასო მკითხველო! ალბათ, აკვირდებით, რომ ე.წ. არასამთავრობოები, ძირითადად მაინც ჩვენს რელიგიას, ნაციას და ძირძველ კულტურას ურტყამენ ძალუმად. ურტყამენ იმიტომ რომ ამდაგვარი დარტყმებით დიდი ფული იშოვება, ხოლო იმ ფულით ისევ ფული და დიდი ძალაუფლების მოპოვებაც შეუძლიათ! და მაინც, ნეტავ რამდენია, თუნდაც „საიას" წლიური ბიუჯეტი? ვინ აფინანსებს ასე ნოყიერად მათ ყოველდღიურ არსებობას? რეალურად ვინ დგას ამ ორგანიზაციის უკან და რატომ ხდება, რომ მათ წლიურ ანგარიშში, არასოდეს ხვდება მართლაც ეროვნული და პატრიოტული საქმიანობით დაკავებული ადამიანების უფლებების დაცვა? ანდა, ხომ ძალიან საინტერესოა, როცა რომელიმე „ასო" (არასამთავრობო ორგანიზაცია) ფუძნდება, რა იურიდიული ეტაპების გავლაა საჭირო? როგორც საქმეში ჩახედულმა კომპეტენტურმა წყარომ განმიმარტა: „არასამთავრობო ორგანიზაცია, ოფიციალურ რეგისტრაციამდე რამდენმე ეტაპს გადის, მაგრამ იმიტომ, რომ ქვეყნის გარედან დაფინანსება მიიღოს, აუცილებლად სჭირდება არსებული ხელისუფლებისგან ვიზირება, ანუ რეკომენდაცია", ე.ი. რა გამოდის? თუნდაც „საიას" დაფუძნება-დაფინანსებაში, თავის დროზე ედუარდ შევარდნაძეს და შემდგომ მიხეილ სააკაშვილს უზრუნია, ხომ? არადა, ხომ ნონსენსია — ფული და გავლენა აშოვნინო მას, ვინც შენ სახალხოდ გამხელს, გლანძლავს და შენი დასაჭერი საქმეების აკინძვით არის დაკავებული?! კი, ბატონო, ნონსენსია, მაგრამ საქართველოში საქმე სხვგვარად არის, ანუ ერთი ცნობილი ანდაზისა არ იყოს, „ხელი-ხელს ბანს და ორივე კიდევ პირსაო" და ამიტომ, რასაც ხელისუფლება „ვიზირებს", სწორედ იმას ახმოვანებს ყველაზე „წონადი" „ასოც"! მათთვის ლიბერალიზმი, ტოლერანტობა და ამდაგვარი მცნებები, მხოლოდ სიტყვებია, მაგრამ იმისათვის, რომ უფრო მეტი „მწვანეები" მიიღონ, იმასაც ბედავენ, რომ ჩვენი უფლებები ამოიდონ ლაჯებქვეშ.

აბა, დააკვირდით, რომელ „ასო"-ებს ეთმობა სატელევიზიო ეთერი და ბედჭური მედიის ვრცელი გვერდები ყოველდღიურად? რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიერ ხელდასმულებს და ეს რომ მართლაც ასეა, სულ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთხელ დადასტურდა! არა, ნახეთ, მაინც, რა დღეში ჩააგდეს ძირძველი რაჭველი კაცი, ბატონი დარახველიძე ამ ვითომ ქსენოფობიის წინააღმდეგ მებრძოლთა რამდენიმე „ასო"-სგან შემდგარმა რაზმმა? ნახეთ, როგორ შეუტიეს და როგორ ახდევინეს ბოდიშები იმიტომ, რომ, ქართულად აზროვნებს და ჯიშ-გვარში სიძედ ზანგი არ უნდა? ანდა ნახეთ, რა დღეში ჩააგდეს რეჟისორი რობერტ სტურუა, როცა მან თქვა: „საქართველოს პრეზიდენტი არა სომეხი სააკაშვილი, არამედ მინდა ვინმე ქართველი იყოსო"? ძვირფასო მკითხველო, აბა, მითხარით განა საქართველოში მცხოვრები, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ასე არ ვფიქრობთ? ვინ არის ან თამარ ჩუგოშვილი, ან ვინმე ირმა ჯანეზაშვილი აზროვნების შეცვლით რომ გვემუქრებიან? ანდა, რატომ სდუმს ქართული მედიის უდიდესი ნაწილი მაშინ, როცა ასევე „ასო"-დან აღმოცენებული ე.წ. „მედია ექსპერტები" ჭკუას გვასწავლიან — რა თემებით დავკავდეთ და რა თემებზე არ უნდა გავაკეთოთ აქცენტები? მე, ჟურნალლისტი ირინე გოგოსაშვილი, საქართველოს ტელევიზიის I არხზე ნამუშევარი ვარ და ძალიან კარგად ვიცი, ერთი უნიჭო გოგო, აგრეთვე ჟურნალისტი ია ანთაძე რას აკეთებდა წარსულში. რას აკეთებდა და... ტექსტებს სხვები უწერდნენ! აი, ეს არის სიმართლე და ძალიან კარგად ვიცი, რის შემდეგ დაიწყო მისი კარიერული აღმასვლა, სხვა მართლაც ნიჭიერი ჟურნალისტებისგან განსხვავებით! დღეს ტელევიზორს ჩართავ თუ მტვერსასრუტს, უთოს თუ „ფენს" — ყველგან ანთაძეა, ყველგან „რესპუბლიკელების" გაზეთის — „რეზონანსის" რედაქტორი ლაშა ტუღუშია, ყველგან ჩუგოშვილი, ჯანეზაშვილი, დანი და ძმანი მათნაირნი არიან და იქნებ ვინმემ ამიხსნას — რატომ და რისთვის არიან ისინი ასეთი „მოთხოვნადები" ისიც ყველგან და ყოველთვის? რატომ ხვდებიან მხოლოდ მათ, ნამინისტრალი თუ პრეზიდენტობას მოწყურებული პერსონები? რა მაგის პასუხია და... ვინ არის ლაშა ტუღუში, ხვალ ან ზეგ — საზოგადოებრივი ტელევიზიის ხელმძღვანელის პოსტი რომ ჩავაბაროთ?! დამისახელეთ, ერთი სტატია, ერთი პუბლიკაცია, რომელიც „ჟურნალისტ" ტუღუშს ეკუთვნის და მერე ვიმსჯელოთ, ეს კაცი იმსახურებს თუ არა ამ პოსტზე წარდგენას! დამისახელეთ ერთი ეროვნული პლატფორმა ია ანთაძისა და ისიც შემახსენეთ, რა გაუკეთებია მას, მთელი ამ წლების განმავლობაში გარდა უტიფარი დემაგოგიისა?! დღეს საქართველოში ყველაზე აქტუალური, სახალხო დამცველის პოსტზე დასანიშნი კანდიდატის ვინაობაა, მაგრამ დიდი ალბათობით და ქართველების სამწუხაროდ, — ალბათ, ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი „ასოების" მიერ წარდგენილი რომელიმე კანდიდატურა გაიამრჯვებს. ასეთად კი თამარ გურჩიანი (ვინ არის ეს გოგო, რით დაგვამახსოვრა თავი?) და ლია მუხაშავრია („კბილებით დავიცავ სექსუალური უმცირესობების უფლებებს" შალვა რამიშვილის გადაცემაში ნათქვამი სიტყვები. ი.გ) წარმოუდგენიათ მათ, რადგან 7 შვილის მამა, ტრადიციული ქართული მენტალიტეტის და დიდი ქართველი მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის შვილიშვილი დიმიტრი ლორთქიფანიძე, მიუღებელია!

დღეს „მსოფლიოს მამათა" უპირველესი საზრუნავი იმ მყარი ბასტიონის დანგრევაა, რომელსაც მართლმადიდებლური ეკლესია და მართლმადიდებლური მრწამსით აღზრდილი ესა თუ ის ეთნოსი დგას. აბა, დააკვირდით, რა დღეში ჩააგდეს საბერძნეთი? როგორ გაასწორეს მიწასთან სერბეთი? რა ნგრევა, წვერებით თრევა და საპატიმროები უწყალობეს ქართულ ეკლესიას? აი, რუსეთში კი იმიტომ, რომ თავის დროზე ამ ქვეყნის ხელისუფლებამ „სოროსის ფონდი" და მისნაირი ორგანიზაციები არ შეუშვა — თავის სამშობლოში და მხოლოდ ლესბოსელი გოგოების შიშველი ფემინისტების და ე.წ. „ფუსი რაიოტის" ამარა დარჩნენ და ძალიანაც კარგი! ვერც გეებმაც გაიარეს მარშით მოსკოვის ცენტრში და ვერც რუსეთში ამერიკის ელჩმა ვერ გაბედა, პუტინისთვის საყვედური ეთქვა „გეების" უფლებების დარღვევის გამო. აი, ჩვენთან კი სულ სხვაგვარად წარიმართა მოვლენები — ა.წ. 17 მაისს, როცა თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის წინ ორმა პედერასტმა ზასაობა დაიწყეს ბავშვების თვალწინ, მოგვიანებით, მათნაირებისგან შემდგარი გუნდი რუსთაველის გამზირისკენ დაიძრა პლაკატებით — „შენც გაფერადდი", „მე მიყვარს ჩემი გეი მეგობარი" და ა.შ. საზოგადოების მცირე ჯგუფმა გადაწყვიტა, წინ აღდგომოდა სოდომის და გომორას ცოდვის პროპაგანდისტებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საქართველოს პრეზიდენტად წოდებული არარაობაც და სამთავრობო-არასამთავრობო სექტორიც პირიქით ფიქრობდა და ელვა დეპეშაც სწორედ ამიტომ აფრინეს ამერიკაში — გვიშველეთ, ჩვენი ძმების ე.ი. პედერასტების უფლებები ირღვევა საქართველოშიო. ოღონდაც მთავრობასა და „არასამთავრობოებს" შორის კურიერის ფუნქცია ისევ „ასო საიამ" იკისრა და საქართველოში ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმაც სულ ფეხები გვიბაკუნა ამის გამო — ეს როგორ გაბედეთო? მეტიც, სწორედ „ასთო საია"-ს რეკომენდაციით და პირადად თამარ ჩუგოშვილის ინსტრუქტაჟით „უსამართლობის" წინააღმდეგ გალაშქრებული სოსო მანჯავიძე სოლიდური ჯარიმით დააჯარიმეს, ხოლო სასულიერო პირებს მოუწოდეს — ყველა უნდა გიყვარდეთ, გეიც, ლესბოსელიც და მამათმავალიც, რადგან ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან და არ დავუშვებთ მათი უფლებების შელახვას თქვენი პროტესტის მიუხედავადო.







ძვირფასო მკითხველო, აბა, მითხარით ამ ერთი მუჭა „ასოების" ფონზე თქვენ, როგორც ტრადიციების მოყვარული, ეროვნული ფასეულობების დამცველი უდიდესი უმრავლესობა — ხართ კი ის ძალა, რომელიც წინ აღუდგება და გააპროტესტებს გრანტებით დასუქებული და განუსაზღვრელი უფლებით გაზულუქებული ერთი მუჭა საეჭვო ნიჭის მქონე ადამიანებს?

ამასთანავე, განა უპრიანი არ იქნება, ჩვენს სამშობლოში „მოღვაწე" სამთავრობოების, ანუ „არასამთავრობოების", საეჭვო „ექსპერტების" და ზოგადად „ყველაზე მოთხოვნადი" პერსონების დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობა ხმამაღლა მოითხოვოთ? ბოლო-ბოლო, ხომ გვაქვს უფლება ვიცოდეთ, იგივე „საია" ანდა „მედიაექსპერტების" შემადგენლობა ვის მიერ გამოგზავნილი ფულით არსებობს, რამდენია მათი ხელფასი და ვინ უფინანსებს მათ, ქვეყნის გარეთ გამგზავრების ხარჯებს? თუკი ქვეყანაში მართლაც ახალი რეალობაა და ყველაფერი გამჭვირვალე უნდა გახდეს, აბა, გამოაქვეყნოს თამარ ჩუგოშვილმა, ანდა ია ანთაძემ მათი დაფინანსების ნუსხა, ანდა საკუთარი ხელფასის რაოდენობა? სავარაუდოდ, ეს მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული, რადგან ასეთებს რეალურად ფეხებზე ჰკიდიათ ხალხის აზრი და მხოლოდ იმაზე არიან ორიენტირებული, რომ როგორც საკუთარი, ისე ნებისმიერი ხელისუფლების ავანგარდში იდგნენ, როგორც მრჩევლის, ექსპერტის, უფლებათა დამცველის და ა.შ. რანგში.

ასე, რომ, ამ კატეგორიის ჯგუფთათვის წლის, თვის და დღის ნებისმიერ მონაკვეთში საკუთარ ოცნებათა ახდენა პრობლემას არ წარმოადგენს და იგი თანმხვედრია იმ ჯგუფებისათვისაც, რომელთათვის ჩვენი რელიგია, „ბნელი მენტალიტეტი" და „არაფრისმთქმელი" წარსული მხოლოდ ხელის შემშლელი ფაქტორია „მსოფლიო ახალი ადამიანის" ჩამოყალიბების რთულ გზაზე. ხოლო თუ უფრო ზუსტად ვიტყვი, „მსოფლიო მამათა" ძირითადი საზრუნავი — მართლმადიდებლობაზე გადამწყვეტი შეტევაა, რადგან ერთადერთი აულებელი ბასტიონი სწორედაც რომ ბერძნული, რუსული, სერბული და ქართული ეკლესიაა. აბა, ისიც გაიხსენეთ, თუნდაც მოსკოვში, მაცხოვრის ტაძარში შეჭრილმა „ფუსი რაიოტმა" თუ შიშველმა ფემინისტებმა საპროტესტოდ ებრაული სინაგოგა, ანდა, მუსლიმური მეჩეთი რატომ არ აირჩიეს?! განა ვლადიმერ პუტინი რუსეთში მცხოვრები ებრაელების, კათოლიკეების და მუსლიმების პრეზიდენტიც არ არის?

ვფიქრობ, ძალიან დროული და მართლმადიდებლური რუსეთისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, ქვეყნის გარედან დაფინანსებული „ასო"-ებისთვის ჯაშუშების კვალიფიკაცია მიეცათ და, მათი საქმიანობა ქვეყნისთვის საშიშ ქმედებად ეღიარებინათ. ახლა ვიცი, ზოგიერთი „ასო" ამ აზრის გამო „ტრუსიკიდან" ამოხტება, მაგრამ ფეხებზე მკიდია მათი აზრები, ისევე, როგორც ფეხებზე მკიდია და ვგმობ ნებისმიერი გეის თუ ლესბოსელის უფლებებს ჩემს მართლმადიდებლურ სამშობლოში.

რაც შეეხება „ასოთა" წნეხს ბიძინა ივანიშვილზე, სახალხო დამცველად ვის წარადგენს, ვნახოთ, ვისზე შეაჩერებს არჩევანს, მაგრამ ბატონ ბიძინას მოვუწოდებ, გაითვალისწინოს ერთი მარტივი ჭეშმარიტება: „ბატონო ბიძინა, არასამთავრობო სექტორი და საზოგადოება აბსოლუტურად სხვადასხვა მცნებებია, ისევე, როგორც სხვადასხვა „საზოგადოებრივი ორგანიზაციები" და ჭეშმარიტად საღი, საზოგადოებრივი აზრი ნებისმიერ საკითხზე"!

ასე, რომ, დაფიქრდით!

თქვენც იფიქრეთ, ჩემო მკითხველო და თუკი რამეს ვაჭარბებ, ანდა ბოლომდე ვერ ვთქვი შემეხმიანეთ.

**ირინე გოგოსაშვილი**



# lado bedukaZis aRiarebiTi Cveneba

dasasruli. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #45

ლალი აფციაურთან საუბარში **სოსო მანჯავიძეს** უთქვამს: ვინც ლადოს დაიცავს, ჩემი მტერიაო. არასდროს მქონია ოდესმე მანჯავიძესთან რაიმე გასაყოფი, რატომ ვარ მისი მტერი, ვერ გამიგია.

თავის თავს ამ ემოციური გამოხტომებით უკვე ღიად იაშკარავებენ და ყველა ხვდება, ვინ ვინ არის.

მაგრამ დავბრუნდეთ კვლავ საფრანგეთში. მე აქ მივედი გიორგი ფოფხაძესთან და დღესაც გულითადად მოვუწოდებ მას — თქვას სიმართლე. რაც შეეხება ბლადაძეს, მისი პრობლემა ეყოფა მაგ ადამიანს — წამლის „ბარიგაა“ და მეტი არაფერი. რაც ეხება **ვიქტორ ჭელიძეს,** მე მას თბილისიდან ვიცნობდი, თუმცა არ ვიცოდი, ამ ქალაქში თუ ცხოვრობდა, მისი აქ ყოფნა ქართული დიასპორის საშუალებით გახდა ჩემთვის ცნობილი. შემდეგ სკაიპით ელაპარაკა ბლადაძეს და ასე მივაგენით ერთმანეთს. ახლა ლაპარაკობენ, კაფეში შეხვდნენო და ა.შ. რად უნდათ ასეთი რამ, ტყუილია ეს. ბლადაძესთან როცა მოვიდა ჭელიძე, მაშინვე ვიცანი, საპატიმროში მყავდა გაცნობილი, საერთო ნაცნობიც გვყავს თბილისში, ის ადამიანიც დაადასტურებს ამას. ჯაშუშია ჭელიძეო, — აცხადებს ინაშვილი. ყველამ იცოდეს, აგენტები არიან: **ინაშვილი, თარხან-მოურავი** და **ლომია**. ამას თამამად ვაცხადებ.

რაც შეეხება ჩემს ოჯახს, ჩემი ოჯახი მაგათ ხელში მძევალია. **ჯღარკავა** და ვინმე **რატიშვილი** იყვნენ ჩემი ოჯახის ზედამხედველები თურქეთში. ჩემი მეუღლე იტყვის ამას, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემა. ახლა არაა ამის დრო და საშუალება, რადგან დღეს ჩემს ოჯახს ფინანსურად ძალიან უჭირს.

**რასაც ვამბობ, ეს არის აბსოლუტური ჭეშმარიტება და სასამართლოზეც იგივეს ვიტყვი, ეს წერილი დოკუმენტი იქნება იმისა, რომ მე ერთ სიტყვასაც არ შევცვლი აქედან. ვინც ბრალს მდებს, მათ ვადანაშაულებ შსს აგენტობაში, არჩევნების ჩაშლის მცდელობაში, ირაკლი ღარიბაშვილის დაკავების გეგმაში და ვერავინ თავს ვერ გაიმართლებს. ვინც უსამართლოდ ცილს მწამებს — ავანტიურისტი და შანტაჟისტია. უზნეოა ის ადამიანი, ვისაც ციხის საშინელი კადრების გამოაშკარავებით პოლიტიკური ქულების ჩაწერა უნდა. მოვითხოვ, ეს საქმე დეტალურად იქნას გამოძიებული. რაშიც მე დამნაშავე ვიქნები, ვაგებ პასუხს. ძალიან კარგად იცის ლომიამ, ინაშვილის ძმა-კოტემ, როგორი მწამებელიც ვიყავი მე, იმედია, ხალხი ციხიდან გამოვა და იტყვიან ჩემს შესახებ.**

მინდა ვაღიარო, რომ მართლა შემეშალა ლომიას პიროვნების გამოცნობა, ჩემი მრავალწლიანი ოპერატიული გამოცდილების მიუხედავად, შემეშალა, ვერ გამოვიცანი ლომია. თაღლითობის ბრალდებით იჯდა ციხეში, პროფესიონალი თაღლითია და მაჯობა. ნამდვილად მაჯობა.

ახლა კონტექსტიდან ამოგლეჯილ ფრაზებს ავრცელებენ, ლადო ბედუკაძე ნანობს ციხის კადრების გავრცელებასო. მე არაფერს არ ვნანობ, მე ვნანობ ისეთ ხალხში რომ მოვხვდი, როგორიც ინაშვილი და მისი მეგობრები არიან.

ბატონი ბიძინა ივანიშვილი დღემდე არ გამოსულა ჩემთან კონტაქტზე, რადგან შესანიშნავად იცის, ვინ არის ინაშვილი, თარხან-მოურავი, ლომია და „ობიექტივი“ და ალბათ, ჰგონია, მეც მათ გუნდში შევდივარ. ყველაფერი მერაბიშვილის დადგმული სპექტაკლი იყო ივანიშვილის წინააღმდეგ, რომელშიც ხელი შევუშალე ზოგიერთებს. დიდი ხანი მინდოდა პირდაპირ ივანიშვილს დავკავშირებოდი ვინმე სანდო ადამიანის საშუალებით, მაგრამ ვერ მოვახერხე ეს.



საქართველოდან გაიქცაო, რომ ამბობენ, მე არსად არ გავქცეულვარ, გასაქცევად მალე ექნება ზოგიერთებს საქმე. მე დავწერე პატაკი, წამოვედი სამსახურიდან, წავედი საზღვარგარეთ, სადაც უნდა ჩამომეყვანა ოჯახი, ჩემი მეგობრები: ფარულავა და აკობია და აქედან უნდა გაგვეკეთებინა განცხადება იმაზე, რაც ხდებოდა საქართველოს ციხეებში. ფარულავა და აკობია თბილისში დააჭერინეს, ლომია თავისუფალია, ერთს I არხის დირექტორობა უნდა, მეორეს მინისტრობა, გიორგი ფოფხაძეს ბელგიის კონსულობა, მე ციხეში მიშვებდნენ პირდაპირ და სახელს მიტეხდნენ ბელგიის ქართველობაში — ჯალათია ლადო ბედუკაძეო... მე მომიძულეს, რადგან სიმართლე ვთქვი და მათ გეგმებს ფარდა ავხადე.

ვიცოდი, ჩემი ტელეფონი რომ ისმინებოდა, სახლის ტელეფონიც და მობილურიც კონტროლზე იყო, ამიტომ ტელეფონზე ერთი სიტყვაც არ გვითქვამს ამის შესახებ. თვით ფირების გადაცემის პროცესშიც ტელეფონები მანქანაში დავტოვეთ, გადმოვედით და შორიახლოს გადავეცი ეს ფირები. ლომია თვითონ იჩენდა ინიციატივას ვყოფილიყავით ფრთხილად, რათა დავერწმუნებინე, რომ ის იყო ჩემი ერთგული, სხვა არც არაფერი მიფიქრია იმ მომენტში.

ინაშვილს მანამდე არ ვიცნობდი, პირველად ინტერნეტკაფეში შევხვდით, საიდანაც ჩართვა გავაკეთეთ „ობიექტივის“ ეთერში.

დაინტერესებული პირი იკითხავს — რატომ მაინცდამაინც „ობიექტივის“ ეთერში? მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. იმ პერიოდში ნებისმიერ ჟურნალისტს დაველაპარაკებოდი ამ საკითხებზე და ახლაც ასე ვარ. ახლაც ყველა დაინტერესებულ ჟურნალისტს ვესაუბრები. ჩემთვის მთავარია, სიმართლე გაირკვეს.

სანამ ინაშვილს შევხვდებოდი, მანამდე უკვე დარეკილი მქონდა ჩემი ფეისბუკის მეგობართან, ჟურნალისტ **დარეჯან მეფარიშვილთან** თხოვნით — რომელიმე სატელევიზიო არხის ჟურნალისტთან დავეკავშირებინე, რადგან შსს-ს, ჩემთვის გაურკვეველი გზით უკვე ხელთ ჰქონდა ეს ფირები და ჩემი განცხადება აუცილებელი იყო.

ჟურნალისტი **გიორგი ფოფხაძე** ჩემს ერთადერთ მოკავშირედ მიმაჩნდა ბრიუსელში. მისი სკაიპის მისამართი და ტელეფონის ნომერი გიორგი ლომიამ მომცა — სანდო კაცია და შეგიძლია, ყველაფერში მისი იმედი გქონდესო. ბელგიაში რომ ჩავედი, აღმოჩნდა, რომ გიორგი ფოფხაძე ქალაქში არ იმყოფებოდა.

კასეტა, რომელიც გადავეცი გიორგი ლომიას გადაღებული იყო ჩემს მიერ და გადავეცი ყველა უკლებლივ მას.

იმდენად ვენდობოდი გიორგი ლომიას, რომ არ ჩავთვალე საჭიროდ დამეტოვებინა ამ კადრების ასლები. დედანი გადავეცი მას. უბრალოდ, ეჭვიც არ შემპარვია ლომიას ერთგულებაში.

**გიორგი ლომია** იმ დღეს ჩემთან მოვიდა სახლში, ჩამოვედით ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ გადავეცი ფირი.

ბრიუსელის ერთ-ერთ სასტუმროში ვცხოვრობდი სამი დღე-ღამე. უკანასკნელი კაპიკებიღა მქონდა დარჩენილი, როცა **გიორგი ფოფხაძე,** როგორც შემდეგ თქვა, იძულებული გახდა **მერაბ ბლადაძისთვის** დაერეკა. **მერაბ ბლადაძესთან** ვცხოვრობდი სამი თვე, რაც ძალიან ძვირად დამიჯდა მერე.

გვიან მივხვდი, რომ ფოფხაძემ და ბლადაძემ, ჩემს მიმართ გაითამაშეს ერთგვარი სპექტაკლი. ეს იყო წინასწარ გათვლილი...

არადა, ლომია, რომელსაც ძმასავით ვენდობოდი, მიმტკიცებდა, რომ ფოფხაძე, რომელიც ბელგიის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე გვერდში ამომიდგებოდა, ნებისმიერ ფორმალურ საკითხს მომიგვარებდა — საბუთების, საცხოვრებელის, ადამიანის უფლებათა დამცველებთან შეხვედრის და სხვა აუცილებელ საკითხებს. მე ვენდე გიორგი ლომიას, მაგრამ შემდეგ ყველას ხელში აღმოვჩნდი იარაღი, ისინი მიყენებდნენ თავიანთი ზრახვებისთვის.

სხვა რა უნდა მექნა, ბლადაძესთან რომ დამაკავშირა ფოფხაძემ, ერთი გროშიც არ მედო ჯიბეში.

ფული თავიდან ლომიამ მომცა, როგორც უკვე გითხარით, მას ნათქვამი ჰქონდა ჩემთვის — ფირები საიმედო ხელშია, ოღონდ არ მკითხო, ვის გადავეცი, შენ წახვალ საზღვარგარეთ, იქ დაგხვდება სანდო ადამიანი, რომელიც პრესკონფერენციის და სხვა პრობლემებს მოაგვარებსო.

ლომიამ გადაიხადა თანხა ტურისტული სააგენტოსთვის, ჯგუფს მე თურქეთში გავყევი, იქედან ევროპაში წავედი.

ახლა ლაპარაკია 2 მლნ. დოლარზე, რომელიც ამ ფირებისთვის გადაუხდია ვიღაცას. რატომ ორი და არა ხუთი, ანდა ერთი მილიონი? მეც მაინტერესებს ეს და ამიტომაც მსურს ობიექტური სასამართლო გამოძიების ჩატარება ამ საქმეზე. ეს თანხა არაა ჰაერიდან მოტანილი. არ ვიცი, ვისგან, როგორ, მაგრამ ეს თანხა ამ ადამიანებს აღებული აქვთ. ამიტომ ვითხოვ, დეტალურად შემოწმდეს ამ საქმესთან დაკავშირებული ადამიანების ანგარიშები — შემოსავალი, გადარიცხვები. შემოწმდეს იმ დროიდან, როცა მე ფირები გადავეცი **გიორგი ლომიას**. შემოწმდეს შემოსავალ-გასავალი აპრილის ბოლო მაისის დასაწყისისთვის.

ერთი ხანობა ამბობდნენ, მერაბიშვილის მოადგილეა ამ საქმის კურსშიო. მერე უარყვეს, მაგრამ ეჭვი მაქვს, „ობიექტივი“ მერაბიშვილის მეკავშირე ორგანიზაცია ხომ არ იყო?!

ამას სჭირდება გამოძიება!

ზოგიერთი ეჭვობს, რომ ამ საქმით, შეიძლებოდა, **ნინო ბურჯანაძე** ყოფილიყო დაინტერესებული, რადგან ლომია ჩემთან აცხადებდა მისი პიარ-მენეჯერი ვარო, მაგრამ ამ დღეებში ქალბატონმა ბურჯანაძემ უარყო საერთოდ ნაცნობობა გიორგი ლომიასთან.

გიორგი ლომია ვერაფრით ვერ უარყოფს, რომ მე გადავეცი მას ფირები. ახლახან მისი ინტერვიუ წავიკითხე. ლომიას სხვა რამე კი არა, ის ანაღვლებს, როგორ გაჩნდა ამ საქმეში **ელისო კილაძე,** რომლის მადლობელიც გახლავართ, რადგან ჩე-

მი დახმარების სურვილი გამოთქვა და შეძლებისდაგვარად მეხმარება.

ან როგორ შეიძლება არ ვიყო ბიზნესმენ **ვანო ჩხარტიშვილის** მადლიერი, რომელმაც ჩემი და ჩემი ოჯახის დასახმარებლად თანხები გაიღო და ამ ფულის მონებმა თავიანთ ანგარიშებზე არიცხინეს ჩემს დასახმარებლად გაღებული შემოწირულობა. „იგულავეს" და დრო გაატარეს სტამბულის სასტუმროში **ჯღარკავამ, რატიშვილმა** და მათმა ამფსონებმა. ესენი რას ჩადიოდნენ იქ, ამაზე ცალკე ვილაპარაკებ.

თუ ამაში ვინმეს ეჭვი შეეპარება, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მივცემ სასტუმროს მისამართს სტამბულში, ჩავიდეს და გაარკვიოს, რა თანხები აქვთ დახარჯული იქ ამ ხალხს, რა დროს ატარებდნენ და რასაც ჩადიოდნენ. რაში იყენებდნენ ჩხარტიშვილის ფულს მაშინ, როცა ჩემს ცოლ-შვილის თურქეთში უკიდურესად უჭირდა...

ყველაფერი იცის გიორგი ლომიამ. მე ვკითხულობ „საერთო გაზეთის" საშუალებით —

**თუ საქმის გამოძიება უნდა ვინმეს, დაკავებულია ფარულავა და აკობია, რატომ დადის თავისუფალი გიორგი ლომია???**

რატომ არ დააკავეს ის საზღვარზე, როცა აკობიას აცილებდა? თუ მერაბიშვილის დაკვეთა არ არის, რატომ მფარველობენ გიორგი ლომიას, რატომ განაცხადა ლევიტანის ხმით ინაშვილმა ბრიუსელში მთავარ მოედანზე — ბრიუსელის დროით 6 საათია და

**ბედუკაძემ შსს წარმომადგენელთა დახმარებით საქართველო დატოვაო?! საიდან იცოდა მან მე საქართველო მერაბიშვილის დახმარებით დავტოვე თუ როგორ?!**

ერთ-ერთი მძიმე სტრესი მაშინ განვიცადე, ინაშვილმა რომ გამოაცხადა — ფირი მერაბიშვილის ერთმა მოადგილემ გადმომცაო.

რატომ იტყუება ეს ადამიანი, როცა ამბობს, თითქოს აქ რაღაც საქმეები მიმდინარეობს სააკაშვილის წინააღმდეგ და **ვიქტორ ჭელიძეს** სურს ეს საქმეები „ჩახსნას". „ჩახსნა" და ასეთი ტერმინები ოპერატიული ლექსიკონიდანაა და ჰკითხეთ ინაშვილს, განმარტებას უკეთესად მოგცემთ.

ფირის მეექვსე პირებს აქ არანაირი ექსპერტიზა არ ჩატარებია. ეს არის მიზანმიმართულად გაკეთებული განცხადება, რათა ცხადყონ, ჩემი ხმის იდენტურობა, ბელგიის ხელისუფლებამ დამნაშავედ გამომაცხადოს და დამაკავოს — ესაა მაგათი მიზანი. სურთ ბელგიის მხარემ დამიჭიროს, იქნებ რამენაირად გავჩუმდე, ჩამოვშორდე ამ პროცესებს და თვითონ გმირებად გამოცხადდნენ.

ბუშტები, ბაიკერები, ყალბი ცრემლები აეროპორტში გმირობის რეპეტიცია იყო. ამ დღებშიც რაც ჩაიდინა ინაშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილი, ალბათ, საფლავში გადატრიალდებოდა...

ინტერნეტკაფეში, როცა ფოფხაძემ ინაშვილი გამაცნო, მას შემდეგ ამ ქალბატონმა ხელში აიღო მოვლენების მართვა და დღეს უტიფრად გვლანძღავს ყველას, თითქოს მე ტვინი გამომირეცხა ჭელიძემ და ა.შ. ინაშვილმა თვითონ გამოირეცხოს პირი ჭელიძეზე რომ ლაპარაკობს.

ფოფხაძემ ბევრი რამ იცის ამ საქმეში და ის აუცილებლად უნდა დაიკითხოს. იგი ამ საქმეში ერთ-ერთი ძირითადი რგოლია. ბლადაძეს თითქოსდა მერე ხელი ჰკრეს, მაგრამ მთლიანად ვერ გამორიცხავენ, რადგან მან ბევრი რამე იცის „ობიექტივზე" და „წინაალმდეგობის მოძრაობაზე".

რასაც უმზადებდა ეს ბანდა საქართველოს და პირდაპირ „ქართულ ოცნებას", ეს არის დანაშაული და სპექტაკლი, რომელიც დადგეს და სპეცოპერაცია დაარქვეს. ესენი თავიანთ სახეს დიდხანს ვერ დამალავენ.

I არხთან ინტერვიუში მე **გიორგი ფოფხაძეს** მოვიხსენიებ, როგორც „ჩემი მეგობარი" გიორგი ფოფხაძე, მაგრამ მაშინ, როცა ეს სიუჟეტი ჩაიწერა, მას მეგობრად მივიჩნევდი.

დღესაც ძალიან ბევრი ჯალათი იმყოფება მე-8 საპყრობილეში და რატომ არ იღებს




„ობიექტივი" ახლა ხმას. მაგრამ, საერთოდ არ აინტერესებთ პატიმრების ბედი, მთავარია, თავიანთი მიზნები განახორციელონ. ფული იშოვონ — ესაა მათი ოცნება. შემიძლია დაგისახელოთ ყველა ჯალათის სახელი და გვარი, თუ მომაწვდით სიას, ვინ მუშაობს დღეს საპყრობილეებში. არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ — უდიდესი დანაშაულია პატიმრებისადმი სასტიკი მოპყრობა, მე უამრავ ინფორმაციას ვფლობ და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მაქვს გამოტანილი იქედან ბევრი ისეთი დოკუმენტი, მასალა, რომელიც ამხელს ამ რეჟიმს.

ახლა ამბობს ინაშვილი, თითქოს მე ვინმემ გადმომიბირა და ა.შ. რატომ არავის გამოაქვს ახლა მსგავსი კადრები საპატიმროებიდან. ცოტაა დღეს დარღვევები? „გადმოიბირონ" კიდევ ვინმე და გამოატანინონ.

რატომ არ მიდგებიან ძველი თანამშრომლები გვერდით და რატომ არ ამბობენ — ეს ადამიანი მართალიაო, მაგრამ დარობოტებული არიან. ყველა უნდა დაისაჯოს, ვინც აწამებდა იქ ადამიანებს. მე არავის მივცემ იმის უფლებას, მლანძღონ და ჩემსკენ იშვირონ თითი, როგორც ვითომდა ჯალათისკენ. ყველას დავუმტკიცებ თავის ბრალეულობას და ტყუილად ნუ ცდილობენ მე ჩირქი მომცხონ.

მე დღესაც მიკავშირდებიან ფარულად ჩემი მეგობრები და ვიცი, ვინ რა განწყობას ამჟღავნებს ჩემს მიმართ, მაგრამ ხელისუფლება უფრო ყურადღებით უნდა იყოს.

**ვიცი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მკურნალიძე და ხუჭუა, მე-8 საპყრობილის დირექტორი, თანამშრომლებისთვის განკუთვნილ დაწესებულებაში იმყოფებიან მატროსოვის ქუჩაზე. მიდიან თურმე იქ ღამლამობით ძველი მაღალი თანამდებობის პირები და ქეიფი და ერთი ამბავი აქვთ. როგორც გავიგე, კვლავ აქვთ იმედი, რომ ძალაუფლებას დაიბრუნებენ — ღმერთმა დაიფაროს, კვლავ ხუჭუას და მკურნალიძის სამართავი გახდეს ციხე.**

მე მაქვს დოკუმენტური მასალები იმის შესახებ, რომელმა ჯალათმა რომელი პატიმარი აწამა და რა მეთოდებით და ამ დოკუმენტაციას თქვენ გადმოგცემთ.

გამოძიება, რომელიც 18 სექტემბერს არის დაწყებული, პირდაპირ ვაცხადებ, „ქართული ოცნების" დისკრედიტაციისთვის დაიწყო. იმ ხაზს თუ მიჰყვება, გამოდის, რომ **ირაკლი ღარიბაშვილს** საკუთარი თავის დაჭერა მოუწყოს. **ფურცხვანიძე** გვადებს ხელს, თითქოს მე და ღარიბაშვილს მოგვილაპარაკია — კადრები დამედგა მე, გადამეღო და ამაში ფული ამიღია. მთელი ორი ტომი, რაც ბელგიაში არის გადმოგზავნილი ამას ეხება ზუსტად.

**დღეს არანაირად არ ვარ დაცული. ვარ, ბელგიაში, ვცხოვრობ, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, არავის არაფერს არ ვთხოვ, უბრალოდ, არ მსურს სასჯელაღსრულების სისტემაში კვლავ მიდიოდეს ადამიანთა ჩაგვრა და სასტიკი წამება. მუდამ ვიბრძოლებ ამისთვის და არ გავჩერდები, სანამ ერთი პატიმარიც კი ციხეში იტანჯება.**

ირმა ინაშვილი და მისი ძმა კოტე ისეთ საშინელ განცხადებებს აკეთებენ ჩემზე, წყობილებიდან გამოვდივარ. მე რა მჭირდა ინაშვილის მოცემული შანსის და ლომიას გამოსატეხი, როგორც კი გადავწყვიტე ამ ფირების გამოტანა, ჩემი მეგობრები ამოვიყენე გვერდით. ფარულავა და აკობია დღემდე ტერორში ჰყავთ, ტვინს ურეცხავენ და აზომბირებენ. ფარულავას ადვოკატს **მამუკა ნოზაძეს**, მოვუწოდებ, ნუ უმალავს სიმართლეს ფარულავას და უთხრას სიმართლე. ნოზაძემ ყველაფერი იცის.

კიდევ ვიმეორებ, ტყუილი ჩემი მხრიდან არ ყოფილა და არც არასდროს იქნება, რასაც ვამბობ, იგივეს გავიმეორებ სასამართლოზე.

„ნაცმოძრაობა", ეს კრიმინალური ხროვა გადაკიდებულია ჩემზე. რაც მევალებოდა და ჩემს ადგილას მყოფი ყველა ადამიანი გააკეთებდა, ის გავაკეთე მე და არც ვნანობ ამას.

იცოდეს ფარულავამაც და აკობიამაც, რომ არაფერს ვნანობ, ისევ ისე ვფიქრობ, როგორც ადრე.

ციხის ყველა დირექტორი დასაკითხია. მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

მე ვიტყვი სიმართლეს. შიში კარგახანია დავძლიე...

**ირანდა კალანდაძე**

28 ოქტომბერი, 2012 წ. ბრიუსელი

**რედაქციისაგან:** როგორც გავიგეთ, ქალბატონი ირმა ინაშვილი ნაწყენია „საერთო გაზეთის" რედაქციაზე ლადო ბედუკაძის პუბლიკაციის გამოქვეყნების გამო.

ქალბატონ ირმას, გამოცდილ ჟურნალისტს, კარგად მოეხსენება, რომ რედაქცია ვერ იქნება პასუხისმგებელი ამა თუ იმ რესპონდენტის მოსაზრებებზე.

რაც შეეხება საკუთრივ ჩვენს პოზიციას, „საერთო გაზეთს" მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებში არაერთხელ გამოუხატავს თანადგომა და პატივისცემა, როგორც ირმა ინაშვილის, ასევე „ობიექტივის" მთელი შემოქმედებითი კოლექტივის მისამართით.

ვფიქრობთ, ყველა ის ადამიანი, უკლებლივ ყველა, ვინც თავისი დიდი თუ მცირე წვლილი შეიტანა სააკაშვილის ციხეებში ადამიანთა შემზარავი წამების ამსახველი ფირების გავრცელებაში, ქართველი ხალხისგან დიდ მადლობას იმსახურებს. მათ შორის, ირმა ინაშვილიც, დავით თარხან-მოურავიც და, რა თქმა უნდა, ლადო ბედუკაძეც.

ჩვენი აზრით, ახალი ხელისუფლების შესაბამისმა უწყებებმა დროულად უნდა მოახდინონ რეაგირება იმ შემაშფოთებელ განცხადებებზე, რომლებიც ლადო ბედუკაძის მიერ ბოლო დროს გაკეთდა.

„ს.გ."

# მიმართვა

მიმდინარე წლის გაზაფხულზე, მაშინ, როდესაც მე დავგეგმე პატიმართა წამების კადრების გასაჯაროება, ჩემივე თხოვნით გლდანის №8 საპყრობილის თანამშრომელმა და ჩემმა მეგობარმა ბორის ფარულავამ საპყრობილესთან ფარულად გადაიღო მოკავშირე მსჯავრდებულების ე.წ. აგენტების 300 კაციანი სია – დასტურად იმისა, რომ ეს ხალხი ყველა იძულებით, ცემით, წამებით და შანტაჟით დათანხმდა თანამშრომლობას ადმინისტრაციასთან.

დღეის მდგომარეობით ისინი გადანაწილებულნი არიან სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში. ბორის ფარულავამ ეს სია ჩემივე თხოვნით გადასცა გიორგი ლომიას, რომელიც მე მას გავაცანი, როგორც ჩემი მოკავშირე ფირების გატანის საქმეში. გიორგი ლომია თავდაპირველად თავს ასაღებდა, როგორც ქალბატონ ბურჯანაძის პიარ-მენეჯერი, ახლა აცხადებს, რომ არის „წინააღგმდეგობის მოძრაობის" ერთ-ერთი დამფუძნებელი. თუმცა მისი ვინაობის დადგენას დიდი ძალისხმევა აღარ სჭირდება

ვაკვირდები რა საქართველოს პენიტენციარულ სისტემაში, ციხეებში განვითარებულ პროცესებს, ასევე დამატებით, გუშინ ციხის ყოფილი და მოქმედი თანამშრომლებისაგან, ყოფილი პატიმრებისაგან, დღეს მასმედიის საშუალებით ვღებულობ საგანგაშო ინფორმაციას და ამის შესახებ მინდა გავაფრთხილო როგორც საზოგადოება, ისე პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელობა და გენერალური პროკურატურა:

მიმდინარე პროცესების ანალიზითა და ჩემი ვარაუდით, დიდი ალბათობაა იმისა. რომ უახლოეს მომავალში ციხეებში მასობრივი არეულობა და ბუნტი დაიგეგმოს. ბუნტის ორგანიზება და დაგემვა განხორციელდება გარედან, ბაჩო ახალაიას დავალებით და სწორედ იმ პატიმრების მეშვეობით, რომელთა გადაბირება ბაჩო ახლაიას დავალებით განხორციელდა და რომელთა მონაცმებიც დღეს იმ ადამიანთა ხელშია, ვისთანაც ამ სიის არსებობა დაუშვებელია და წარმოადგენს საზოგადოებისთვის დიდ საფრთხეს, რაც კანონით დანაშაულია.

მოვუწოდებ და ვთხოვ პატიმრებს — არ აყვნენ დაგეგემილ პროვოკაციას, არ გადადგან ეს ნაბიჯი.

გთხოვთ და პირობას ვდებ, მე პირადად ვიბრძოლებ, რომ ყველა დამნაშავე პირმა პასუხი აგოს კანონის მთელი სიმკაცრით ჩადენილი ძალადობისთვის.

მოვუწოდებ გიორგი ლომიას — გადასცეს სამართალდამცავ ორგანოებს აღნიშნული სია და ითანამშრომლოს გამოძიებასთან იმ პირთა დადგენისათვის ვისაც შეიძლება ჰქონოდა ინფორმაციული წვდომა ამ სიასთან, რაც, პირველ რიგში, სწორედ ბუნტის პრევენციისათვის იქნება აუცილებელი პირობა.

მივმართავ საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს!

სასწრაფოდ მოახდინონ რეაგირება და დაიწყონ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება.

ასევე დამატებით მინდა განვაცხადო, რომ ადამიანმა, რომელმაც "ითანმშრომლა„ ზოდელავას გამოძიებასთან და დასტური მისცა იმ პირველ ვარიანტს, რითაც, თითქოსდა მე ბატონ ღარიბაშვილთან ერთად მაშინ პატიმარ- გენერალ თამაზაშვილის დახმარებით ვგეგმავდით კადრების გადაღებას და ინსცენიებას და მმართველი ძალის დისკრედიტაციას, ეს კაცი დღეს თავისუფალია, ხოლო იმ პირველი შსს-ს და ახალაიას მიერ გავრცელებული რეალურად დადგმული კადრების მონაწილე პირები ფარულავა და ფხალაძე დღემდე რჩებიან პატიმრობაში. ეს უსამართლობაა და დაუყოვნებლივ მოხდეს ამ პირების გათავისუფლება პატიმრობიდან.

**ლადო ბედუკაძე**

2012წ. 4 ნოემბერი.

**ვიწყებთ ახალ რუბრიკას STOP კადრი, სადაც ახალი ხელისუფლების ახალ კადრებზე გვექნება საუბარი.**

**კინოს ენაზე „STOP კადრი“ გაჩერებულ კადრს ნიშნავს, ჩვენი რუბრიკის „ენაზე“ კი უვარგისი პოლიტიკური თუ ჩინოვნიკური კადრის გაჩერების მოთხოვნას.**

# vin gauSvebs sozar subaris saministros ezoSi indaurs?

როგორი მინისტრი იქნება სოზარ სუბარი, ამას მომავალი გვიჩვენებს, თუმცა კადრების შერჩევაში რომ აშკარად მოიკოჭლებს, ფაქტია. მის მიერ სასჯელაღსრულების სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის შეფად შერჩეულ გიორგი კერესელიძეს, რომელსაც პატიმრებისგან ავადსახსენებელი



დავით ასათიანი უნდა ჩაენაცვლებინა, ისეთი კომპრომატები ამოუქექეს, რომ მოგვიანებით სუბარი იძულებული გახდა მის კანდიდატურაზე უარი ეთქვა. კერესელიძე პროფესიით ექიმია, ოღონდ ზუსტად ვერ გავარკვიეთ, მანამდე სად მუშაობდა, მისი კოლეგების განცხადებით, იგი აქტიურად იყო დაკავებული მათი მოსმენითა და უფროსობასთან „ჩაშვებით“, ასევე აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო აქციების დარბევაში. რაც შეეხება რუსთავის №16 საპატიმროს უფროსად დანიშნულ ლევან აბურჯანიას, პატიმრებმა მას მათ მიმართ მუქარაში დასდეს ბრალი. სასჯელაღსრულების უწყების გენინსპექციის უფროსად ყოფილი პროკურორი მირზა სუბელიანი დაინიშნა. ეს ადამიანი სოზარ სუბარის ახლო ნათესავი (ბიძაშვილი) ყოფილა, ამ ყველაფერს კი აშკარად უდის ნეპოტიზმის სუნი. მირზა სუბელიანი ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაში მუშაობდა და „როგორც „ავმა ენებმა“ „საერთო გაზეთს“ უთხრეს, ბატონი მირზა აქტიურად მუშაობდა „ქართული ოცნების“ წევრთა მიმართ საქმეების „შეკერვასა“ და მათ ციხეში გამწესებაში. ასე რომ, გამორიცხული არ არის ახლო მომავალში მისი „მამხილებელნიც“ გამოჩნდნენ. მინისტრის რანგში მყოფმა სოზარ სუბარმა სახალხო დამცველის კანდიდატურის შერჩევასთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარითაც, რბილად რომ ვთქვათ, გააკვირვა საზოგადოება. მოკლედ, „ახლადგამომცხვარი“ მინისტრი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. მართალია, ეს შეცდომები სწორდება, მაგრამ რა ვქნათ ქართულმა საზოგადოებამ, ველოდოთ, როდის ისწავლის სოზარ სუბარი მუშაობას და შეცდომებს აღარ დაუშვებს?

აქვე მინდა სოზარ სუბარის სახალხო დამცველობის პერიოდსაც შევეხო. თავიდან მას ძალზე უმოქმედო პოზიცია ეკავა. ალბათ, ისიც გეხსომებათ, უფლებადამცველებმა და ჟურნალისტებმა პროტესტის ნიშნად ინდაური რომ გაუშვეს სახალხო დამცველის ოფისის ეზოში. იმასაც ამბობდნენ, სუბარს სანამ ძმა არ დაუჭირეს და 7 ნოემბრის აქციის დროს თვითონაც ფიზიკურად არ გაუსწორდნენ, ნაცხელისუფლების წინააღმდეგ ხმა არ ამოიღო. ბაჩო ახალაია პატიმრებს სასტიკად რომ აწამებდა, სუბარმა კარგად იცოდა, მაგრამ ხსენებულ მომენტამდე, რატომღაც, „დუმილის უფლებას“ ინარჩუნებდაო. სხვათა შორის, ჩემთანაც არაერთხელ გამოუთქვამთ უკმაყოფილება, სახალხო დამცველის აპარატის უმოქმედობის გამო რესპონდენტებს და ცნობისათვის, ისინი მარტო პატიმართა ოჯახების წევრები კი არა, ჩვეულებრივი უფლება შელახული მოქალაქეები იყვნენ.

კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებ. 2009 წლის აპრილში, აღდგომის ღამეს ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარი ბუნტის დროს პატიმარი ქალბატონები დამიკავშირდნენ და სხვა საკითხებთან ერთად იმჟამად სახალხო დამცველის პოსტზე მყოფ სუბარის მიერ დაკავებულ პოზიციაზეც მესაუბრნენ. პატიმრების თქმით, როცა ისინი პოლიციელებს და სპეცრაზმელებს ცემა-ტყეპით გამოყავდათ და ე.წ. ჩორნი ვარონებში ყრიდნენ, წინ კოლონიის ტერიტორიაზე შემოსული სოზარ სუბარი შეეფეთათ, რომელსაც დახმარება სთხოვეს. სუბარს მოკლე პასუხი გაუცია, რაც დაიმსახურეთ, ის მიიღეთო. ისინი ამ პასუხით ძალზე აღაშფოთებული იყვნენ. მე ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, მაგრამ, მოგვიანებით, ერთ-ერთმა ადვოკატმაც დამიდასტურა, რომ პატიმარი ქალები ძალზე უკმაყოფილო იყვნენ სახალხო დაცველით და როცა ის მამაკაცთა კოლონიაში გადამისამართებულთ ესტუმრა, პატიმარმა ქალებმა მასთან შეხვედრაზე უარი განაცხადეს.

რეალურად რა მოხდა №16 დაწესებულებაში, მართლაც იგეგმებოდა თუ არა ბუნტი, ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთის“ ახლადშექმნილი საპატიმროების მონიტორინგის საბჭოს წევრი, ცნობილი უფლებადამცველი **გიორგი თევზაძე** ესაუბრა.

— მე არაერთხელ ვიყავი შესული საპატიმროებში, გავესაუბრე თითქმის ყველა პატიმარს. ჩემთან ერთად იყვნენ დიმიტრი ლორთქიფანიძე, ლალი მოროშკინა, ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი, ხათუნა გაგნიძე, დაჩი ცაგურია და სხვ. პატიმრებისგან გავიგე, რომ ლევან აბურჯანია ლოტკინის და გარდაბნის პოლიციების უფროსად იყო ნამუშევარი. რამდენიმე პატიმარმა, რომლებიც ფაქტობრივად მის მიერ ყოფილან დაკავებული, ამოიცნეს ეს პიროვნება, ნარკოტიკი ჩაგვიდო და ისე დაგვიჭირაო. არ ვიცი, რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს ინფორმაცია, მაგრამ ფაქტია, რომ პატიმრებს მის მიმართ პრეტენზია ჰქონდათ. რამდენიმე პატიმარმა ისიც თქვა, რომ აბურჯანია მათ პირადად დაემუქრა, რომ ბაჩო ახალაია მონაგონი იქნებოდა. ვრცელდებოდა სხვა ვერსიაც, რომ თითქოს აბურჯანიამ თანამშრომლებთან თათბირისას თქვა, რომ თუ წესრიგი არ იქნება, ჩემთან შედარებით, ახალაია მონაგონი იქნებაო.

ამ დაწესებულების ტერიტორიაზე არის ეკლესია, რომელიც დილას 6 საათზე იხსნებოდა და საღამოს 8-9 საათზე იკეტებოდა. იქ ათი პატიმარია, რომლებიც ტიხრულ მინანქარზე, ხატწერაზე, ერთი სიტყვით, საეკლესიო ნივთების დამზადებაზე მუშაობენ. ისინი დილაადრიან მიდიოდნენ და ეკლესიას დილის ლოცვისთვის ამზადებდნენ. აბურჯანიას მისვლის შემდეგ მათ აუკრძალეს ეკლესიაში ადრე მისვლა და ისიც უთხრეს ეკლესია გაცილებით ადრე დაიკეტებაო. პატიმრებში, რომლებსაც ლოცვისა და მონანიების მეტი აღარაფერი დარჩენიათ, ცხადია, ამ ულტიმატუმმა აღშფოთება გამოიწვია, რასაც მეც ვეთანხმები. ეს მათი უფლებაა და საერთოდ, ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანს ხელი არავინ უნდა შეუშალოს. პატიმართა სამკაციანი ჯგუფი შეხვდა ამ საკითხთან დაკავშირებით აბურჯანიას, მაგრამ უარი მიიღეს.

პროტესტის კიდევ ერთი მიზეზი ის იყო, რომ ამ დაწესებულების სამი თანამშრომელი, რომლებსაც პატიმრები სასტიკ მოპყრობაში ადანაშაულებდნენ (კახა სიხარულიძე, გიორგი ჯანაშია და მალხაზ პიტიურიშვილი) და სამსახურიდან იყვნენ გაშვებული, ახალმა დირექტორმა უკან დააბრუნა.

**— რატომ დააბრუნეს სასტიკ მოპყრობაში შემჩნეული თანამშრომლები?**

— ეს კითხვა ჩვენც დავსვით, მაგრამ პასუხი, ფაქტიურად, ვერ მივიღეთ. თუ ის აქვთ მიზეზად, რომ სხვა კადრები არ ჰყავთ, მაშინ აგვიხსნან, რა ხდება, გამოდის, თანამშრომელთა მთელი კონტინგენტი ასეთია? წინასწარ, მტკიცებულებების გარეშე ვერავინ იტყვის, რომ ისინი მართლაც სცემდნენ და აწამებდნენ პატიმრებს, მაგრამ პატიმრები სხვებს რატომ არ ადებენ ხელს? მათ ერთ-ერთ თანამშრომელზე გვითხრეს, რომ ამ ადამიანისგან ზრდილობიანი მისალმების გარდა არაფერი ახსოვთ, მისი მხრიდან არასდროს ყოფილა ჩვენს მიმართ აგრესიაო. პატიმრებს კარგად ესმით, რომ თანამშრომლებისთვის ეს სამუშაოა, მათაც ჰყავთ ოჯახები, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პატიმრებს აუცილებლად უნდა სცემონ და აწამონ. ისინი ითხოვენ, რომ ასეთი ხალხი არ მუშაობდეს სასჯელაღსრულების სისტემაში და რა არის ამაში გასაკვირი?

ისიც მინდა გითხრათ, რომ არავითარი ბუნტის ნიშნები იქ არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ეს ვერ შევამჩნიეთ და ვერც კრიმინალური ავტორიტეტების რაიმე გავლენა დავინახეთ.



**— პატიმრების შიმშილობასთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

— №16 დაწესებულებაში დაახლოებით 22 კაცი შიმშილობდა, ორი კარცერში (ჩიჩუა და დავლაშერიძე), 11 პატიმარი კი ე.წ. ბალნიჩკაზე (საპატიმროს სამედიცინო ნაწილი), რომლებიც მძიმე ავადმყოფები არიან. ჯერ ისედაც რა წამლებს აძლევენ და ამის მიღებაზეც უარს ამბობდნენ. ოღონდ მათ სხვა მოთხოვნები აქვთ, ისინი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, სასჯელის გადავადებას და შესაბამის მკურნალობას ითხოვენ. ამ პატიმრების გვარებსაც გეტყვით, ესენი არიან: გია საგინაძე, ზაზა ანშანბა, გია გოროზია, ნიკოლოზ დვალი, დათა გოგოხია, ოთარ მამედოვი, ნოე კუკულაძე, თეიმურაზ ლაშხია, გელა ნიკოლაშვილი, ნუგზარ ჩახუნაშვილი და ლევან მათიაშვილი. რამდენიმე პატიმარს „ც“ ჰეპატიტი აქვს, მაგრამ ჩვეულებრივ საკნებში არიან მოთავსებული. აუცილებელია მათი გადაყვანა შესაბამის სამკურნალო დაწესებულებაში, სამოქალაქო საავადმყოფოს ვგულისხმობ. ისიც მინდა გითხრათ, რომ მძიმედ დაავადებული და ჯანმრთელი პატიმრები კვალავ ერთად არიან, არ მომხდარა მათი გამიჯვნა, რაც ძალიან დიდ საფრთხეს ქმნის. ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა დარეგულირდეს.

**- ბატონო გიორგი, დღემდე არ დანიშნულა სახალხო დამცველი. რამდენადაც ვიცი, არასამთავრობო სექტორმა თქვენი კანდიდატურაც წამოაყენა ამ პოსტზე, თუმცა მერე არ გიაქტიურიათ. სოზარ სუბარსაც ჰყოლია ამ პოსტზე თავისი კანდიდატურები.**

— მე მართლაც წარმადგინა 41-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მაგრამ მოგვიანებით, გარკვეული ძალების მიერ აშკარად დაიბლოკა ჩემი კანდიდატურა. ვფიქრობ, ეს ტელევიზიების ბრალი უფროა, განსაკუთრებით ტელეკომპანია „კავკასიამ“ ითამაშა დიდი როლი. როდესაც ამ ტელეარხზე კანდიდატებს შორის დებატები იყო, მე არ მიმიწვიეს, როგორც ჩანს, ამას გარკვეული მიზეზები ჰქონდა. მე ამასთან დაკავშირებით, მაქვს ჩემი მოსაზრება. როდესაც „კავკასიის“ სტუდიაში მართლმადიდებელი ახალგაზრდები დააკავეს, პროტესტი გამოვთქვი. მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს იყო დიდი უსამართლობა, სამარცხვინო აქტი. შესაძლებელია, ჩემი ეს პროტესტი გახდა არმიწვევის მიზეზი.

რაც შეეხება სოზარ სუბარის კანდიდატებთან დაკავშირებით განცხადებას, ჯერ ერთი, სახალხო დამცველი არის პირველი მაკონტროლებელი სასჯელაღსრულების სისტემის და ამ უწყების მინისტრმა როგორ უნდა აირჩიოს, ამაზე საუბარიც კი დაუშვებლად მიმაჩნია.

**მანანა სუხიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# მაგათ თუ სიცოცხლე უნდათ, საქართველოს ციხეში დაეტიონ, თორემ აქ, ევროპაში, ცალკე ქართველები დასდევენ მოსაკლავად და ცალკე ჩეჩნები

**ინტერვიუ საბჭოთა რუსეთის მიერ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილ საქართველოს მოქალაქესთან, რომელიც წლებია უცხოეთში ცხოვრობს.** (მეტყველება ოდნავ შელამაზებულია)

**— გიორგი, პარადოქსია, მაგრამ შორიდან ზოგჯერ უკეთაც კი ჩანს ის, რაც ახლოდან შეუმჩნეველია — საინტერესოა, რას იტყვი შენი სამყაროდან დანახულ საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.**

— მიშას სულ ფეხებზე ეკიდა — რომ გამოდიოდა და გაიძახოდა, ქურდული იდეა მომწამვლელია-ო. მომავალი და სახელმწიფო თავის ქართველებიანად სულ ერთ ადგილზე ჰკიდია. მაინც და მაინც ქურდულს იმიტომ გადაეკიდა, რომ ყველაფერი ფულზე ააწყო. ხომ არ გაგიკვირდათ, „ცეხავიკებს“ რომ დაერია — კანონიც გამოუშვა, „ჩაგსვამ ციხეში, მაყუთს მოიტან — გაგიშვებ“. ქურდები ხომ აწერდნენ მაყუთს „მილიანერ სასტავებს“, ჰოდა, ფულის გასავალი წყარო თავისკენ მიიბრუნა, თვითონ უნდოდა ყველას „კრიშა“ ყოფილიყო. ბიზნესმენებს დაერია თავისი მიღებული კანონებით და ქურდების წინააღმდეგ მარტივი გამოსავალი იპოვა, იტყვის ქურდია? — ციხეში ჩაჯდება. ეს ყველაფერი, ალია-ბალია, ფულია და ფულზეა ბაზარი, თან ეგ ხომ მშიშარაცაა, ეგ კუანა, ეგა!

ქურდები და ჩვენი ძმები, იასნია, გაიქცნენ საქართველოდან, მაგრამ გაიქცნენ და ყველაფერი აპატიესო, მასე არაა. ხალხის თვალში კი, შეიძლება, ამდენი ხანი გავიდა, აქამდე ვერ გააგორესო, მაგრამ არც ისე ადვილია პრეზიდენტის გაგორება, როგორც ზოგიერთს ჰგონია. ახლა ეს ვირთხები, გემი რო იძირება, გაექცნენ. მაგას ხო უკვე მარტო თავისი ვირთხები კი არა, ყველა გაურბის, მაგრამ ჯერ სად არის, კიდევ რამდენი გაექცევა, იმას უყუროს... ჩვენ ხო გამოგვყარეს, ახლა თვითონ უნდათ აქ გამოქცევა და თავშესაფრად აქაურობის გამოყენება? ისევე, როგორც საქართველოში არ გამოვიდოდა ჩვენი ერთად ყოფნა, ისე არ გამოვა აქაც ჩვენი ერთად მალვა — აქ ქურდული გაიმარჯვებს! აქ ყველას მიწაში ექნება „კანეცი“, არ უნდათ სიკვდილი და უკანვე გამოიქცნენ საქართველოში, ჩაჯდნენ თავიანთივე აშენებულ ციხეში, რა, არ ეკადრებათ?. თუ სიცოცხლე უნდათ, საქართველოს ციხეში დაეტიონ, დანარჩენი, ყველგან, ევროპა იქნება, აშშ, რუსეთი თუ სხვაგან, ყველგან მიწა წაეყრებათ — çà âñ¸ íàäî ïëàòèòú!

ერთი დრო არავის შერჩება — ყველანი, ვინც საქართველოდან მოგვიშორეს, ბიზნესმენები, სამუშაოდ წამოსულები თუ ჩვენ, თავიდანვე ვამბობდით — „დრო მოვა...“ აი, მოვიდა დრო, ვინ დარბის ახლა კუდამოძუებული, კარგად ვხედავთ.

რაც მთავარია — სახელმწიფოზე მსჯელობენ იმის მიხედვით, რა მდგომარეობაა პენიტენციურ სისტემაში, როგორ დგას „პალაჟენია“ ციხეში და „ლაგერში“ — ცემენ „ძაღლები“ თუ არ ცემენ, აჭმევენ თუ აშიმშილებენ, ტანჯავენ თუ ადამიანურად ექცევიან. პენიტენციური სისტემა არის სახელმწიფოს სარკე და, ეს რო აჩვენააა... მაგალითად, ობამას წინ აქვს არჩევნები და უნდოდა, ასეთი სახელმწიფოს პრეზიდენტს ახლა ცემაში დაეხოცა ხალხი, კიდევ გაეყალბებინა არჩევნები და მას მხარი დაეჭირა? — არ უნდოდა. რა თქმა უნდა, იგივე განწყობა გაუჩნდა ევროპასაც, მიაყარეს პოლიტიკური მიწა და დარჩა დაუტირებელ მკვდრად, უპატრონოდ. როგორც პიროვნება, ცალკე აღებული, რომ ნულია, აგერ მტკიცებულება, დადის ჩაჯმულ ვირთხასავით და რუსეთი ამბობს, მეორე ჰალსტუხი უკვე შეჭამაო.

**— ხმა გავრცელდა, მეგის ქარდავას მანქანა აუფეთქესო და...**

— ახლა მისმინე, საქართველოს ფარგლებს გარეთ „ქურდული საერთოს“ შეგროვება იმთავითვე მიმდინარეობს, რაც ბევრი ქურდები გამოვიდნენ საქართველოდან. სახელის დარქმევა არ უნდა, რას მოხმარდება „საერთოს ფული“, იმიტომ, რომ მაგრად გაბაზრდება, ხომ ხედავ, ისედაც გაბაზრდა, რომ განაჩენი გამოტანილია, ყველანი უნდა დაიბრიდონ. „ქურდულ საერთოში“ ყოველთვის არის იმდენი ფული, რომ მაგათი დედის მო...ად საკმარისი იყოს, აღარ ვამბობ იმას, „ისპალნიტელი“ დავარქვათ, თვითონ რომ უნდა, თავისი გულით, ყოველგვარი ფულის გარეშე რომ შეასრულებს შესასრულებელს. ბაჩო ახალაიას მოკვლა რამდენ გამწარებულ კაცს ენატრება, იმდენი გახარება საქართველოს, ტო! რამდენი მანდ, ციხეში, „რესკაში“ მოჰყვა, მერე განთავისუფლდა და აქეთ წამოვიდა, ჯერ ისინი თქვი შენ! გასაქცევი ადგილის დაბევება თუ უნდოდათ, „ქურდული მასტი“ არ უნდა გაეშალათ მსოფლიოში... არა, ეს ნაბოზარი ბაჩო მაინც რა ჩამოსხმის სირია ეგეთი? ის მეორე ნაბოზარი, მაგის ძმა ამბობს: ჰოო, ვაღიარებ, რაც ჩამიდენიაო და ეს ჩათლახი უარზეა, არაო, არ ვაღიარებო და იმალება. სად დაიმალება? სადაც ვანომ იცის სად იმალება, იქაც მიადგებიან...



**— ე.წ. ციხის კადრებში ქურდი ვარო რაღაც ნივთით გაუპატიურებული რომ იძახდა...**

— Ñòî ï! აბა, რა ექნა, ეყვირა პედერასტი ვარო? რო კლავდნენ ცემაში და წამებაში, იმიტომაც გაჰყვიროდა, მე არავის გაპიდარასტებული არა ვარ, ცოცხია თუ „დუბინკა“, იმით რაღაც მიქნეს და ვინ, ბოზებმა და თვიტონ პედერასტებმა. მაგათ ეგ უნდათ, რომ ჩემმა სამყარომ პედერასტი დამიძახოს, მაგრამ არა ვარ პედერასტი, ქურდი ვარ, ვერ გამტეხავთ, თქვენი დედა მოვ..ან, თქვენი! — ეს იყო.



ბრიგადირები და მაგნაირი ბოზები ცალკე ზიან, „კაი ბიჭები“ — ცალკე. ყოფილა შემთხვევა, იზოლიატორში ვართ და მოიყვანეს ბრიგადირი. ჩვენ გვესმის, რომ ბლატაობს და ეუბნებიან, ახლა „ძველი ბიჭების“ კამერაში შეგიშვებთ, მერე ნახე ბლატაობა. ის არ ჩერდება. იღება კამერა და შემოაგდეს. ნაბოზარი კი არის, მაგრამ ასეთ დროს მისი ცემა ნიშნავს, რომ „ძაღლების“ მხარეს ხარ. „ძაღლებმა“ არ ცემეს, თავი დაიზღვიეს, რომ არ უჩივლოს პატიმარმა და შემოგვიგდეს ჩვენ, რომ ჩვენ გავლახოთ, ისინი კიდე, იტყვიან: — ვა, შეგვეშალა, შემთხვევით „ძველი ბიჭების“ კამერაში შევაგდეთ და გალახეს. ვარიანტი არაა, მაგ დროს ხელი ვინმემ ახლოს ან ვინმეს ახლებინოს, დავაგდეთ კარებთან, იჯექი ცოტა ხანი და ატეხე ბრახუნი, გააჯ...ი აქედან-თქო. „ძაღლებს“ უკვირთ, არ სცემესო. დიახ, არ ვცემთ, იმიტომ, რომ თქვენ გინდოდათ, რომ გვეცემა. აი, ეგრეა ესეც, „ძაღლების“ წისქვილზე წყლის დასხმას ნიშნავს. ქურდი რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა აქცენტი ქურდობაზე. დავუშვათ, დაიწყო იქიდან, შეაგინე ქურდებსო, არ შეაგინა და ამას მოჰყვა ცოცხი, მაგრამ მაშინ იყვირებდა, მაინც არ შევაგინებ ქურდებსო. ეტყობა, თვითონ იყო „სახელით“ და ჰო, ვარ ქურდი, თქვენი დედაცო — მაგის მიწოლასაც ხომ ტრაკი უნდა, მანდ და მაგ დროს, რამხელა შინაგანი ძალა უნდა გქონდეს, რომ მაინც იძახდე, ქურდი ვარო...

**— ეგ „გაპეტუხებად“ არ ითვლება?**

— რა არის გაუგებარი? პროქტოლოგთან რომ მივა კაცი და სწორ ნაწლავს გაუსინჯავს რაღაც ნივთით, პეტუხია? რა ექნა, ბოზებს ვერ მიერია... ეს ზოგადად, თორემ, ასე ხელაღებით არ ვამბობ, მაგაზე იქნება ქურდებში ლაპარაკი...

ამ გოთვერანი მიშას მთავრობამ ყველას ფული წაიღო, ზემოდან აშშ-ის და ევროპის შემოწირული დაამატა და კიდე 10 მლრდ ვალი დაადო საქართველოს და მომწამვლელებად კიდე ქურდები გამოაცხადა, მაგის დედას შე...ი მე! მსოფლიოს იურისპრუდენციას რომ არ გაუგია, ისეთი სტატიები და ისეთი სვლები აქვთ გაკეთებული... ჯერ ამ აშშ-ს და ევროპას შე...ი, სიტყვებისთვის — „ქურდი ვარ“ რომ ციხე შემოიღო, მაშინვე ვერ უნდა მიმხვდარიყვნენ, ვინ იყო და რას გააკეთებდა ეს ავადმყოფი? ხომ უნდა ეკითხათ, მაგ სიტყვებისთვის კამერაში რომ ჩაკეტავ და მერე, დაკაკუნებაზე თუ დაგიძახებს — არა ვარ ქურდი, რას იზამ, გაუშვებო?

დაიცა, ახლა ეგ სუბარი რეებს ბოდავს, მაგრად აჟრიალებს? — ეგ ტიპი მაგრად არ მევასება და ყურადღება მიაქციეთ, ციხის ამბავში გარკვევა ძალიან უჭირს და ცოტა ხნით ხომ არ ჩასვამდით, ჰა? მერე მიხვდებოდა, რას ნიშნავს პატიმრისთვის თუნდაც 1 დღე...

**— ხმა დაირხა, ახალაიები ბრაზილიაში იმალებიანო, მაგრამ ანეკდოტი გავრცელდა, გერმანიაში, მიმალვაში მყოფ ადეიშვილს ბოშა ქალის სამოსში გადაცმული ბაჩო ახალაია შეხდა ქუჩაშიო...**

— აქაც ვიცით ეგ ანეკდოტი. ბრაზილია არა, ისა! მე არ ვიცი, წინ რომ დამისვა რომელიმე, მაინც ვერ ვიცნობ, განა იმიტომ, რომ თვალში კარგად ვერ ვიხედები, მე რომ აქეთ წამოვედი, ეგენი გრამაფონში იყვნენ, მაგრამ ცოტა ახლები ვინც არიან, ისინი ცნობენ. აქ, იცი, რა „სვოდკები“ მოდის? ეგ ბეცი, ადეიშვილი ვამბობ, მართლა „გალუბოია?“

**— მე რა ვიცი?**

— აქ მითხრეს, მაგის სოფელი ბოლოა, იმის იქით დიდოეთი იწყება, მთისძირი ჰქვია და იქიდან მაგის გამო გამოაგდეს, ხეზე ჩამოკიდებას და ლინჩის წესით გასამართლებას უპირებდნენ, მღვდელმა გამოაპარაო. მე კიდე, იცი, რა გამახსენდა, მამაჩემმა ამბავი რომ მოიტანა, ჩვენი ნათესავი ცოლს მოუკლავს ბავშვის წინო. ხო იცი, მეგრელების ამბავი როგორცაა, ვღადაობ ხოლმე, ორ სანათესაოდაა გაყოფილი-მეთქი. ახლა აღვიდგინე, როცა გავიგე, რომ მაგათი მამიდა ყოფილა, ქმარი რომ ნაჯახით მოკლა რომელიღაც ძმისშვილის თვალწინ — მოდი და გაიგე, რომელი ძმა იყო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ეგენი, ეტყობა, სისხლით არიან მოწამლულები.

**— ბრაზილიაში არ არიანო და აბა, სად არიან, საფრანგეთში?**

— საფრანგეთში ბუა ზის, ოქრუაშვილი, ერთხელ ხო გახეთქა რომელიღაც ძმა ცემით და ვერ გარისკავენ; ავსტრიაში ისეთი „სვიაზებია“, ეგრევე დაიწვებიან; პოლონეთში კაჩინსკი მოუკვდათ; ესპანეთში ონიანი ააქოთეს; ნანატრ უკრაინაში, იანუკოვიჩი რომ აღარ იანუკოვიჩობდეს, მაინც ვერ დაემალებიან, ტორტის პონტში გადმოსცემს საქართველოს; „ხმელო“ ბულგარეთში თარგამაძე „პირლიას“ ჰყავს დაბევებული... რა მნიშვნელობა აქვს, სად იყვნენ, ახლა საქართველოში არიან, მანდ იმალებიან, სკარეე ვსევო, აჭარაში.

**— საიდან ასკვნი?**

— მე რას ვასკვნი, ეგრე ამბობს ჩემი ჩეჩენი ახლობელი, მაგამედა. ვაიიი... ვკრაცე, შენ ის მითხარი, მერაბიშვილი სადაა?

**— ცოტა ხანი არ ჩანდა, ინფორმაცია არ გვქონდა, სად იყო, ეგონათ, ისიც გაიქცაო, მაგრამ მერე გამოჩნდა, მგონი, რუსთავში გამართულ შოთაობაზე...**

— ჰოდა, მაგამედა ამბობს, „ჯიგრები“, ახალაიებს ვგულისხმობ, აჭარაში არიანო. მუსლიმანებმა ისეთი ძმობა იციან, აზრზე არ არიან, სად შეტოპეს — მიაგნებენ და წამება და ცოცხები მერე ნახონ. წეღან ვახსენე და არ დამამთავრებინე, ვანო რომ დაგეკარგათ, მუშნი ზარანდიას ვარიანტში ახალაიებთან იყო, ჩაბარდითო და აღიარეთო. ორივე ძმა ერთნაირი ახვარია, მაგრამ რომ ვუსმენ, ის „უბიიცა“ ცოტა, ძალიან ცოტა, მაგრამ როგორც ხმები მოდის, ნორმალურად იქცევა მომენტებში. უწმინდესი რომ ტიროდა, რა ვიცი, მინდოდა და იმიტომ დავუშვი თუ რა იყო, არ ვიცი, მეთქი, აღსარება ჩააბარა გაქცევამდე, ალბათ და ისეთი საშინელებები თქვა, გაუთქმელობის გამო გულში აღარ ეტეოდა და იმიტომ ტიროდა, შეურაცხყოფაზე არ ატირდებოდა-მეთქი. ეს რას მოვაყოლე და, მაგამედამ თქვა, (სხვათა შორის, მერაბიშვილისადმი შურისძიების შესახებ არ გამიგია) ვანიამ რო უთხრა ძმებს, ჩაბარდითო, „უბიიცამ“ თქვა ოკეიო და სადისტმა ტანსაცმელი შემოიხიაო. როგორც ჩვენ ვასკვნით, ნაღდად მიუვიდათ ხმა, შეიძლება, სულაც ვანომ უთხრა, (ვანოს ხომ ცალკე ჰყავს ნეშტატნი ბოზები)ბიჭო, ქურდებმა მოგაგნეს (ჩეჩნები გამორიცხულია) „ხვოსტზე“ გაზიანო და ისევ საქართველოში მოხიეს. ხომ გეუბნები, საქართველოს ციხის გარდა ისიც „კრიტში“, სხვაგან, ყველგან სიკვდილი ჰყავთ ჩასაფრებული...

**მაია ჭელიძე**

**P.S. ინტერვიუ დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც ბაჩო ახალიამ ქართული საინფორმაციო სააგენტოებით გაავრცელა მიმართვა, სადაც აცხადებს, რომ მის მიმართ ბოლო ხანებში გამოთქმული ბრალდებები არის სიცრუე და მზადაა შესაბამის ორგანოებს ნებისმიერ კითხვაზე პასუხი გასცეს.**

# ნარკოზის შემდეგ

*ოპერაციის დამთავრების შემდეგ ანალგეზური ნივთიერებები (ბარბიტურატები, სედატიური საშუალებები, ოპიუმის ჯგუფის პრეპარატები), ტკივილგამაყუჩებელ ეფექტთან ერთად, ორგანიზმის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციათა მარეგულირებელი ცენტრების დათრგუნვას იწვევს, ამიტომ ნარკოზის შემდეგ პაციენტებს მტკივნეული შეგრძნებები, უსიამოვნო ემოციები და ინტოქსიკაციის ნიშნები აღენიშნებათ.*



### ნარკოზის შემდგომი ღებინება

ნარკოზის შემდგომ გართულებებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ნარკოზის შემდგომი ღებინება, ის ოპერაციის შემდეგ ხშირად ვითარდება და ნარკოტიკული ნივთიერებებით კუჭის გაღიზიანების შედეგია. სწორედ ამიტომ ეკრძალება პაციენტს ნარკოზის შემდეგ პირველი 2-3 საათი წყლის და საკვების მიღება.

### სასუნთქი სისტემის დაზიანებათა პროფილაქტიკა

ოპერაციის შემდეგ მოძრაობათა შეზღუდვა სასუნთქი სისტემის ფუნქციათა დათრგუნვას იწვევს, ამიტომ ნარკოზის შემდგომ გართულებათა შორის ყველაზე ხშირად ოპერაციისშემდგომი პნევმონია და სასუნთქი სისტემის სხვა სახის პათოლოგიები იჩენს თავს.

ოპერაციისშემდგომი პნევმონია მოგვიანებით გართულებებს მიეკუთვნება და ოპერაციიდან მეოთხე-მერვე დღეს ვითარდება.

ამ მხრივ, ერთ-ერთი უპირველესი ღონისძიება პაციენტის გაციებისგან დაცვაა, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის.

### როგორ მოვიქცეთ?

1. ფილტვების დრენაჟული ფუნქცია რომ არ დაქვეითდეს, აუცილებელია ,დრო და დრო ზედა სასუნთქი გზებიდან და პირის ღრუდან მოხდეს შიგთავსის ამოქაჩვა;

2. აქტიურად უნდა გატარდეს სუნთქვის პროცესის გასაუმჯობესებელი ღონისძიებები:

* გამოღვიძებისთანავე უნდა დაავალოთ პაციენტს, რომ პერიოდულად ღრმად ჩაისუნთქოს და ამოისუნთქოს;

* ყოველ საათში ერთხელ აუცილებლად უნდა ამოძრაოს ზედა და ქვედა კიდურები, რა თქმა უნდა, თუ ოპერაციის ნაირსახეობა ამის საშუალებას იძლევა.

* ეს მოძრაობები პაციენტმა შინაც უნდა გააგრძელოს;

* ფილტვების ვენტილაციის გასაზრდელად და ანთებითი პროცესების პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რეზინის საჰაერო ბურთების ბერვას;

* პაციენტმა უნდა გაითვალისწინოს და იცოდეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხველასა და ნახველის გამოყოფას. ამიტომ ტკივილის შიშით არ უნდა თქვან ამაზე უარი, ხველისას ხელით უნდა დაიჭირონ ნაოპერაციები ადგილი, რათა მუცლის კედლის კუნთების შეკუმშვისას ტკივილი არ გაძლიერდეს და შემდეგ აქტიურად ამოახველონ.

* ხველისას ტკივილს ასევე ამცირებს ქვედა კიდურების მუხლებში მოხრა.

* თუ ასეთ ღონისძიებათა მიუხედავად, პაციენტი მაინც ვერ ახერხებს ხველას, ნახველისა და ლორწოს გამოყოფას, მაშინ აუცილებელია სასუნთქი გზების ხელოვნურად გასუფთავება და ჟანგბადოვანი თერაპიის ჩატარება.

### ცნობიერება

პაციენტები, ოპერაციული ჩარევის მოცულობისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, ნარკოზიდან 4-5 საათში ილვიძებენ, თუმცა, მთელი დღის განმავლობაში მოდუნებული არიან. ამან პაციენტის ახლობლები არ უნდა შეაშინოს.

ხშირად ხდება პირიქითაც, როცა ნარკოზიდან გამოსვლის შემდეგ პაციენტი ძლიერ აგზნებულია. პაციენტის მომატებულ გაღიზიანებას ხშირად მისი ახლობლები იმით ხსნიან, რომ ნაკლები დოზის პრეპარატები გაუკეთდა, რაც სიმართლეს არ შეეფერება. ჩვეულებრივ, ეს იმ პაციენტებს ემართებათ, რომლებიც ბოროტად იყენებენ ალკოჰოლურ სასმელებს ან ნარკოზამდე ფსიქოლოგიური მოშლილობით ხასიათდებოდნენ.

ასევე მცდარია მოსაზრება, თითქოს ოპერაციის შემდეგ პაციენტის დაბნეულობა, გულმავიწყობა, მეხსიერებისა და მობილიზების უნარის დაქვეითება ტვინში სანარკოზე პრეპარატების ხანგრძლივ დაყოვნებას დააბრალონ.

ანესთეზიისას გამოყენებული პრეპარატები ორგანიზმიდან ძალზედ სწრაფად – 1-2 დღეში გამოიდევნება, თუმცა ოპერაციის შემდეგ, 1-2 თვის მანძილზე, პაციენტებს მართლაც უჭირთ კოორდინირებული მოქმედებები, ადვილად იღლებიან, ხშირად მოთენთილობას გრძნობენ, გონებრივად ისე კარგად ველარ მუშაობენ, როგორც ნარკოზამდე – ყოველივე უკავშირდება არა ნარკოზის მოქმედებას, არამედ ოპერაციის გართულებებს, ჟანგბადოვან შიმშილს ან ტვინის სისხლმომარაგების შეფერხებას, რაც დროთა განმავლობაში გაივლის.

### ნარკოზის შემდგომი დიეტა

მუცლის ღრუს ორგანოებზე ზოგადი ანესთეზიით ჩატარებული ოპერაციის შემდეგ წყლის დალევა ხშირ შემთხვევაში იწვევს არასასურველ შედეგებსა და გართულებებს, ამიტომ პირველ საათებში წყლის სმა აკრძალულია. ასეთ დროს მხოლოდ ენისა და ტუჩების დასველება, პირის ღრუში წყლის გამოვლებაა დასაშვები.

ნარკოზის შემდგომი სპეციალური სამკურნალო დიეტა არ არსებობს; პაციენტები იკვებებიან ჩატარებული ოპერაციის სახეობის მიხედვით, თუმცა, ნარკოზის შემდეგ ფუნქციების, განსაკუთრებით კი აზროვნებისა და მეხსიერების სწრაფად აღსადგენად, აუცილებელია, პაციენტებმა თავი იმ ორი ნივთიერების უხვად შემცველი პროდუქტებით დაიტვირთონ, რომლებიც ნარკოზის შემდეგ ტვინს ყველაზე მეტად სჭირდება: ეს ლეციტინი და ქოლინია.

ლეციტინი – მას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია: ენერგიით ავსებს ნერვულ უჯრედებს, შედის უჯრედის კედლის შემადგენლობაში, უზრუნველყოფს კავშირს ტვინის სხვადასხვა უბანს შორის.

ლეციტინით მდიდარია კვერცხის გული, ხორცი, ბარდა, არარაფინირებული ზეთი და სოია.

ქოლინი – ვიტამინის მსგავსი სტრუქტურის მქონე ნივთიერებაა, რომელიც ლეციტინის შემადგენლობაში შედის, ეს უკანასკნელი კი აცეტილქოლინის – ნერვული სისტემის მედიატორის სტრუქტურული ერთეულია.

აცეტილქოლინი ყურადღების კონცენტრაციასა და აბსტრაქტულ აზროვნებაში გვეხმარება. ამიტომ ტვინი სისტემატურად უნდა ვკვებოთ ქოლინის შემცველი პროდუქტებით: ღვიძლით, მჟავე კომბოსტოთი, თხილით, ბარდით.

აუცილებელია და განსაკუთრებით სასარგებლოა ახალგამოწურული წვენები, მინერალური წყალი და ჩაი (უპირატესად მწვანე).

# თუ ბრონქიტმა შემოგიტიათ

შემოდგომის დადგომის კვალდაკვალ, ქრონიკულად მიმდინარე ბევრი სხვა დაავადების მსგავსად, საკმაოდ ხშირად იჩენს თავს ქრონიკული ბრონქიტი.

თუ შემოდგომამ თქვენი დაავადება გამოაღვიძა, გთავაზობთ რეკომენდაციებს, რომლებიც მედიკამენტური თერაპიის პარალელურად ძალების სწრაფად აღდგენასა და დაავადების პროგრესირების შეჩერებაში დიდ დახმარებას გაგიწევთ.

* დალიეთ ბალახებისგან დამზადებული ნაყენები, რომელთა საიმედოობა არაერთმა თაობამ გამოსცადა და რომლებიც აბსოლუტურად უსაფრთხოა;

* მიირთვით ქათმის ნახარში და სხვა ბულიონი. მასში აუცილებლად ჩაამატეთ მწარე, ცხარე სანელებლები, ისეთები, როგორებიცაა პილპილი, ნიორი და წითელი წიწაკა.

ცხარე სანელებლებიანი ბულიონი ერთიათად აძლიერებს და ხელს უწყობს ბრონქებიდან ლორწოს გაწოვასა და ამოხველებას;

* ნურც სავლებ საშუალებებსა და პროცედურას დაივიწყებთ.

გთავაზობთ ერთ-ერთ რეცეპტს: 1 ჭიქა წყალში ჩადეთ 1 სადილის კოვზი პირშუშხა და 1 სადილის კოვზი ნატურალური თაფლი. მოურიეთ კარგად და გამოივლეთ ყელში, შემდეგ კი ჩაყლაპეთ.

პროცედურა გაიმეორეთ დღეში რამდენჯერმე, შესაძლოა, ის არც ისე სასიამოვნო გეჩვენოთ, მაგრამ ეფექტი ნამდვილად ექნება: მწარე სანელებლები ნაწილობრივ ილექება ყელში და ბრონქულ მილებში წყლის სეკრეციას ასტიმულირებს, რაც საბოლოოდ ლორწოს გათხელებას ახდენს.

* საცხოვრებელი დღეში ორჯერ გაანიავეთ, რათა ამოხველებულ ჰაერში დაგროვილი მიკრობებით მდიდარი ჰაერი სუფთა ჰაერით ჩაანაცვლოთ.

**სიფრთხილე გამოვიჩინოთ ანტიბიოტიკების მიმართ!**

* ბრონქიტის პირველივე სიმპტომების გაჩენისას, მაშინვე ნუ დაიწყებთ ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობას. ბრონქიტს ჩვეულებრივ იწვევს ვირუსული ინფექცია, ანტიბიოტიკები კი მხოლოდ ბაქტერიულ ინფექციებთან ბრძოლაშია ეფექტიანი.

* ბევრისთვის ცნობილია, რომ ანტიბიოტიკების გაუფრთხილებლად მიღებას შესაძლოა, უსიამოვნო შედეგები მოყვეს; მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბევრი მაინც მიმართავს ექიმს თხოვნით, ანტიბიოტიკების დალევის ნება დართოს – ფიქრობენ, რომ მხოლოდ მათი საშუალებით მოახერხებენ ინფექციის დამარცხებას. არადა, ავიწყდებათ, რომ დანიშნულებისა და საჭიროების გარეშე დალეული ანტიბიოტიკი ზიანის მომტანი უფროა, ვიდრე სარგებლის. ამ დროს, განსაკუთრებით სასუნთქ გზებში მობინადრე სასარგებლო ბაქტერიებს ადგება ზიანი.

* დაიმახსოვრეთ! ბრონქიტისას ანტიბიოტიკების დანიშვნა მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როცა სხვა გზა აღარ რჩება, როცა მკურნალობის ყველა დანარჩენი მეთოდი ამოწურულია, დაავადებისათვის დამახასიათებელი სიმპტომები კი არ ქრება.

* თავი არიდეთ ხველის საწინაალმდეგო წამლების სმას. დაავადებებთან ბრძოლისას, ხველა ორგანიზმის ბუნებრივი, დამცავი საშუალებაა, სწორედ მისი საშუალებით თავისუფლდება ორგანიზმი ლორწოსა და ნახველისაგან.

* როცა პაციენტი ხველის დამთრგუნველ აბებს იღებს, ამით ორგანიზმის დამცავი ფუნქციები ითრგუნება, რაც გამოჯანმრთელების პროცესს კიდევ უფრო ახანგრძლივებს და აგვიანებს.



**დაავადება რომ არ გართულდეს**

ბრონქიტით დაავადების შემთხვევაში, საკმაოდ დიდია მისი გართულების ალბათობა. გთავაზობთ რჩევებს, რათა დაავადებამ სერიოზული სახე არ მიიღოს:

1. ყოველდღიურად მიირთვით ნიორი და ცხარე სანელებლები, თუ მათი სუნი არ გსიამოვნებთ, შეგიძლიათ ნივრის აბები დალიოთ;

2. აკეთეთ ვარჯიშები ფილტვებისა და გულმკერდის კუნთების მოსამაგრებლად.

იცურეთ, იარეთ, ირბინეთ, ეს საკმაოდ სასარგებლოა, რამდენადაც ამ დროს ძლიერდება სასუნთქი კუნთების შეკუმშვის ძალა, რაც აადვილებს ლორწოს ცირკულაციას.

ჩაიტარეთ სასუნთქი ვარჯიშები იოგისა და ტაიჩის პრინციპით, ისეთები, რომლებიც ფილტვების ვენტილაციურ ფუნქციას აძლიერებს;

3. ნუ მოწევთ – მწეველებში განსაკუთრებით ადვილად გადადის მწვავე ფორმა ქრონიკულში;

5. დიდი რაოდენობით მიირთვით ხილი და ბოსტნეული, რადგან ისინი უხვად შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებიც ფილტვებისთვის დამცავ ბარიერს ქმნის და ამასთან, ეწინააღმდეგება საკმაოდ ბევრ დაავადებას, მათ შორის ბრონქიტსაც.

ყოველდღიურად 5 ულუფა ხილი და ბოსტნეულით თქვენ საუკეთესოდ დაიცავთ თავს, რომ პროცესი ქრონიკულ ფაზაში არ გადავიდეს.

**ბრონქიტით დაავადებულ პატარებს:**

**ეცადეთ, დაალევინოთ რაც შეიძლება მეტი სითხე** – ის ათხელებს ლორწოს და აადვილებს ხველას, არბილებს ყელის ლორწოვან გარსს, რომელიც ხველით ძლიერ დაზიანებულია. 8 წლის ასაკიდან ბავშვმა დღეში ლიტრამდე სითხე მაინც უნდა მიიღოს;

**ბრონქიტით დაავადებული ბავშვის ოთახში გაზარდეთ ტენიანობა** – ტენიანი ჰაერი არბილებს ბრონქების გაღიზიანებულ მემბრანებს. ამისათვის დახურეთ პატარას საძინებლის კარი და ჩართეთ ჰაერის დამატენიანებელი სპეციალური ხელსაწყო ნახევარი საათით ადრე, ვიდრე პატარა დასაძინებლად დაწვება, ხელსაწყო დატოვეთ ჩართული მთელი ღამის განმავლობაში – ის ოთახის ჰაერში ტენიანობის დონეს 70 პროცენტამდე გაზრდის. თუ ასეთი ხელსაწყო არ გაქვთ, შეგიძლიათ გამათბობელ ბატარიებზე სველი პირსახოცები გადაფინოთ;

**ნურავის მისცემთ სახლში თამბაქოს მოწევის უფლებას** – რადგან მისი კვამლი ძლიერ აღიზიანებს ბრონქებს.

**დატვირთეთ ბავშვის მენიუ წვნიანი კერძებით** – განსაკუთრებით კი უკვე ნახსენები ქათმის ცხელი ბულიონით, რომელიც როგორც დიდებში, ისე ბავშვებში, ყველა დანარჩენ საშუალებაზე უკეთ ახერხებს ლორწოს გათხელებასა და აადვილებს ბრონქებიდან მის გამოდევნას.

**მოამზადა**
**ზვიად ლონლაძემ**

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

# mieciT saqarTvelos saSualeba, Tavi moawonos ruseTs

## მეტისმეტად გაუჭირდება თბილისს, მოსკოვს შეურიგდეს — ოკუპანტი უწოდოს და ნატო-ში შესვლაც სურდეს

**რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა სტრატეგიული განვითარების მოდელირების რუსეთის ცენტრის კომენტარი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების საკითხებში საქრთველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენლად გამოცდილი დიპლომატის ზურაბ აბაშიძის დანიშვნას ეხება. ამის საპასუხოდ რუსეთმაც უნდა გადადგას შემხვედრი ნაბიჯი და საქართველოში მსგავსი სპეცწარმომადგენელი, ერთგვარის „სახალხო დიპლომატი“ დანიშნოს.**

ეს ცენტრი ანგარიშგასაწევი საექსპერტო ორგანიზაციაა, მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტი გრიგორი ტროფიმჩუკი ცნობილი ექსპრეტია და ამიტომაც მისი პოზიცია და სიტყვები ანგარიშგასაწევია. მიუხედავად ამისა, საქართველოში რუსეთის სპეცწარმომადგენლის დანიშვნის იდეას ვერ დავეთანხმებით.

რატომ შემოიღო ეს თანამდებობა საქართველომ, ამის მიზეზები ცნობილია. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად, რუსეთის ბაზარზე ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასატანად. სწორედ ამას ჰპირდებოდა ახალი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი თავის ამომრჩეველს წინასაარჩევნო პერიოდში. არცთუ უმნიშვნელოა ისიც, რომ ამ თანამ-



გრიგორი ტროფიმჩუკი

დებობის შემოღებით, საქართველო რუსეთელებს უგზავნის მკაფიო გზავნილს, რომ მისი პოლიტიკა იცვლება და ახალი ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას ძალზედ სერიოზულად უდგება.

არადა, რუსეთის პოლიტიკა რომ უცვლელი რჩება! ურთიერთობების აღდგენა, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება საქართველოს და არა რუსეთს. ქართველები, ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ: სააკაშვილის დემაგოგიის მიუხედავად, თითქოსდა ქართულ ღვინოს ჩინეთსა და ამერიკაში გაყიდდნენ, რუსეთის ბაზრის გარეშე საქართველოს სოფლის მეურნეობა სულს ღაფავს და ყოველმხრივ ეცდებიან ძველ სავაჭრო არეალში დაბრუნებას. ივანიშვილის, და არა პუტინის, წინასაარჩევნო თეზისი იყო მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენა. ათასობით ქართველი მიილტვის რუსეთისგან, განიცდის ვიზების უქონლობას, საპირისპიროდ კი, არათუ პროცესი, ამის სურვილიც არ ჩანს. მეტისმეტად გაუჭირდება საქართველს, რუსეთს შეურიგდეს და იმავდროულად, მას ოკუპანტი უწოდოს და ნატო-ში შესვლა სურდეს.

რუსეთი უფრო იოლ მდგომარეობაშია, რადგან მნიშვნელოვანი დიპლომატიიური ძალისხმევის გამოჩენა არ მართებს. იმისათვის, რომ თავისი განზრახვების სერიოზულობა დაამტკიცოს, საქართველომ სააკაშვილის ანტირუსულ გეზზე საბოლოოდ უარი უნდა თქვას. და თუ ეს ასე მოხდება, თბილისის სურვილზე მსჯელობის დაწყება არ იქნება რთული.

ასეთ პირობებს შორის არის: რუსული ოკუპაციის მუზეუმის დახურვა, ანტირუსული არხის (Ï ÈÊ) გადასხვაფერება ან დახურვა (არხმა უკვე შეწყვიტა მაუწყებლობა), იმ კანონის გაუქმება, რომლითაც სისხლისსამართლებრივად იდევნებიან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართული ვიზის გარეშე ნამყოფი ადამიანები, ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის (რუსეთი-აფხაზეთი-საქართველო-სომხეთი. ამის შესახებ უკვე არსებობს განზრახვა) აღდგენა, სომხეთში არსებული რუსული სამხედრო ბაზებისთვის სამხედრო დანიშნულების ტვირთის გადასაზიდად საქართველოს ტერიტორიის გამოყენება და საქართველოს პარლამენტის იმ გადაწყვეტილების დენონსაცია, რომელიც კავკასიურ ომში ჩერქეზთა გენოციდს ეხება.

საგანგებოდ შევჩერდეთ ამ ბოლო პუნქტზე: ქართველი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ ჩერქეზი ნაციონალისტებისა და რადიკალების მხარდაჭერის კურსს აღარ გააგრძელებენ, მაგრამ გენოციდის აღიარების უკან წაღებას არ აპირებენ. გენოციდის აღიარება ანტირუსული აქტი იყო, რომლითაც რუსეთისთვის ზიანის მიყენება და რუს და ჩერქეზ ხალხებს შორის შუღლის გაღვივება სურდათ. თუკი პარლამენტის ეს აბსურდული გადაწყვეტილება არ გაუქმდება, საეჭვოა, თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა დათბეს. ბოლოს და ბოლოს, ახალი სპეცწარმომადგენელი ჩავიდეს კახეთში და ჰკითხოს იქაურ მევენახეებს, რა ურჩევნიათ — რუსეთის ბაზარზე ღვინის გაყიდვა და მიღებული შემოსავლით ადამიანური ცხოვრება თუ ჩერქეზთა არარსებული გენოციდის აღიარება. როცა პასუხს მიიღებს, ალბათ იმაზე დაფიქრებაც მოუწევს, როგორ გააუქმონ გენოციდის აღიარების გადაწყვეტილება, თანაც ისე, რომ ღირსეულადაც გამოჩნდნენ.

საქართველომ დიპლომატიური ხელოვნებით კი არა, რეალური საქმეებით უნდა დაამტკიცოს თავისი განზრახვების სერიოზულობა. ხანგრძლივი განშორების შემდეგ, საქართველოს უნდა მიეცეს საშუალება, რუსეთს თავი მოაწონოს.

**È À REGNUM**

# saqarTvelom unda daamtkicos, rom Camoyalibda rogorc saxelmwifo da misi adgili evropaSia

**„მთავრობა არსებობს, პრემიერი არჩეულია, სამინისტროებში დიდი პოლიტიკური დასუფთავების დასაწყებად ცოცხები მზად არის“, — ასე აფასებს Der Standard-ის მიმომხილველი საქართველოში შექმნილ ვითარებას.**

ვაშინგტონის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის კავკასიის საკითხთა ექსპერტი სვანტე კორნელი: 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე პერიოდში, უცნაური მილიარდერის ბიძინა ივანიშვილისა და მარადიული რევოლუციონერის მიხეილ სააკაშვილის თანაარსებობა ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება იმის შესაფასებლად, როდის უნდა გახდეს საქართველო ნატოს და ევროკავშირის წევრი. თუკი ძალაუფლების გადაბარების დემოკრატიული პროცესი საპრეზიდენტო არჩევნებამდე და თვითონ არჩევნების ჩათვლით გაგრძელდება, დასავლეთსაც და რუსეთსაც ძალზედ გაუჭირდება, ბარიერები შეუქმნან საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს. თუ საქართველო, უკრაინის მსგავსად, ქაოსსა და ურთიერთბრალდებებში ჩაეფლობა, დადასტურდება კრიტიკოსთა შეფასება — საქართველო ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოა და მისი ადგილი ევროპაში არ არის.

ამერიკელმა მაღალჩინოსანმა დიპლომატმა ერიკ რუბინმა განაცხადა, რომ საქართველოს ახლად არჩეულ პარლამენტში არც ერთ პარტიას არ გააჩნია საამისო კვოტა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ან კანონები დაჩქარებული წესით მიიღონ. „გაერთიანებულმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ საპარლამენტო ვადის დასაწყისშივე დაკარგა ექვსი დეპუტატი, რომლებმაც დამოუკიდებელ დეპუტატთა ფრაქციის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. ფაქტია, რომ „მოძრაობას“ ზოგიერთ საკითხში მათი მხარდაჭერის იმედი არც უნდა ჰქონოდა.

რუბინმა აგრეთვე განაცხადა, რომ, „ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, „ამერიკის შეერთებული შტატებისთვის საქართველოს მნიშვნელობა“ კიდევ უფრო გაძლიერდა. კერძოდ, ეს ფორმულირება გულისხმობს ნატო-ში საქართველოს შესვლის მხარდაჭერას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის უგულებელყოფას მომავალშიც და 2008 წლის ომის შემდეგ, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების გამოსასწორებლად ვაშინგტონის პოლიტიკის გეზის გაგრძელებას.



ამ ძალისხმევის ერთ-ერთი დასტური მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შესახებ შეთანხმებაა: 2011 წლის ნოემბერში თბილისმა უარი განაცხადა, დაებლოკა რუსეთის ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში შესვლა; სანაცვლოდ მოითხოვა სასაზღვრო კონტროლის რთული მექანიზმის ამუშავება, აფხაზეთში საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტის დაშვებისა და სახმელეთო სავაჭრო მიმოსვლის შესაძლებლობები.

ახლა ივანიშვილმა უნდა დაარეგულიროს ეს ურთიერთობები, რის დაპირებასაც წინასაარჩევნო პერიოდში იძლეოდა. კერძოდ, მან სავაჭრო ორგანიზაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება უნდა აამოქმედოს. პრობლემას ქმნის აფხაზეთის პრეზიდენტის წინაალმდეგობა, რომელიც მისი ტერიტორიის გავლით რუსულ-ქართული დერეფნის ამოქმედებას გულისხმობს.

მიმომხილველის აზრით, ახალი მინისტრების უმრავლესობას არ გააჩნია სახელმწიფოს მართვის გამოცდილება, მათ დრო სჭირდებათ საქმის არსში გასარკვევად და არ არის გამორიცხული, სისწრაფეში მცდარი გადაწყვეტილებბი მიიღონ. ახალ მთავრობას იმავე პრობლემებთან მოუწევს ბრძოლა, რამაც სააკაშვილის პარტია დაამარცხა: „ცხრაწლიანი რეფორმების შემდეგ საქართველოს ასეულობით მოქალაქე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს“.

ავტორის ვარაუდით, სააკაშვილის პროპაგანდისტული მეგაპროექტები — მაგალითად, აფხაზეთის საზღვართან სუპერთანამედროვე ქალაქ ლაზიკის მშენებლობა, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, ნაკლებმასშტაბური იქნება.

**Der Standard**

# arCevnebi amerikaSi: brZola finiSis sworamde

**ობამას საარჩევნო შტაბი რამდენიმე კვირაა მანტრასავით ღაღადებს: „დაითვალეთ თვითონ“, წერს ბრიტანული Financial Times. საქმე ის გახლავთ, რომ გამოკითხვებით, მოქმედი პრეზიდენტი და მისი მოწინააღმდეგე თითქოს თანაბარ მხარდაჭერას იმსახურებენ, მაგრამ არ ითვალისწინებენ იმ მერყევ შტატებს, რომლებშიც ობამას უპირატესობა აქვს და შეუძლია მიიღოს ამომრჩევლის 270 ხმა. შესაბამისად, ობამას შეეძლება, დარჩეს თეთრ სახლში.**



„მერყევი შტატი“ ცხრაა: ნევადა, კოლორადო, ოჰაიო, ვისკონსინი, აიოვა, ფლორიდა, ვირჯინია, ჩრდილოეთ კაროლინა და ნიუ-ჰემფშირი. „საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ ვერც ერთი რესპუბლიკელი ვერ გახდა პრეზიდენტი, ვისაც ოჰაიომ მხარი არ დაუჭირა“, — წერს გაზეთი. რომნიც არ კარგავს იმედს, რომ ბოლო წუთს მას მხარს დაუჭერენ სხვა შტატებიც, მაგალითად: პენსილვანია, მიჩიგანი და მინესოტა.

„საერთო მოსაზრებით, ობამას, რომნისთან შედარებით, მეტი შესაძლებლობა გააჩნია, 270 ხმა მიიღოს. ობამას შეუძლია ოჰაიოს დანაკარგის კომპენსაცია დანარჩენ ხუთ შტატში მოახდინოს. თუ რომნი ოჰაიოს დაკარგავს, „მერყევ შტატებში“ უმრავლესობა უნდა მოიპოვოს“.

ასეთ გარემოებებში მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა აქტივობა. ამბობენ, რომ 2008 წელთან შედარებით, საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა გამოცხადება, ქარიშხალ „სენდის“ შედეგების გამო, უფრო ნაკლებია.

**Financial Times**

მოამზადა
**გ. ჭავჭავაძემ**

მოგზაურობა სამშობლოში



# ...Tua l ni dau t kben

ცენტრალური ჯავახეთი

**იმით დაღონებულებმა, რომ დიდ ხორენიაში მელქისედეკ კათოლიკოსის წარწერა ვერ ვნახეთ, მთელი იმედი ნასოფლარ კარნეთის ეკლესიაზე დავამყარეთ. იქ მელქისედეკის სახელოვანი მემკვიდრისა და აღზრდილის კათოლიკოს იოანე ოქროპირის ქტიტორული წარწერა გვეგულებოდა.**

დიდი ხორენიიდან ჯერ აღმოსავლეთით მდებარე პატარა ხორენიაში შევდივართ, იქიდან კი მკვეთრად ვუხვევთ და შემოვლითი გზით ჩრდილო-დასავლეთით მდებარე **კარნეთისკენ** მივეშურებით. ფარავნისწყლის ვიწრო ხეობაში ჩავედით. მანქანას სულ უფრო უჭირს სიარული, მაგრამ სადაც ჩერდება, იქიდან უკვე ეკლესიაც გარკვევით მოჩანს. კარნეთის ეკლესიას ხულგუმოს ეკლესიის მდებარეობა აქვს, ოღონდ კიდევ უფრო ღრმადაა ხევში ჩამჯდარი, ლამის მდინარის დონეზეა და მასთან იმდენად ახლოსაა, რომ გასაკვირია, წყალი ზედ როგორ არ ადგება. ჩვენს თავზე ახალქალაქ-ნინოწმინდის ხმაურიანი ავტომაგისტრალი გადის, მაგრამ ხევი მაინც უკაცრიელი და იდუმალია. აგვისტოს ხვატში, ახალქალაქთან შედარებით, აქ ნამდვილი სამოთხეა.

**კარნეთის ტაძარი შედგება უკამაროდ დარჩენილი XI საუკუნის დარბაზული ეკლესიისგან და მასზე სამხრეთიდან მიდგმული XIV საუკუნის მინაშენისგან, რომელსაც დამატებითი სამლოცველოს სახე აქვს.** ტაძარი მთლიანად თლილი ქვითაა ნაგები, რაც ესოდენ სახასიათოა ჯავახეთისთვის. სამწუხაროდ, ძეგლი ყველა მხრიდან, მეტადრე კი აღმოსავლეთიდან ნაკაწრი, ღრმა კვეთისა თუ საღებავით შესრულებული ბარბაროსული წარწერებითაა აჭრელებული. განსაკუთრებით აქტიურად უმოქმედია ვინმე „მიასნიკს“, რომლის სახელს ჯავახეთის სხვა საყდრებზეც ნახავთ. ძლიერაა დაზიანებული სამხრეთ მინაშენის არქიტრავის ისედაც გალეული XIV საუკუნის წარწერა, რომელიც წინა წერილშიც ვახსენეთ. იგი ფრაგმენტულად ასე იკითხება: **„ქ...ქონლის ძესა ვარდანს მიბოძეს სამსახურად ხვირანიო და დევანი... სიოს... ოხიგრითა... ოცდაათი წლითა... ჩვიდმეტი ათასი თეთრი ქართლის კათალიკოზისად... მზითვი... ოცი ათასი თეთრი...“** და ა.შ.

შევდივარდ მინაშენში. ამ მცირე სალოცავის საკურთხევლის აბსიდს ლამის მთლიანად ფარავს კანკელის მსგავსი კედელი. მინაშენიდან მთავარ დარბაზში შესასვლელის არქიტრავი წირთხლებზეა გულაღმა დამხობილი და ყუაზე ერთსტრიქონიანი სომხური წარწერა აქვს. ერთი სიტყვით, XI ს-ის საყდარში შემსვლელისთვის ეს წარწერა ძეგლის სომხურ წარმომავლობაზე მინიშნების მცდელობაა. დარბაზში შესულები კარგა ხანს უშედეგოდ ვეძებთ იოანე ოქროპირის წარწერას და ის-ისაა იმედგაცრუებულებმა უნდა დავტოვოთ იქაურობა, რომ მორღვეულ კედელზე აბობღებული ჩემი ქალიშვილი გვეძახის: — აქ არის, აქ, ვიპოვნე! — მაჭატიის წარწერის მიგნებისა არ იყოს, ახლაც მას გაუღიმა ბედმა. კედელზე გაჭირვებით გავდივართ და ვხედავთ, რომ სალომე სწორედ მავარი დარბაზის იმ გადაქცეულ არქიტრავს დაცქერის, რომლის ყუაზე სომხური წარწერა ამოუკვეთავთ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ. არქიტრავს, გულაღმა გდების გამო, სოკო გასჩენია. სოკოს ფრთხილად ვაცლით და ქართულ ასომთავრულ გრაფემებს თვალსაჩინოს ვხდით. იქვე ჯვრის კონტურებიც ჩნდება. წარწერა მეცნიერებს ასე აქვთ წაკითხული: **„ქ.ადიდე იოანე ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა. იყავნ ამენ!“** როცა არქიტრავი დაუმხობლად იდო შესასვლელის თავზე, საყდრის მლოცველი სწორედ ამ წარწერის **წაკითხვით გადადიოდა ეკლესიის მთავარი დარბაზის ზღურბლზე. წარწერა გვეუბნება, რომ ტაძარი 1033-1048 წლებშია აგებული, რადგან იოანე ოქროპირი სწორედ ამ ხანებში მეთაურობდა საქართველოს ეკლესიას.**

ვინც ასეთ ექსპედიციაში არ ყოფილა, შესაძლოა, ვერ ჩაწვდეს მაშინდელ ჩვენ სიხარულს, განსაკუთრებით ჩემი ქალიშვილის განცდას. წარწერიანი ქვის გასუფთავებისას მის თვალებში სიხარულის ცრემლი კიაფობდა — მან ხომ უშორესი და სახელოვანი წინაპრის კვალს მიაგნო.

დიდხნს ვუყურებდი ამ სურათს, მერე კედლიდან ჩამოვედი და ფარავნისწყლის ნაპირთან ჩამომჯდარმა მდინარეს გავადევნე თვალი — აქა-იქ აქაფებული წყალი ქვიდან ქვაზე გადარბოდა ჩურჩულით.





კარნეთის ტაძრის საერთო ხედი და სამხრეთ მინაშენის არქიტრავის დაზიანებული წარწერა

... კარნეთიდან დასავლეთით და მურჯახეთიდან სამხრეთით მდებარეობს სოფელი **ყულალისი**, რომელშიც ფარავნისწყალზე, ჯიგრაშენთან, გადებული ხიდით შევდივართ.

სოფლის ასეთი სახელწოდება ამოდის არაბული ფუძე-სიტყვა „ყულ“-იდან, რაც მონას ნიშნავს (გავხსენოთ ჩვენში არსებული მსგავსი ტოპონიმები: ყულევი, ყულარი, ყულნურხვა და კიდევ ერთი ყულალისი ახალციხის რაიონში). **აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ სოფლის ძველი და ნამდვილი სახელი ღულალისია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული „ღული“ ძველი ქართულით ხერხისპირიან ნამგალს ნიშნავს (იხ. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“), ეს ვარიანტი, თითქოს, უფრო დამაჯერებელი უნდა იყოს თავთავიანი კულტურების მრავალფეროვნებით განთქმული ჯავახეთისთვის. სავარაუდოდ, ღულიდან უნდა იყოს ნაწარმოები თიანეთის რაიონის სოფელ ღულელების სახელიც.**

1830 წლამდე ღულალისში მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ, ამ დროიდან კი ყარსის ოლქიდან მოსული სომხებიც დასახლდნენ. 1918 წლიდან, როცა გამაჰმადიანებული ქართველობა — იერლი თურქეთში გადაიხვეწა, მისი ადგილი წალკის რაიონიდან გადმოსული სომხების ახალმა ჯგუფმა დაიკავა.

ღულღულასის ტაძარი გარეთ გამოტანილი ტრაპეზის ქვით და რელიეფური წარწერა



**სამცხე-ჯავახეთის ცნობილ მკვლევარს ივ. როსტომაშვილს XIX ს-ის მიწურულს ღულალისში ძველი ციხე უნახავს. ეს ის ციხე უნდა ყოფილიყო, სადაც 1789 წელს ერეკლე II-ის შვილიშვილმა დავით გიორგის ძემ ლეკთაგან 1500 ტყვე დაიხსნა და ქართლში დააბრუნა. XX საუკუნის 30-იან წლებში სანახევროდ დაქცეული ციხე ნიკო ბერძენიშვილსაც უნახავს. ჩვენ მას ველარ მივაკვლიეთ.**

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მეგზურს გურამ წინწკალაძეს ამ სოფელშიც თითქმის ყოველი მეორე კაცი იცნობს, იგი მაინც ფრთხილობს — მისი სიტყვებით რომ ვთქვა, აქაურები ქართული სიძველეების მაძიებელთა მიმართ მაინცა და მაინც კარგი დამხვდურები ვერ არიან. მაგრამ მე მათი მულამი უკვე ვისწავლე: სომხურ მისალმება „ბარომს“ იქვე „ცავატანემ ახპერჯან“-ს მივაყოლებ და მხარზე რიხიანად დავკრავ ხოლმე ხელს, რომ ჯაბანი არ ვეგონო. ასეთ შემთხვევაში ისინი შენში არამარტო კეთილმოსურნე, არამედ ძლიერ კაცს ხედავენ და კონტაქტში იოლად შემოდიან. ერთი სიტყვით, სომხებთან სალამ-ქალამის შემდეგ, მათი თანხლებით, სოფლის ძველ უბანში მდგარი სალოცავისკენ მივეშურებით.

ეს სალოცავი რომ XIX საუკუნეში აღდგენილ-გადაკეთებული და ისევ დანგრეული ძველი ქართული ტაძარია, იმთავითვე თვალში გეცემათ. ფლეთილი ქვების ხელახლა დამწყობ კალატოზს უხეირო ხელი ჰქონია. საბჭოთა ხანაში ისედაც დამახინჯებული ძეგლი ყველის საწყობად უქცევიათ და შიგ ავზები მოუწყვიათ. ძალზე ორიგინალური ტრაპეზის ქვა ტაძრიდან გარეთაა გამოტანილი. მიუხედავად ამისა, როგორც ინტერიერში, ისე ფასადებში აქა-იქ მაინც გამოკრთის სიძველის ნიშანი — რამდენიმე ბოლნური ჯვარი (მეტადრე სამხრეთ კარის წირთხლში). ყველაზე უფრო საყურადღებოა სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ მონაკვეთში არსებული ვეება სიპი ლოდი, რომელზეც რელიეფურად შესრულებული ჯვარი და ქართული ასომთავრული წარწერაა: **„იესო ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე სევასტოსი და ძე მათი გიორგი კუროპალატი, შეეწიენ, დაუტკბენ თუალნი, კეთილ ექმენ პეტს** (ევპატოსს? — **გ.ქ.**) **თოდს ძეს... ერთს. განსაძლიერებლად ავაგე ესე ეკლესია, ქორონიკონი იყო სპ** (1960 წ. — **გ.ქ.**)**“.** წარწერაში ნახსენები არიან საქართველოს მეფე ბაგრატ IV და მისი ძე — გიორგი II. ყურადღებას იპყრობს გამოთქმა „დაუტკბენ თუალნი“, რომელიც ერთ-ერთი წინა მოგზაურობის დროსაც შეგვხვდა მაჭატიის ქვაზე ამოკვეთილ ბაგრატ III-ის წარწერაში. როგორც ჩანს, X-XI საუკუნეებში ეს დიდ საერო პირთა ერთგვარი სადღეგრძელებელი გამოთქმა იყო. ის დღეს აღარ გამოიყენება, მაგრამ შემოგვრჩა მისი საწინააღმდეგო გამოთქმა — „თვალი დაუდგეს“.

თუალნი, დაგიტკბეთ, აქ მოსულო მართლმადიდებელო მლოცველნო!

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**





კარნეთის ტაძრის ინტერიერის ერთი კუთხე, დამხობილი ბალავზრის გასუფთავება და იოანე ოქროპირის წარწერის ნაწილი



# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666

ჯემალ დავლიანიძე

### აშშ-ს სენატის მიერ აღვლენილი ხოტბა შევარდნაძისადმი!

თუმცა, ვნახოთ თვით მიძღვნა-მიმართვა ამერიკის შეერთებული შტატების სენატისა ედუარდ შევარდნაძისადმი, რომელიც გააჟღერა ბატონმა ჰერდმა და რომელსაც ხელი მოაწერა მთელმა სენატმა:

„ბატონო თავმჯდომარე, გასულ კვირას, 1998 წლის 25 იანვარს, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა თავისი დაბადების 70 წლისთავი. პრეზიდენტი შევარდნაძე ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი ცენტრალური საერთაშორისო-პოლიტიკური ფიგურაა. მან გადამწყვეტი როლი შეასრულა კომუნისტური საბჭოთა იმპერიის ტრანსფორმაციაში, რომლის შედეგად წარმოიშვა ეროვნულ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომლებიც ამჟამად პიროვნული თავისუფლების, დემოკრატიული პროცესების, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ღირებულებათა ერთგულნი არიან. აღსანიშნავია, რომ ეს ტრანსფორმაცია-დაშლა იმ იმპერიისა, რომელიც გამოირჩეოდა უდიდესი სადაზვერვო, სამხედრო ძალებითა და დასავლეთის მიმართ სიძულვილის ხანგრძლივი ისტორიით, ამერიკასთან, ჩვენს ევროპელ მოკავშირეებთან ერთად მოხერხდა ყოველგვარი ძალისმიერი კონფრონტაციის გარეშე.

ამ მშვიდობიან ტრანსფორმაციასა და ბერლინის კედლის აღებაში საბჭოთა ხელმძღვანელობასა და შეერთებულ შტატებს შორის შეიარაღებისადმი კონტროლისა და განახლების ძირითად საკითხებზე შეთანხმებათა მიღწევაში შევარდნაძის ნათელ და ძლიერ პიროვნებას კაცობრიობის ისტორიის გარდამტეხი მოვლენების ფორმირებისას დიდი როლი ენიჭება. ბატონმა შევარდნაძემ დაამტკიცა, რომ ისტორიას მართლაც ქმნიან პიროვნებები და არა სოციალური და ეკონომიკური იმპერატივები.

მაგალითად, რუსეთისა და შეერთებული შტატების თანამშრომლობას სადამ ჰუსეინის დასაგმობად და შემდგომ ოკუპირებულ კუვეიტიდან მის განსადევნად დიდად განსაზღვრავდა ბატონ შევარდნაძის გაბედული მხარდაჭერა. და ეს მაშინ, როცა რუსეთში არსებობდნენ ოპოზიციური ძალები, რომლებსაც სურდათ რუსეთ-ერაყის ისტორიული კავშირის შენარჩუნება. კუვეიტში (რომელიც, მართლაც ერაყის ერთ-ერთ პროვინციას წარმოადგენდა! — ჯ.დ.) ერაყის შეჭრისას შევარდნაძემ ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის თანამშრომლობის სულისკვეთების დამყარებას. ამით, ერთი მხრივ, ფაქტობრივად, აიძულა გორბაჩოვი, ემოქმედა, ხოლო მეორე მხრივ, აჯობა უშიშროების საკითხებზე მომუშავე ბიუროკრატებს (ხომ საინტერესოა, რა ჯადოქრობას ფლობდა შევარდნაძე, რომ აიძულა საბჭოთა კავშირის მთლად უფროსი გორბაჩოვი და უშიშროების მთელი უფროსობა, ქედი მოეხარათ მის წინაშე? განა ეს თვალნათლივ არ მეტყველებს, რომ მთელ ევროამერიკას საბჭოთა კავშირის უმაღლეს ეშელონებში მრავალი მომხრე და აგენტი ჰყავდა? — ჯ.დ.).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შევარდნაძემ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკავებისთანავე უარყო აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობისადმი ნეგატიური მიდგომა, რომელიც ახასიათებდა მის წინამორბედს, ანდრია გრომიკოს. ყოფილ სახელმწიფო მდივნებს ჯორჯ შულცსა და ჯეიმს ბეიკერს არაერთხელ დაუწერიათ ვრცლად შევარდნაძის შესახებ, აღუნიშნავთ მისი დამსახურება „ცივი ომის“ დასრულებაში. მაგალითად, საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ჯეკ

gagrZeleba. dasawyisi ix. `saerTo gazeTi~ #14–44



მეტლოკი 1997 წლის 25 სექტემბრის „ნიუიორკის წიგნების მიმოხილვაში“ წერდა: „გორბაჩოვს ნაკლებად გამჭრიახი და გამბედავი საგარეო საქმეთა მინისტრი რომ ჰყოლოდა, ძალზე საეჭვოა „ცივი ომი“ ისე სწრაფად და საბოლოოდ დასრულებულიყო, როგორც დასრულდა“.

1990 წელს, ედუარდ შევარდნაძე, როგორც თავადვე აღნიშნა, რუსეთში მოახლოებული სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობიდან გადადგა და მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა (ისე შენ იარე ამ სიმართლით, პატივცემულო ამერიკის სენატო! — ჯ.დ.). მისი ქვეყანა იმ დროს უმძიმეს ყოფაში იყო, სრულიად დაბეჩავებული ეკონომიკით, რაც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა (უზომოდ ცრუობს სენატორი რობერტ ჰერდი და აქედან გამომდინარე, მთელი სენატი. საქართველოს ეკონომიკის გაჩანაგება საბჭოთა კავშირის დაშლას არ მოჰყოლია! როცა საბჭოეთი დაიშალა, პირიქით — მთელი ქონება, რაც საქართველოს იმ დროს გააჩნდა, ჩვენ დაგვრჩა. ბოდიშის მოხდით გაგახსენებთ, რომ 1991 წელს, პირადად მე ვმუშაობდი თბილისთან სულ ახლოს მდებარე კასპის რაიონის პრეფექტად ანუ პირველ კაცად, ანუ უფროსად, ან მმართველად და რანაირად მაყრის ნაცარს თვალებში, რანაირად მატყუებს რობერტ ჰერდი — გაჩანაგებული იყავით უკვეო? სიმართლე თუ გსურთ, ასეა: საქართველოში დარჩენილი სიმდიდრე იყო უპირველესი შეშფოთების საგანი თვითონ ევროამერიკელთათვის, სწორედ რომ შევარდნაძის მეოხებით, სპეციალურად გააჩანაგეს მთელი საქართველოს ეკონომიკა, რომ შემდგომ, წელში გატეხილი ქართველობა ადვილად მართვადი შექმნილიყო! იმ გასაჭირში, იმ 1990-1991 წლებში ევროამერიკა არათუ დაგვეხმარა, პირიქით, თითზე თითი არ დაუკარებია, რომ უბედურებაში ჩავარდნილ ქვეყანას დახმარებოდა. აი, შევარდნაძეს და შემდგომ სააკაშვილს კი მილიარდობით დახმარებას უწევენ... ასე იყო მათი გეგმებისთვის საჭირო და ჩვენ, ქართველებმა ჩინებულად ვიცით, სად არის სიმართლე... იმასაც დავამატებ, რომ — არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის დროს, ამ დიდი დემოკრატების და პროჟექტორ-შუქურების მმართველობისას, კითხვაც კი არ დასმულა, -სად გაქრა, ვინ შეჭამა ის ავლა-დიდება, ის ქონება, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დარჩა საქართველოში! — ჯ.დ.). ქვეყანაში დამანგრეველი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა (აქაც ცრუობს ამერიკელი სენატორი რობერტ ჰერდი! 1991-1992 წლებში საქართველოში არავითარი სამოქალაქო ომი არ ყოფილა. რამდენჯერ უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში შევარდნაძის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და მოხდა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება ანუ კანონიერად არჩეული ხელისუფლება დაამხო კრიმინალურმა ხუნტამ, რაც, სხვათა შორის, თვით შევარდნაძის დროსვე ნახევრად კნავილით აღიარა პარლამენტმა! რატომ უსწორებენ კუდს შევარდნაძეს მაინც და მაინც ევროამერიკელები? უჰ! ეს ხომ ნათელია! იგი თავიანთი კაცია! თავიანთი დაქირავებული აგენტია, რომელმაც ხუთიანზე შეასრულა ყველა მითითება! — ჯ.დ.). შევარდნაძე ჩაება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში (კი არ ჩაება, იარაღით



შეიჭრა. — ჯ.დ.) 1995 წლის ნოემბერში ამომრჩეველთა ხმების 75 პროცენტის უმრავლესობით (და საშინელი გაყალბებული არჩევნებით! — ჯ.დ.) ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს (კი არ ავირჩიეთ, არამედ თავზე ძალით დაგვასვეს სწორედაც იმ ხალხმა, ვინც მის სადღეგრძელოებს სვამს უსასრულოდ და ვინც მას დაბადების დღეებზე ხოტბას აღავლენს! — ჯ.დ.). ამასთანავე, იგი ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია. შევარდნაძემ ხალხს (რომელ ხალხს? ქართველ ხალხს თუ ამერიკელ ხალხს? ! ჯ.დ.) იმედი ჩაუსახა, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები მოუტანა (ანგრიეს იმიტომ, რომ მერე აეშენებინათ, მაგრამ აღარ ააშენეს და ნანგრევებში ჩაგვტოვეს! — ჯ.დ.). მიღებულია ახალი კონსტიტუცია. შევარდნაძემ უზრუნველყო კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების საკითხი, საქართველოს გავლით გადაწყვეტილიყო და შეთანხმების მისაღწევად მოლაპარაკება გამართა.

შეერთებულ შტატებში საქართველოს ამჟამინდელი ელჩი, პატივცემული თედო ჯაფარიძე, ჩემს სახელზე გამოგზავნილ წერილში აღნიშნავს პრეზიდენტ შევარდნაძის მიზნებს: „იგი თავდადებით, აგურ-აგურ აშენებს საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოს“ (სირცხვილია ბატონო თედო, ჯერ რანაირი ქართულია „საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს“ აშენება და მეორეც — ღმერთის აღარ გეშინია ამგვარი სიცრუისათვის? შევარდნაძემ რა დემოკრატია უნდა ააშენოს „აგურ-აგურ“, როდესაც მან, პირიქით, ქვა-ქვაზე აღარ დატოვა ჩვენს ქვეყანაში! — ჯ.დ.).

ედუარდ შევარდნაძე ის პიროვნებაა, რომელმაც ჩვენი ეპოქა შეცვალა და კვლავაც შეცვლის მას (ღმერთო დაგვიფარე არა მხოლოდ შევარდნაძის მიერ შეცვლილი ეპოქისაგან, არამედ სენატორ რობერტ ჰერდისგანაც და მათი საქმისაგანაც! — ჯ.დ.). შევარდნაძეს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს შეერთებულ შტატებში. მათ რიცხვს მეც მივკუთვნები (ღმერთმა მოგცეთ ერთმანეთი! არ დაკარგოთ ერთმანეთი! გადაეხვიეთ ერთმანეთს უსასრულოდ! ჩაეკონეთ, ჰკოცნეთ ერთმანეთი! თქვენი გიჟმაჟური სიყვარულით გაგიმარჯოთ, ოღონდ ამერიკაში და არა საქართველოში. —ჯ.დ.). ვუსურვებ მას შემდგომ წარმატებებს დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით!“

არ მსურს, ვინმემ იფიქროს, ეს ჯემალ დავლიანიძე ყველა ევროპელს და ამერიკელს ერთნაირად უცქერს, ყველა რობერტ ჰერდის მსგავსი ჰგონიაო!

არა, ბატონებო! როგორ გეკადრებათ. უზომოდ მიყვარს ჩარლი ჩაპლინი, მაგრამ ვერვინ დამაძალებს მიყვარდეს მაგალითად — ჯემალ აჯიაშვილი, რომელიც შევარდნაძის დროს განისვენებდა პარლამენტში და კანონიერი ხელისუფლების (იმ ხელისუფლების, რომლის ერთ-ერთი წევრიც მე გახლდით!) დაუძინებელ მტერს წარმოადგენდა.

შევარდნაძემ იმდენი უბედურება დაატეხა საქართველოს, ხალხში უკვე აღიძრა კითხვაც: ნუთუ ნამდვილ ქართველ კაცს შეუძლია ამდენი საშინელება და სიმწარე მოუტანოს საკუთარ ერსო და გაჩნდა ეჭვიც, რომ შევარდნაძე წარმოშობით სხვა ჯიშია, სხვა ეროვნებისაა და სხვა სისხლისაა.

როცა იგი ჩამოათესლეს საქართველოში (1992 წ. 7 მარტს) მას თითქმის უკლებლივ მიეგება არაქართველობა და სწორედ აქ იყვირა მსოფლიო ტოლერანტობის დიდმა თაიგულმა შევარდნაძემ: „მე მოვიწონე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“-ო.

მე მსურს განვაცხადო: სულაც არ მინდა ვინმე განვსაჯო და ვამტკიცო — ეს ცუდია თუ კარგია! უბრალოდ, ფაქტების კონსტატაციას ვახდენ. რაც იყო, იმას მოგითხრობთ... მე მსურს, ჩემს ქვეყანაში სხვა ეროვნების ადამიანზე უარესად არ ვიცხოვრო! მე არ მსურს, ჩემს ქვეყანაში ვიყო დევნილი და უცხო ჯილაგი კი ჩემს ხარჯზე თუ გაჭირვებაზე ჰხარობდეს!

რაო, ბატონებო, ნაციონალისტად მიმიჩნიეთ უკვე? იქნებ ანტისემიტიზმში დამდეთ ბრალი?

მაშინ გამეცით პასუხი:

— რას მერჩოდა 1999 წელს ამერიკის კონგრესი, რომელმაც ჩემთვის, ქართველი მწერლისთვის, მოიცალა და საერთაშორისო ტერორისტად გამოამაცხადა?

გიკვირთ?

საიდანო?

როგორაო?

ჩავხედოთ 1999 წლის გაზეთ „ახალ თაობაში“ (№119) დაბეჭდილ წერილს, რომლის ავტორია ჟურნალისტი გულიკო ბალაძე. სათაური ასეთია: „ზვიადისტების საერთაშორისო ტერორისტთა სიაში შეყვანა, არამართებულია“.

დიახ, ბატონებო, ამხელა ქვეყანამ, ამხელა იმპერიამ, უდიდესი დემოკრატიის მთესველი ქვეყნის, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა, მოიცალა ჩვენთვის, ზვიად გამსახურდიას მომხრეებისათვის და ირანელ, პალესტინელ თუ ქურთ ტერორისტთა შორის დაგვასახელა! თავად ეს ფაქტი კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვს, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ტერორისტულ სახელმწიფოებად მოხსენიება, გარკვეულ მიზნებს ემსახურება და საქმე არც მთლად ისეა, როგორც ევროამერიკელებს სურთ!

ისმის კითხვა:

რატომ?

რა საფუძველია და ზვიადის მომხრეთა რომელი ორგანიზაციის გამო მოხდა ამგვარი რამ?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**ავტორისაგან:**

წარმოდგენილი წერილის პუბლიკაცია რამდენიმე მიზეზის გამო მივიჩნიე საჭიროდ: — პირველი ის, რომ ერის სულიერი უკვდავება თუ მართლაც ხსოვნის გენეტიკურ უწყვეტობაშია საძებარი, გამოდის, ხვალინდელმა დღემ უნდა იცოდეს, რით სუნთქავდა მისი წინამორბედი და გამტარის ფუნქცია ამ შემთხვევაში დღევანდელმა უნდა შეასრულოს;

— მეორე მიზეზი ჩემივე სკეპტიციზმი, გნებავთ, პოლიტიკური უმეცრებაა: წერილში დასახელებულ ადამიანებს ვერაფრით ვაკავშირებ ქვეყნის წინსვლა-განვითარების სამომავლო პერსპექტივებთან და ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარების ამჟამინდელი პროცესიც ისევ მათეული თითლიბაზობა, შავი იუმორი მგონია. იმას რა აჯობებს, თუ თხა და მგელი ერთ მინდორზე მოძოვენ, მაგრამ ბალახის მჭამელი მგელი ძნელად წარმომიდგენია, მით უფრო, როცა "ბაბრების" ხროვაზეა საუბარი და ის, რაც ყოფილმა ხელისუფლებამ "ოპოზიცი-აში გადასვლად" მონათლა, იატაკქვეშეთში საბოტაჟისთვის პარტიზანულ გადასვლას უფრო მაგონებს.

— წერილის გამოქვეყნების მესამე და მთავარი მიზეზი სისხლმდინარეა, რომ-ელიც "ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს", მაგრამ დღემდე ვერ უპოვია. სანდრო გირგვლიანის საქმეს ვგულისხმობ: ეს ახალგაზრდა კაცი ყოველი თვის 27 რიცხვში ძალაუნებურად მახსენდება, თუმცა მისი შემზარავი მკვლელობიდან, აგერ უკვე ექვს წელზე მეტია გასული. ამ ხნის მანძილზე, სულ მინდოდა მეკითხა იმ საბედისწერო სუფრის წევრი ქალებისთვის, საიდანაც ეს ტრაგედია დაიწყო:

— დედაკაცებო, თქვენ შვილები გყავთ?!

თაკო სალაყაიას რომ ჰყავს, ვიცი; ერთი სანდროს შემდეგაც გააჩინა და ამით პირში ჩალა გამოავლო მერაბიშვილის თავგადაკლულ ფანებს, რომ ირწმუნებოდნენ, მეტი რა ექნა, მას შემდეგ ცოლს გაეყარაო! არც გაყრია და მათი ოჯახისთვის ბუზიც არავის აუფრენია, მეტიც, ხელისუფლების "ხერხემლად" მიჩნეულმა მერაბიშვილმა ბოლოს პრემიერობასაც "გამოჰკრა ხელი". თუმცა, ეს ის კაცია, ვინც რეპრესიების უმძიმესი წლები მოგვიტრიალა, ვისი დიდი "დამსა-ხურებაცაა" ევროპაში პირველები რომ ვართ პატიმართა რაოდენობით და დემო-კრატიის მომლოდინენი, ერთბაშად პოლიციურ სახელმწიფოში აღმოვჩნდით, რომლის ძირითად ფუნქციას არსებული კრიმინალური რეჟიმის უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. ამ მრუმე ფონზე, არნახულად გაიფურჩქნა ნაცების დემონკრატია, სადაც კანონი თავად სააკაშვილია, ვისაც პრეზიდენტს ველარ უწოდებ, — ბანდის ატამანია, ულირსებო და უზნეო, ბოროტი კაცი და როგორც ლათინები იტყოდნენ "აბის სუს ა ბისსუმ" (უფსკრული იზიდავს უფსკრულს) — ბანდაშიც თავისნაირ სულჩაბნელებულ არსებებს მოუყარა თავი. მიმოვიხედოთ: სადღა იყო ჩვეული ქართული ღიმილი, სილაღე, გულგახსნილობა? შიში სუფევდა ყველგან, ყველასი და ყველაფრის! დიახ, უჩვეულო სიჩუმე საპატიმროებში (სკოლებშიც!!), უბანში... "მკვდრულს" რომ უწოდებენ ოდითგანვე და არც თუ უმიზეზოდ: გამოუხატავი, ჩაბრუნებული ემოცია ორგანიზმს ანგრევს და შედეგით გენოციდს უტოლდება. ქვეყანა დაღალა, გამოფიტა ზემდგომთა თავაშვებულობამ, უმადურობამ, ცინიზმმა, უვიცობამ, სიძულვილმა, შერჩევითმა სამართალმა, ცრუპენტელობამ, ოპონენტებისთვის მტრის იარლიყის მიწებებამ; ხელისუფალთ წესად გაიხადეს უაპელაციო ძარცვა, ცილისწამება, ბეზღობა, ჩაშვება, მოსმენა, იარაღის, ნარკოტიკის ჩადება; თესავდნენ ნიჰილიზმს, უიმედობას, ხალხი ქვეყნიდან გააქციეს და ბანდაშიც სიხარულით ჭყლოპინებდნენ: ერის მენტალობას ვცვლითო! თუმცა, არა მგონია, არ სცოდნოდათ, რომ შიშზე და უსამართლობაზე დაფუძნებული ნებისმიერი რეჟიმი უდღეურია, ვინაიდან, თავად ეს ორი ძალაა მშობელი ბევრად სასტიკი მხეცის — შურისძიებისა. არა და არ იყო საქართველო იმის ღირსი, რომ ამ ბოროტი სტიქიების სათარეშო ასპარეზად ქცეულიყო!.. ასე დაიწყეს ბოლშევიკებმაც და თავისავე ამოქმედებული რეპრესიული მანქანის შეჩერება ბოლოს თვით სტალინსაც აღარ შეეძლო; დაიმალეო! შალვა ნუცუბიძისთვის ურჩევია და ვინ იცის, მისი მკაცრად ასკეტური ცხოვრების წესი, იმ დაღვრილი სისხლის გამოსასყიდი ერთგვარი თვითგვემაც კი ყოფილიყო.

თუ შესწრებიხართ, როგორ იქცევა დაბმული ქოფაკი, როცა ვინმე ნაძირალა ჯოხს სადისტურად უჩიჩხინებს და ახელებს. უკვე კი არ ყეფს, ხავის, ტირის და სიმწრისგან სხეულს იჭამს. ვაი, იმ მწვალებელს, თუ აშვებული სადმე გადაეყა-რა!.. ამ გარეწრებსაც ასეთ დღეში ვყავდით ქართველები, ერთმანეთს (საკუთარ სხეულს!) გვაჭმევინებდნენ და როგორც ნათქვამია — "კბილი — კბილის წილო" — გამძვინვარებული ხალხისგანაც ნურაფერი გაუკვირდებათ.

მგონი, ამას უკვე თავადაც ხვდებიან და მტერს არ ვუსურვებ ამ ყოველივეს შემოქმედის — სააკაშვილის კოშმარულ ღამეებსაც!.. ამ დროს მის სამყაროში შურისძიების ფურიები ილვიძებენ და მიცვალებულები ცოცხლდებიან (19 წლის ბუტა რობაქიძეს სიმწრისგან მოფხოჭნილი ასფალტი აქვს სისხლიან ფრჩხილე-ბში ჩარჩენილი); ამიტომაა, სააკაშვილი შლეგიანივით რომ დარბის ღამ-ღამობით. საიდან ვიცი? მე კი არა, მთელმა ქვეყანამ იცის, ცოდვებით დამძიმებული რომაა, უძილობით გატანჯული და ეგებ ხალისითაც დაეტოვებინა პოსტი, სისხლიანი ბიოგრაფიის თანამონაწილე "ყონაღების" ტყვე რომ არ იყოს, დაფხავებულ სამიზნესავით რომ იფარებენ და საკუთარი ტყავის გადასარჩენად, ბოლომდე ბრძოლას აიძულებენ. თუმცა, ურიგო არ იქნებოდა, იქვე ჩაუშესკუ და მუბარაქიც ახსენდებოდეთ, რომ არაფერი ვთქვათ ყადაფის ამაზრზენ აღსასრულზე, როცა გამხეცებული მეამბოხეები ცოცხალ კაცს გაწაფული ყასბებივით დასტრიალე-ბდნენ — ღირს სკამი ამად?! დააფასოს სააკაშვილმა ჩვენი ერის მიმტევებლობის უნარი, შეეშვას ხალხის მოთმინების გამოცდის სახიფათო ექსპერიმენტებს და ვიდრე კიდევ დროა, მშვიდობიანად, ცივილიზებულად (კაცურად!) წავიდეს, რომ მან და მისმა ბანდამ თუნდაც საერთაშორისო მართლმსაჯულება აირიდონ, როცა უკვე არც მათ მფარველებს დაეკითხება ვინმე და არც "ზვიანგს" ექნება ასარჩევად საქმე (ეს უცნაური სახელი სააკაშვილს ჩვენმა ოთხი წლის საბამ შეარქვა /ზვი-გენი და ნი-ანგი ერთდროულად/. ბავშვებს მისნური თვალი აქვთ; საბამ ამ კაცში არა მხოლოდ მტაცებლური, დამატებით რეპტილიის ცივსისხლი-ანი ბუნებაც დაინახა და მართლაც ნებისმიერი ფსიქოლოგი დაგვეთანხმება, რომ ესაა არსება სულიერების ნულოვანი ინდექსით).

# `zviangebis~ dasasruli



პირველ ოქტომბერს ქართველმა ხალხმა ავტორიტარული რეჟიმის არჩევნების გზით შეცვლის "მასტერკლასი" უჩვენა; თუმცა, იმის საილუსტრაციოდ, თუ რამდენად "მშვიდობიანად" მოხდა ოპონენტისთვის ხელისუფლების გადაბარება, იმჟამინდელი სიტუაცია ფრაგმენტულად გავიხსენოთ: საარჩევნო ტემპერატურის მატებასთან ერთად, ახალ ფაზაში გადავიდა ნაცების "ბრძოლა წესების გარეშე". გააქტიურდნენ "ხორცის ნაჭრები". ძველი ოღრაშები გაყალბების ახალ გზებს გაფაციცებით ეძებდნენ და უკვე "ოპოზიციონერ" კაციტაძის ხელით გამოიყვანეს სააკაშვილის "პარადოქსული მუდმივა": —"მოსახლეობა ცოტავდება, ამომრჩეველი ბევრდება". სააკაშვილმაც გაიძრო რეპტილიის ტყავი, ხალხზე მზრუნველი მამა-მარჩენლის მანტია მოისხა და აღმა-დაღმა შხუილით (''ღრუბელღრუბელ ფრენით'') საკუთარ თვითმფრინავებს ასწრებს. ეგაა, რომ აგრესია აშკარად სძალავს და ერთი სული აქვს "ზვიანგის" ტყავში შეძვრეს, ცხადია—გამარჯვებული! (ეს კაცი თამაშშიც ნიჭიერად ბაძავს სულიერ ტყუპისცალს, ლუციუს ნერონს, თუმცა არ ვისურვებდი, ცხოვრებაც მისი სიტყვებით დაესრულებინოს —"ოო, რა მსახიობი ვიღუპები!"). რა კარგი იქნებოდა, მომხდარიყო სასწაული და "პილატეს სინედრიონის" ნაცვლად, ამ ერთხელ მაინც გვეხილა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აღჭურვილი ცესკო!.. მაგრამ, არაფერი მაგის მსგავსი. პიტალო ნაცი გამოდგა მისი თავკაცი ხარატიშვილიც; წვერი რომ გაპარსო, სწორედ ბახჩო ქობულოვი წარმოგიდგება. აქეთ — "ბუა" ზონდერები, იქით — არანაკლებ აგრესიული ადმინისტრაციული რესურსი თავის კოორდინატორებიანად და შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალთა ძლევამოსილი "არმადა" წინასაარჩევნოდ გაძარცულ "მეოცნებეებს" მომხრეების ტოტალური დაშინება-ძალმომრეობის ფონზე, სრული ეკიპირებით დაუპირისპირ-და. უბედურება სხვაცაა: "ხარი ხართან დააბიო..." სააკაშვილის ზნე წლების მანძილზე შხამიან შტამად გადაიზილა კოლექტიურ ცნობიერებაში. ქვეყნის რუქას დავხედოთ: ამ არსებამ ძირძველი ტერიტორიები დაგვიკარგა, ვეფხვის მოყვანილობის საქართველო უკვე თავწაცლილი და გულამოგლეჯილია; თუ ვადროვეთ, მუცელსაც აფთარივით გამოფატრავს, "ქვების გროვა იყოო" — მასზეც იტყვის და რაც დარჩა, მასაც კალიასავით შემოსეულ ასარბასარა უცხო ტომელებზე ჰაიჰარად გაასხვისებს; სააკაშვილმა ტერიტორიებთან ერთად, ქვეყნის უმთავრესი სასიცოცხლო არტერიებიც რუსებს ჩაუგდო ხელში; ამ დროს მისი ჯამილოკია ზომბირებული მონები რუსეთუმეობას ქველმოქმედ კაცს — ივანიშვილს აბრალებენ, ქვების სროლით უჭყივიან — "წადიო!" და მათ შემხედ-ვარეს უკვე აღარ მიკვირს, სტალინურ "გულაგებში" თურმე რატომ ბღაოდნენ დახვრეტის წინ — "დიდ სტალინს გაუმარჯოსო!" აი, ამ უმძიმეს სიტუაციაში, სასწაულებრივად იმარჯვა ქართველი ხალხის ისტორიულად ნაცადმა სიბრძნემ და მსოფლიოს სწორედ რომ ცივილიზებულობის "მასტერკლასი" უჩვენა.

... და ისევ გირგვლიანი...

რომ წარმოვიდგენ იანვრის იმ მჭახე, სუსხიან ღამეს, ტყეში თოვლზე დაგდებული, ყელგამოღადრული ახალგაზრდა კაცის შიშველ, ვამპირებისგან ნაჯიჯგნ სხეულს, — მზარავს!! უნებურად მახსენდება "მტერობის ვიზიონი" გენიოს ვაჟას ხილვებიდან: "ვისაც მტერობა მასწყურდეს..." დიდება უფლის ნებას: გირგვლია-ნის მკვლელობის შემკვეთებიც და შემსრულებლებიც გამჟღავნდნენ. საზოგადოების თვალის ასახვევად, ასე თუ ისე, შედგა სასამართლო პროცესიც...

როგორღაც ჯიბრიანად, გაბრაზებული სახით ჩამორბის სასამართლოს კიბე-ებზე იმ წყეული სუფრის წევრი ცნობილი ქალბატონი. ასოციაციურად ბავშვ-ობისდროინდელი სურათი მიცოცხლდება: მოკუნტრუშებს მეზობლის ჯიქანდა-ბერილი, ალქაჯებთან ნაჭინკარი თხა და განაწყენებული ტლინკებს ყრის: — როგორ გაუბედეს და ბოსტანში გადაძრომისთვის წკეპლა უცხუნეს!..

არ ვიცი, სანდროს ნანახი ჰყავდა თუ არა პოდიუმზე დიაცივით თეძოგაქნეული, ცისფერმძივიანი გურამ დონაძე, მაგრამ, ნაღდი კაცები არაკაცებს გუმანითაც ცნობენ, მით უფრო, ჯალათის უმძიმესი, ბნელი ენერგეტიკით მოცულს.

რა მშვიდი, ვალმოხდილი სახეებით ისხდნენ (მეტიც—იცინოდნენ!!) სასამართლო პროცესად სახელდებულ გულისამრევ ფარსზე სისხლიანი მსხვერპლშეწირვის მუტანტი აღმსრულებლები, პრეზიდენტისგან შეწყალებულები, ქოსმანი ღორებივით ნაკვებ-ნასუქი რომ გამოვიდნენ იმ ციხიდან, ნაწამებ-ნაშიმშილარი პატიმრების ჩონჩხადქცეული ცხედრები რომ გამოაქვთ ყოველდღე!..

... და ცხადად ჩამესმის ჩახლეჩილი ხმით გულიდან ამონახეთქი:

—"როცა ყველაზე ბედნიერი ვიყავი, მაშინ მომკლეს, ხალხო!!!.."

ბოლომდე ვერ შეძლო ბრძოლა. აქ, ამ უმადურ, სასტიკ წუთისოფელში აღარ-აფერი ესაქმებოდა და "ლამაზად შვილის გამზრდელი" ლამაზადვე წავიდა (თუ გაამგზავრეს!)უთავის ერთასთან. "პასუხისმგებლობას ვიღებო!" — მერაბიშვილმა. ასეთ საქმეებზე "პასუხისმგებლობის ამღებები" მე გისოსებს მიღმა ვიცი. — შ ე ნ, მკითხველო?.. არადა, აქ პირიქითაა: ლამის მთელი ერი ვართ უდანაშაულოდ — მისივე ტერმინოლოგიით —"მიჩმორებული" და ბიძინა რომ არ შემოგვსწრებოდა, ალბათ ასე გაგრძელდებოდა უკუნითი-უკუნისამდე!..

ევროსასამართლოში იმსჯელეს გირგვლიანის საქმეზე და გარკვეულ ნაწილ-ში აშკარად გამოიკვეთა ქვეყნის მაღალჩინოსანთა საეჭვო ტენდენციურობა, მიიჩნიეს, რომ ხელახალი გამოძიება უნდა ჩატარდეს. ხელისუფლება კი "უცილობლობს ვითა ჯორი". იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე თინა ბურჯალიანი სიხარულს ვერ მალავს: "დანაშაულში სახელმწიფოს მონაწილეობა გამოირიცხა და საქმე ამით დამთავრდაო!" ... საიდან, ეს უგულო ქალები, ბურჯალიანის, ვინმე გაბიანის, ხერხეულიძის, ოჩიაურის, თუთბერიძის, ზღულაძის, ჩიორას, ბოკერიას ცოლის მსგავსნი?! ამ უკანასკნელის სიტყვებია და კომენტარსაც არ საჭიროებს: "26 მაისს აღლუმზე მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ სისხლით მორწყულ რუსთაველზე ვმდგარიყავიო". ("რაც ალხანა, ის ჩალხანაო"— ასეთ ცოლქმრულ წყვილზეა ნათქვამი).

აქვე, სანდრა რულოვსის ნათქვამიც გამახსენდა, დანიურ ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილს სიძლიერით სტალინ-ბერიას რომ ადარებს და ამბობს: "პასუხისმგებლობის გრძნობა აქ უაღრესად ნაკლებია ... ამ ქვეყანას



იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.com
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ძლიერი ხელი სჭირდება და ... ჩემი ქმარი ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს უნდა ე შ ი ნ ო დ ე ს ო".

მართლაც, რა მიამიტები ვართ ქართველები!.. ამ ქალბატონს როგორ ვეფერებ-ით, ვანებივრებთ, ვაქებთ და აი, თურმე რას ფიქრობს ჩვენზე!.. არადა, ისტორიულად ყოველთვის სხვაგვარად ხდებოდა: როგორი ურჯუკიც არ უნდა ყოფილიყო ჩვენი მონარქი, დედოფლები გულმოწყალებით, სათნოებით გამოირჩეოდნენ; რულოვსის ადგილზე გირგვლიანებთან სამძიმარზეც მივიდოდნენ და ქმარსაც შემოსწყრე-ბოდნენ: "რატომ ეუბნები უბედურ დედას: ნუ დაწანწალებ, შინ დაჯექი და შვილი იგლოვეო!.." ეს ქალბატონი ირინასი არა და საუკუნის თაღლითის —"რუსუდან ცბიერის" /კერვალიშვილის/ გვერდით კი დაგვინახავს, ათასობით მენაშენე რომ გაღლიტა და უსახლკაროდ დატოვა.

მაინც, რას გვითვლის "უპასუხისმგებლობად" ნაინანატრი რძალი: საპ- როტესტო მიტინგებზე დასიცხული ცხვრებივით რომ ვდგავართ თვეობით და "ხი-დან ერთ ფოთოლსაც არ ვაგდებთ?!" გაიხსენოს: იქვე (თავისუფლების მოედანზე) სააკაშვილის უზარმაზარი პორტრეტიც ხელუხლებლად რომ კიდებულა და არა შიშის ("ჩემი ქმრის ხალხს უნდა ეშინოდესო!..") არამედ ერის უდიდესი შინაგანი კულტურის გამო, რასაც დანახვა და დაფასება უნდა. უკულტურობა, ველურობა ისაა, მის ქმარს საცოდავი დევნილები ქვასროლია ზომბებად რომ უქცევია და ზონდერები მისი ბრძანებით (რაც ისტორიას არ ახსოვს!!), განურჩევლად ყველას: ქალებს, კაცებს, მოხუცებს, ბავშვებს, სნეულებს... მძულვარებით უბრაგუნებდნენ

ხელკეტებს, სასიკვდილოდ იმეტებდნენ, "ბადრის რაა?! ...იმას რაა?! ...ამას რაა?!" — უბინძურესი შეძახილებით უბილწავდნენ ადამიანებს ამქვეყნად ყველაზე წმინდას და საფიცარს — დედის კალთას! "ძლიერი ხელი" არა და ამას კაცთმოძულეობა, სადიზმი კი ჰქვია. ამიტომ იყო, რომ სააკაშვილი ხელისუფლების შენარჩუნებას "ნებისმიერ ფასად" აპირებდა და თავის ლაშქარს დემონური აღტკინებით სისხლის საღვრელად აქეზებდა: "პირველი ოქტომბერი მტრის ბოლო გაფართხალება იქნებაო!"

ყოველივე ამის შემდეგ, უკვე ქართველი ერის აბუჩად აგდებად ჩაითვლება სანდრა რულოვსის სიტყვები (მიმართა პედაგოგებს): "კარგი იქნება, თუ გააან-ალიზებთ იმ ს ი კ ე თ ე ს, რაც ჩემმა ქმარმა ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან თქვენ მიმართ ასე გ უ ლ უ ხ ვ ა დ გამოიჩინა და მხარს ისევ ჩვენ დაგვიჭერთო"... დიახ, ამ "სიკეთის" წყალობითაა, რომ მსოფლიოს მასშტაბით "უბედური ქვეყნების" სამეულში აღმოვჩნდით, ხოლო დედათა და ჩვილთა სიკვ-დილიანობით, — პირველები ევროპაში (ამ სფეროს თავად კურირებს?). სააკაშ-ვილმა ქვეყანას საშვილთაშვილო ვალებიც აჰკიდა და თურქ-არაბებს, ინდოელებს, ჩინელებს, ბურებს და ა. შ. თუ სამოთხედ მიართვა, ქართველებს ჩვენივე სამშობლო კოლონიურ ჯოჯოხეთად გვიქცია; უსახსროდ დარჩენილი, მშიერი ხალხი ნაგავში იქექება და იმავდროულად პრეზიდენტი ქველმოქმედებას კრძალავს! ამ "გულუხვ სიკეთეს" (გენოციდს) გვამადლის ქალბატონი?! ქართველები მართლაც ცხვრები ვგონივართ თუ ინფანტილური ევა ბრაუნივით, თავისი "ფიურერის" საქმიანობაზე ბაიბურში არ არის?

... ლევ ტოლსტოის "ჰაჯი მურატის" შექმნა თურმე ეტლგადავლილმა ეკალმა შთააგონა: მიწაზე გართხმული მცენარე ნელ-ნელა წამოიმართა და ისევ გასწო-რდაო; ამ პროცესში მწერალმა კავკასიელთა სული დაინახა, რომლის ნაწილი, ღვთის მადლით, ქართველებიც ვართ. ჩვენი ხალხებისთვის სიცოცხლე და თავისუფლება განუყოფელი ცნებებია და ქართველ ერსაც, არსებობის მანძილზე, თავისუფლების მეტი არაფერი უძებნია; ეს ლტოლვა უკვე ინსტინქტების დონეზე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი და წინ ვერაფერი დაუდგება.

მთაში იციან თქმა: "მდინარის წყალი ორ ქვას რომ გასცდება, უკვე დაწმენდი-ლიაო"... მინდა მჯეროდეს, რომ ქართულ გენს, იმ წყალივით, თვითწმენდის უნარი არ დაუკარგავს. უნდა—არ უნდა, სააკაშვილი მაინც წავა; ეროვნული ცნობიერების შემრყვნელი მთელი ეს უცხო, მღვრიე ნაკადი თან გაჰყვება და კოშმარული სიზმარივით დავივიწყებთ. დიახ, დღეს ქართული სული იმ გზისპირა ეკალივით გათელილი და მიწასთან გასწორებულია, მაგრამ, ზეაღსვლაც უკიდურესი ტკივილიდან, სირცხვილიდან უნდა დაიწყოს, რასაც შეიძლება პირობითად ასე ეწოდოს: — "გორის უსახელო "დიდ გორვიდან" — სახელოვანი "დიდგორისკენ!".

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პირველი ოქტომბრის გამარჯვებით, ამ ჯვარცმულ ქვეყანას საბოლოოდ აეხსნება "თავისუფლების ინსტიტუტში" ბოროტებისა და კაცთმოძულეობის დარგში წრთობაგავლილი ნაცშპანისგან თავსმოხვეული ჭირი და ჯადო, რის შემდეგ უკვე ახლებურად გაიბრწყინებს ქართული ნიჭი, წამოვა გამარჯვებები განათლებაში, სპორტში, მეცნიერებაში, დოვლათის შექმნაში, წინ წამოიწევს ტრადიციული ოჯახის პრიმატი, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტი, დაკოჟრილი ხელების პატივისცემა, ურთიერთთანაგრძნობა და სიყვარული, ანუ ის, რაც ოდითგანვე ასე ორგანული და სისხლხორცეული იყო ქართული ყოფიერებისათვის. დიახ, ნაციონალური გამყინვარებიდან, სოდომ-გომორიდან, ჩვენ ამ ჯანსაღ წ ა რ ს უ ლ შ ი დავბრუნდებით. თუმცა, მთავარი მაინც თავისუფალი ჰაერია, ვაიდემოკრატებისგან ამ წლებში ასე ულვთოდ, სულის ხუთვამდე გადაკეტილი, გაუსაძლისი ქვეყნისთვის და პირადად ამ სტრიქონების ავტორისთვისაც; თუმცა, ამაზე — სხვა დროს.

**მირონ ხერგიანი,**
მწერალი,
/რიგითი "პრობაციონერი"/

# ნანა ცინცაძე



## საქართველოს სიყვარული მტკივა

მახსენდება, რაც იყო და არის,
სიკეთის გზის ყველა კართან მივა,
მე მადლიერს ამ მზისა და მთვარის,
საქართველოს სიყვარული მტკივა!

საოცნებო მომავალი მიმზერს,
ხეს ფოთლები ისევ ისე ცვივა,
დღეს გაიგებ ჩემი სევდის მიზეზს, —
საქართველოს სიყვარული მტკივა!

გამოგიწვდი საფერებლად ხელებს,
და ეს ლოცვა ღვთისმშობელთან მივა,
ცხელი ცრემლი ფიქრებს
დაასველებს, —
საქართველოს სიყვარული მტკივა!

ჩემს ოცნებას ასრულებულს, მალე
გზაზე გავდებ სიყვარულის ხიდად,
ფსოუს წყალსაც ძველებურად
დავლევ,
და ამ მიწას ვადღეგრძელებ
მშვიდად!

ვერსად ნახავ სხვაგან ასეთ ფერებს,
ვარსკვლავები ცას ჩაკვრია მძივად,
შენზე ლოცვა ტკბილად დამაბერებს, —
საქართველოს სიყვარული მტკივა!

**2012 წელი**

## განაჩენი

გამოიტანეთ განაჩენი!
მე ვდგავარ თქვენს წინ,
ვით ჟანა დარკი, ორლეანის
ქალწული წმინდა.
ზეციდან შვებად მარიამის
სიტყვები მესმის:
ბრბო ვერ აგიტანს, შენ მეუფე
ქალღმერთად გქმნიდა...
იცით, რამდენი ქალის ტვირთი
ვატარე მარტომ?
ხან ცეზარს ვხვევდი ვნების ალში,
ხანაც — ურიელს,
სწორედ ამიტომ, სიცოცხლისას
არც ერთ წამს არ ვთმობ.
თქვენ... თქვენ რა იცით,
რამდენ მონარქს ტვინი ვურიე.
თქვენ... თქვენ რა იცით,
რა ძნელია მეფობა ქალის,
მარკიზას რატომ აქვს სურვილი
კურტიზანს ჰგავდეს
და თუკი მასაც შეეპარა
ფიქრებში ბზარი,
სიყვარულისთვის ხარკს გაიღებს,
ო... თანაც რამდენს.
გამოიტანეთ განაჩენი!
მე ვდგავარ თქვენს წინ,
ინკვიზიცია არ ჰკარგავდა
არასდროს ძალას.
მზის ნატეხს მაინც თან წავიღებ,
სიყვარულს ჩემს წილს,
რადგან ის ბიჭი ქვას ვერ მესვრის,
ცრემლებს რომ მალავს.

## მტრედი

იქნება ეს მტრედი საკენკთან
მოფრინდა
და უნდა აკენკოს სულის ნამცეცები...
მე მტრედის ფიქრების გაგება
მომინდა,
კლანჭებად ჩავჭიდე მძლავრი
საცეცები.
საბრალო... ისედაც გულივით პატარა,
ხელისგულს დაადნა როგორც
ფანტელები,
მერე, ხელისგული ეგონა ქანდარა
და ჩემი თითები უცხო ჰანტელები.
პიკასოს მტრედივით,
ფრანგული მანერით,
უნდოდა ერთ წამში თავბრუ დაეხვია,
გალია ავუგე ქართული ფანერით
და მტრედიც ფიქრებში
ისე გაეხვია,
რომ გადაავიწყდა სულიც,
ნამცეცებიც,
გალიის ჩიტობა მონობად ატარა...
მე რატომ შევკარი მძლავრი
საცეცებით?
რადგან სუსტი იყო და
ჩემზე პატარა.

**2010 წ.**

## კუზიანი სამყარო

რა ხდება, ინგრევა ქვეყანა,
კვდება კუზიანი სამყარო.
ჯეჯილში მოცელეს ეს ყანა,
სად ხარ კუდიანთა მაყარო!
მთვარეს გაებზარა გული და
მზეზე გაფერმკრთალდა ლაქები,
ცა როს გალაქტიკას უვლიდა,
ხომლი დაიფერფლა ნაქები.
პარნასზე ნისლიდან ვეშვები,
აქებენ უნიჭო „გენიას".
ლოჯებქვეშ დამალეს ეშვები,
აუ... რა მახინჯი გენი აქვთ.
ვხედავ, შეიცვალა არც არა,
დღეს მაინც ქვესკნელი ბოგინობს.
ჭრელი ცისარტყელა ნაცარა.
ჩამკვდარ ქარიშხალზე ლოგინობს.
მე ვინ ვარ? არ ვიცი, უფალო,
მაქვს კია ამ ქვეყნად ადგილი?
ბოგანოვ, შენც თავისუფალო,
ეს ყოფა არ არის, ადვილი,
ცოცხალი... მე —ამდენ გვამებში
გავყვირი — სამყარო ჩემია!
თუკი მიჯაჭვული ავეშვი,
იცოდეთ, ეს განაჩენია.

**2012**

## ბენეფისი

გარდაცვლილი იმედების სამეფოში,
მეფე ვარ და თავზე
მადგას გვირგვინი.
ვასაფლავებ სიხარულის აგონიას,
ცრემლით არა, ხარხარით
და სიცილით.
ასაფლავებს ხორცი სულს და
სული ტკივილს,
ვალად მაწევს მოგონება წარსულის.
არჩევანი გარდასულის დავიწყებას,
ბავშვობიდან დიდი დროა გასული.
ბედისწერას გავუმართე ბენეფისი,
მარტო დავრჩი ლამანჩელი ბიჭივით...
ვასაფლავებ სიხარულის აგონიას,
ცრემლით არა, ხარხარით და
სიცილით.

**2000 წ.**

## ქარაგმა

ახლა ყველაფერი დავთმე და
სულში გაჰკივიან მარშები.
მალე ხორცის მომკლავს დათმენა,
ცხელი სისხლისაგან დავშრები.
მახსოვს, ავდარს მოჰყვა დარები,
როცა შემასვენა აღმართმა,
როცა ერთურთს მოვწყდით
მთვრალები,
ჟამმა დრო ულმობლად აღმართა.
როცა სიყვარულის ძახილებს
უცებ დაერქმევა ქარაგმა,
ტანზე შემორჩენილ სამხილებს,
ვიცი, დრო ულმობლად ალაგმავს.
თუკი გავიფიქრებ — არ ღირდა
სული გამეყიდა ტიალი,
იქნება გრძნობების აღვირმა
უკუღმა დაიწყოს ტრიალი.
როდესაც ცეცხლივით ავიტან
ზეცამდე ტკივილს და გავქრები,
სიცოცხლეს მიკურთხებს თავიდან
ჩემს გზებს აყოლილი ამქრები
და თუ დრო ნამდვილად ალაგმავს
იმ მზერას, რომელიც დამახრჩობს,
ვნებას გამომაყრის ქარაგმად,
სისხლით დაფერილი ყაყაჩო.

**2012**

## ნატვრის ხე

რატომ მაჩუქე, შენი ნახატი?!
„ნატვრის ხე" იყოს,
თუნდაც „ვედრება",
ბედმა მრავალი ქალი დაღალა,
მე ახლაც მესმის მათი ვედრება.
დაღლილ ქალს ხშირად
ვარქმევთ საოცარს,
რადგან ღმერთისკენ გაურბის თვალი.
მან ვერ იცხოვრა თქვენი ცხოვრებით
და ამიტომაც დაადეთ ვალი.
ეგდო ჭაობში, თუ ამაღლებულს,
ზეცად ესმოდა ხმები მაცხოვრის,
მაინც ჩააცვით გიჟის პერანგი
და მიაგებეთ წილი მათხოვრის.
ნატვრის ხის ტოტებს
ზეცისკენ სწევდა,
ეცოდებოდა მისკენ დახრილი,
თუმცა ნატრობდა ნატვრის ახდენას
ქალი ოცნებით იყო დაღლილი,
რადგან ოცნებით იყო დაღლილი,
მიტომ მოაცვით გიჟის მანტია.
ნუ დაივიწყებთ, ის ხომ ყოველთვის,
მაინც ქალი და მაინც მარტია.

**1992 წ.**

## შეშლილი დღესასწაული

ისეთი ქარი ქრის, ისეთი წვიმაა,
ფიქრი ვერ ეწევა წასულს.
კარზე აკაკუნებს, ნეტავი ვინაა,
ნეტავ ვინ მახსენებს წარსულს.
თავიდან ბოლომდე ოცნებად ქცეული.
ცრემლით წვიმასავით სველი,
დგას მეფისტოფელი,
საბრალოდ ეული,
ჩემი სიყვარულის მკვლელი.
ღმერთო! შეცოდება მასწავლე
რაისთვის,
კარებს ვერ დავხურავ ვატყობ.
წვიმის მელოდია რექვიემს მაგონებს,
გრიგალმა გაგლიჯა კარი.
ჩემს წინ დაჩოქილი სატანა მაოცებს.
შემძრავს ქაშუეთის ზარი.
ისეთი ქარი ქრის, ისეთი წვიმაა,
სიყვარულს მავედრებს,
არ ვიცი ვინაა.

**15 ნოემბერს, 16 საათზე სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აწყობს შეხვედრას პოეტ ნანა ცინცაძესთან.**







# თავსატეხი

შვეულად: ამაჟი, ადელი, გუჟამა, დუბაი, ერატო, ზვინი, თეშქა, იმა-ჯი. იმედა, იუნგა, ქორსე, ტუჯრი, ჭარუა, ლრიკში, ცემზო, წაკვა, ჭანქი.

თარაზულად: ანკერი, აქვეა, ბალკა, გაზნა, იამბი, იუდა, ინტერი, კა-ფერ, ლანდი, მარგო, ნაიკი, ტალალი, საბჭე, ფორმა, ლონტუ, ჯაგუ, შალვა, ნა-წივა, ხუთუა, ჯაჭვი.

# სამიდან ერთი-ერთი

შვეულად: 1. ბახუსი, ტოლიბა, მუხიკა. 2. დომინო, ფენცა, პატიდა. 3. მანერა, მელანი, მუდაში. 4. ტალხი, ფონდი, კოჭრი. 5. ქანდა, გერბი, დებ-ეგ. 6. საუნა, ჩანია, ნაძვი. 11. ჩერჩილი, სოიუზლი, ბარტერი. 12. შპიგელი, კრონოსი, პლეზერი. 13. ქოთანი, ქედლა, რეზინი. 14. როულეტი, პარიზი, და მერა. 15. ხალიჩი, რონიკი, ბუკეტი. 16. კოლოსი, კურაგა, კიკინი.

თარაზულად: 3. პოზიტრონი, მაგაკონი, დედოფალი. 7. წარწერა, ბუ-ნება, გალინი. 8. ნიდერაძე, მაგალითი, ტიტიკაკა. 9. მიქელე, პერონი, ბუკე-ტი. 10. კონსოლი, რიინიში, გუდვილი. 13. მესერი, ჩიგილი, ჭალარა, 17. გრუნვუნი, ქეთინი, ტრაბახი. 18. კულიხი, ტაბირი, დომინო. 19. კრიკეტი, ტროტილი, პლოკაკა. 20. მეთანი, ლორიკა, სადილი. 21. კვერკი, ხრამული, ბიკიკი.

# შიფრვორდი

ა 6, ბ, გ, დ-, ე-29, ვ-, ზ-, თ, ი 8, კ, ლ, მ-, ნ-, ო-14, პ-, ჟ, რ 1, ს 3, ტ, უ 25, ფ-10, ქ, ღ-, ყ-23, შ, ჩ, ც, ძ, წ-, ჭ-, ხ-17, ჯ-, ჰ

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი* ***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ნაშვილები ბავშვი არის თუ არა თავისი ბილოგიური მშობლების მემკვიდრე?**

— შვილად აყვანის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნაშვილები კარგავს ქონებრივ / მაგალითად, ქონების მემკვიდრეობა/ და პირად არაქონებრივ უფლებებს / მაგალითად, საავტორო უფლება/ და თავისუფლდება მოვალეობებისაგან თავისი ბიოლოგიური მშობლისა / მშობლებისა/ და ნათესავების წინაშე.

აქ იგულისხმება, რომ ნაშვილები ბავშვი აღარ არის თავისი ბიოლოგიური მშობლებისა და ნათესავების კანონისმიერი მემკვიდრე. ნაშვილები ბავშვი შეიძლება იყოს მხოლოდ მათი ანდერძით მემკვიდრე.

* * *

**— მოსამართლეს დავუყენეთ აცილება, რაც მან არ დააკმაყოფილა. მაქვს თუ არა ამ განჩინების გასაჩივრების უფლება?**

— აცილების შუამდგომლობაზე უარის თქმის გასაჩივრების უფლებას განიჭებთ კანონი საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

* * *

**— რა შეადგენს პროცესის ხარჯებს სამოქალაქო სამართალწარმოების დროს?**

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისი 37-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები.



ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშების წესი და მათი ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სასამართლოსგარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, დაკარგული ხელფასი / განაცდური/, მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

* * *

**— როგორ უნდა განვსაზღვროთ დავის საგნის ოდენობა?**

— საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების რეალურ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე სადავო ქონების საბაზრო ღირებულების მიხედვით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ ერთ სარჩელში რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნაა ჩამოყალიბებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილი იქნა სარჩელი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას - საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები.

* * *

**— ვარ მოსარჩელე. მოპასუხემ შეიტანა შეგებებული სარჩელი. ვინაიდან, მოპასუხე არის დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან მონაცემთა ბაზაში, სასამართლომ იგი გაათავისუფლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. აქედან გამომდინარე, მათავისუფლებს თუ არა კანონი მეც სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან ან მექნება თუ არა რაიმე შეღავათი ამ მხრივ?**

— არა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, ერთი მხარის გათავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მეორე მხარის სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ მოახდენს.

* * *

**— შეიძლება თუ არა სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება ან მათი ოდენობის შემცირება?**

— სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

* * *

**— შეიძლება თუ არა, უვადო თავისუფლების აღკვეთა დაენიშნოს 18 წლის პირს?**

— შეიძლება, თუ ამ პირს 18 წელი შეუსრულდა დანაშაულის ჩადენამდე.

* * *

**— რა შემთხვევაში ნიშნავს სასამართლო კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქ სასჯელს?**

— საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია, დანიშნოს ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დაწესებული სასჯელის ზომის უდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება.

* * *

**— მოვიხადე პირობითი მსჯავრი. ვითვლები თუ არა ნასამართლევად?**

— გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ პირობით მსჯავრდებულს ნასამართლობა უქარწყლდება. აქედან გამომდინარე, თქვენ აღარ ითვლებით ნასამართლევად.

* * *

**— როგორია 108-მუხლის სანქცია?**

— სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი.

განზრახ მკვლელობა — ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან 15 წლამდე.

* * *

**— რას ნიშნავს დანაშაულის რეციდივი?**

— დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას.

# gamoxmaureba `saerTo gazeTSi~ gamoqveynebul statiaze `cxondeba Tu ara qurdis qurdi?!~

გარეკანზე სახასიათო ფოტოა, რომელზეც „დიდ მატყუარას“ — შევარდნაძეს კისერზე შემოუსვამს „ყრმა-უმართავი“ სააკაშვილი. 1992 წლის ივლისში „დიდმა მატყუარამ“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მოსახლეობას მიმართა: ვინც სახელმწიფო ბანკში, კერძოდ, კი „ახალ ქართულ ბანკში“ ივანე ჩხარტიშვილის სახელზე ფული შემოიტანა, გაისად ორმაგად ავუნაზღაურებთო!“

ერთი წლის შემდეგ კი არათუ გაორმაგებული, არამედ საერთოდ შეუწყვიტა მეანაბრეებს კუთვნილის დაბრუნება. ეს ფაქტი მოსახლეობის მიერ შეფასდა, როგორც საუკუნის დანაშაული.

თქვენმა მონა-მორჩილმა მშობლების გარდაცვალების შემდეგ მათი მოკრძალებული საქმიანობით შექმნილი და ანდერძით დატოვებული სამკვიდრო სახლ-კარი გავყიდე და მეორე დღეს, შევიტანე ფული სახელმწიფო ბანკში. ერთი წლით შემდგომი პერსპექტივის იმედით. ორი მცირეწლოვანი შვილით მაზლის ბინაში გადავედი დროებით. მეანაბრეთა პროტესტზე შევარდნაძის ტოტალიტარული რეჟიმი ცრუ დაპირებებს იძლეოდა. შეიქმნა მთავრობის კომისია, რომლის წევრადაც ახალგაზრდა სამართალდამცავი პოლიტიკოსი „ყრმა-უმართავიც“ შეიყვანა. უკვე იმიჯშექმნილი მაჟორიტარ დეპუტატად მის არჩევანს მეანაბრეთა უმრავლესობის მხარდაჭერამაც ხელი შეუწყო.



მთავარი დამნაშავე ამ საქმეში შევარდნაძეა, მაგრამ შემდგომ „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა პრეზიდენტმა თავის დროზე ბანკირი ჩხარტიშვილი დაადანაშაულა და შემდგომ კი საპარლამენტო კომისიამ ანაბრების საკითხზე ძიების ნაცვლად მისი უდანაშაულობა დაადგინა (საკითხის განხილვას პარლამენტში წარმართავდა რაულ მაღლაკელიძე). ფაქტია, გადახდის შემდეგ.

ცნობილია, რომ ყოფილი ეროვნული ბანკის თავმჯდომარე დემურ დვალიშვილი შეეწირა კრედიტების გაცემას და არსებული სარეგისტრაციო ჟურნალიც გაქრა. იმ ავადსახსენებელ წლებში ბევრ წინა პლანზე წამოწეულ პოლიტიკოსებსა და მათთან დაახლოებულ პირებს, შემდეგ კი ე.წ. ახალ ქართველებს და მათ კომპანიებს ბანკიდან გამოჰქონდათ კრედიტები და სწორედ ამ კრედიტების საფუძველზეა შექმნილი დღეს მომუშავე ბანკი და მსხვილი კომპანია.

მეპაიე-მეანაბრეები კი არათუ იგნორირებულნი არიან, არამედ მათი დანაზოგების მორალურ-ზნეობრივი სახეც კი საეჭვო გახადა.

გავიხსენოთ მათგან წამოსულ აზრთა მარგალიტები: მიხეილ სააკაშვილი: „პირველი მილიონის წარმოშობა ყველას ეპატიებაო“; მაია ნადირაძე: „საბჭოთა კავშირის დროს მხოლოდ გაზულუქებულებს და მდიდრებს უკანონოდ ჰქონოდათ ეს ფული და დანაშაულებრივი გზით მოიპოვებდაო!“ მიხეილ მაჭავარიანი: „ქვეყნის დამოუკიდებლობის მისაღწევად მსხვერპლი იყო საჭირო და მეანაბრეებმაც ასე ჩავთვალეთო. განა დამარცხებულებს სათანადო პატივით არ უნდა მოვეპყრათ?“ ეს ჩვენ, სოციალურად დაუცველებს და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფებს გვევალება მსხვერპლის გაღება, თქვენ?

ცხადია, ასეთი უმრავლესობის წევრებით დაკომპლექტებული პარლამენტი ვერ გამოიძიებდა საკითხს. სწორედ მათ დიდ ნაწილს არ აწყობდა კრედიტების გამტანების გამომზიურება. ანაბრების თემა კი ხანდაზმულობას არ ექვემდებარება. სამართლიანობა ის არის, რომ მიმთვისებლებს თუ არ დაიჭერენ, წაღებული ფული მაინც დააბრუნებინონ.

ჩვენდა საიმედოდ, არის მეორე მხარეც, რომელიც ცდილობს სამართლიანობის აღდგენას. ასეთი არის კობა დავითაშვილი, ასევე, გავიგეთ, რომ ჟურნალსტებს: ირმა ინაშვილსა და ია დანელიას მომზადებული ჰქონიათ დოკუმენტური ტრილოგია —„ძარცვა“, რომელიც საჭიროა ახალმა ტელეკომპანიებმა მაინც გაუშვან თავიანთ ეთერში. წლების წინ 120 მეანაბრის ნდობით აღჭურვილი პირის, დამსახურებული და სპეტაკი პიროვნების ემზარ გრიგოლიას შეუპოვრობამ საკონსტიტუციო სასამართლოში — ხელისუფლების მიერ ნორმატიული აქტის მიღების სამართლიანობაზე, მაშინდელი პრეზიდენტის წარმომადგენელი მაია კობახიძე) სამართალი ვერ ჰპოვა.

კვლავ ახალი სასამართლო ინსტანციების წარმოებამ და უიმედოდ ცდებმა შეარყია ჩვენი ჯანმრთელობა და ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანიდან რამდენიმე საათში შეიწირა გრიგოლიას სიცოცხლეც.

მაია ნადირაძის მსგავსებს უნდა ენახათ იქ მისული მეანაბრეებიდან რომელი იყო გაზულუქებული, როგორც იგი მათ დიდი ტრიბუნიდან უწოდებდა.

ჩვენს საქმეზე გამოტანილია ასეთი ფორმულირება — მოითმინეთ და დაელოდეთ, თქვენ გექნებათ ფული, რომელიც არც მოგეცემათ და არც დაგეკარგებათო. ამაზე კი „პოლიხრონიონ-პოლიხრონიონ!“ მახსენდება.

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს ჩვენი ინტერესების დამცველი მეანაბრეთა ლიგის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული იურისტი, აკადემიკოსი უშანგი დოიჯაშვილი, რომელმაც სტრასბურგის სასამართლოს საჩივარზე მიიღო მაშინდელი რეფერენტის და ახლანდელი იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანისაგან წერილი, რომ საჩივარი მიღებულია, საქმეს მიეკუთვნა ნომერი 26-94-06 და განიხილება შესაძლებლობისთანავე. ადვილი წარმოსადგენია ჩვენი მოლოდინი... ჩემს გამოხმაურებაში ბევრი გვარი მაქვს ნახსენები, რომლებიც ზოგი პირდაპირ და ზოგი ირიბად ჩართული და ჩახედული იყო ამ საკითხებში. განსაკუთრებულ იმედს გვაძლევს ახალ მთავრობაშიც მათი ყოფნა. ესენია: თეა წულუკიანი, მაია კობახიძე, კობა დავითაშვილი, ლადო სანიკიძე და სხვები. ახლა კი ხელისუფლებისგან ველით პოზიციის გამოხატვას და მოვითხოვთ, იქნებ მათ მაინც გამოიძიონ ანაბრების დატაცების საკითხი. კარგი იქნება, თუ კესარს კეისრისა მიეზღვება და მოტყუებულ მეანაბრეებს ეტაპობრივად მაინც მიეცემათ კუთვნილი ჩვენ, სოციალურად დაუცველებს, ინვალიდებს, პენსიონერებს, სიღატაკის ზღვარს მიღმა და აქეთ მყოფებსაც აგვიხდინონ ოცნება სამართლის აღდგენისა.

**ქეთევან კასრაძე,**
**9 აპრილს დაზარალებული,**
**მეორე ჯგუფის ინვალიდი,**
**საქართველოს რესპუბლიკის შრომის ვეტერანი,**
**უმაღლესი პედაგოგიური საქმიანობის 36 წლის უწყვეტი სტაჟით,**
**ამჟამად სოციალურად დაუცველი**

## როგორ გამოიყურებიან უცხოპლანეტელები

მეცნიერები, ასტრონომები და ბიოლოგები ცდილობენ შექმნან ზუსტი ასლი, როგორ გამოიყურებიან სხვა პლანეტებზე მაცხოვრებელი არსებები.

ასტრობიოლოგი დირკ შლიუზე-მაკუში ვაშინგტონის უნივერსიტეტიდან ამტკიცებს, რომ ყინულის სქელი ფენის ქვეშ, იუპიტერის თანამგზავრზე, შეიძლება არსებობდეს რთული პირამიდების ფორმის ნივთიერებები, რომლებიც სავსეა მიკრობებით, მათი სიგრძე 1 მილიმეტრია.

სვიტენ ბენერი ფლორიდის უნივერსიტეტის ბიოქიმიკოსი ამტკიცებს, რომ ვენერაზე შეიძლება არსებობდეს რამდენიმეუჯრედიანი არსებები, რომლებიც მხოლოდ გარემომცველ სამყაროს ეგუებიან.



სატურნის თანამგზავრზე შესაძლებელია გიგანტური ბაქტერიები ცოცხლობდნენ. მაგრამ იქ განვითარების პროცესები ძალიან ნელა მიმდინარეობს. და, შესაბამისად, სიცოცხლე ძალიან ნელა ვითარდება. რაც შეეხება ევოლუციის უფრო მაღალგანვითარებულ საფეხურს, რომლებთანაც რადიოკავშირია შესაძლებელი, მათი გარემოება ადამიანისას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუახლოვდება, თუ რომელიმე პლანეტაზე სიცოცხლის ისეთი პირობები იქნება, როგორიც დედამიწაზეა, მაგრამ ეს, მეცნიერთა მტკიცებით, გამორიცხულია. ასტრობიოლოგები ირწმუნებიან, რომ განვითარებული არსებები, დიდი ალბათობაა, მტაცებლები იყვნენ. მიუხედავად ამისა, მათ ისეთი ორგანოები შეიძლება ჰქონდეთ, რომ მათთან რადიოსიგნალებით დაკავშირება შეიძლებოდეს.

## მამაკაცებს ავი ქალები მოსწონთ?

პირველ რიგში, უნდა დაივიწყოთ, რომ თქვენ ყველაზე კარგი ხართ, არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ იდეალური მეორე ნახევარი ბრძანდებით. თქვენ არა ხართ ნახევარი!

ერთი სიტყვით, მამაკაცთა 93 პროცენტი თვლის, რომ ქალის დაფასებას იწყებენ მაშინ, როცა ის სულ უფრო და უფრო იშვიათად რეკავს და როცა შეხვედრას სთხოვთ, სულ უფრო მეტად იკავებს თავს. ასეთ შემთხვევაშიც კი ის მოულოდნელად კარგავს კონტროლს და საოცრად სექსუალური ხდება. გადის



დრო და ის (ქალი) სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულია მამაკაცზე.

თავისი სენსაციური დაკვირვების და დასკვნების შესახებ ამერიკელი მკვლევარი შერი არგოვი ჰყვება. როგორ უნდა მოიქცეს ქალი, რომ მუდმივად მამაკაცის ყურადღებას იმსახურებდეს? უნდა შეასრულოთ 100 პრინციპი, — ამბობს შერი არგოვი. თანამედროვე მამაკაცი ძველისგან მკვეთრად განსხვავდება, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ ის კვლავ რჩება მონადირედ და ქალს უყურებს, როგორც სანადირო ობიექტს.

პრინციპში, ნუ გამოიჩენთ თავს მაინცდამაინც დამოუკიდებლობით, ეს განიზიდავს მამაკაცს, მაგრამ თუკი არის თქვენში ისეთი რამ, რისი მიღებაც მას არ შეუძლია, ის პირდაპირ ჭკუიდან იშლება, სანამ საწადელს არ მიაღწევს და სასურველს არ მოიპოვებს.

მას შემდეგ, რაც ქალი დაიწყებს მიბაძვას და შედარებას მამაკაცის ყოფილ ქალთან, მისი „ფასი" მცირდება.

და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია — ქალბატონები სამყაროს მშვენიერებანი არიან. არ ღირს მამაკაცებზე ნერვიულობა, ვინც ვერ ხედავს — ბრმაა, ხოლო ბრმა ყოველთვის უფსკრულში იჩეხება.

## დაგვიანებული აღსარება

მე აღსარება მსურს გითხრათ ერთი,
ნეტავი ახლა მისმენდეს ღმერთი,
მაქვს უამრავი დანაშაული,
მინდა თუ არა, გვერდს ვერ ავუვლი.
უპირველესად ცოდვა მაქვს დედის,
აი, მიზეზი ცრემლის და სევდის,
ვერ მოვეფერე, როცა დაბერდა,
როცა მიცდიდა ღია სარკმელთან.
გათენებამდე ტანჯვით მელოდა,
ლოდინი გახდა მისი ხელობა,
ლოდინი გახდა დედის ხელობა.
მე სხვაგან ლაღი და სიტყვაუხვი,
დედასთან ვიყავ ძუნწი და უტყვი.
იშიშვილა და იტანჯა ჩემთვის,
გასამართლებლად, აბა, რა მეთქმის,
მაგრამ მე მაშინ ვერ ვგრძნობდი ამას,
ამასვე ვეტყვი დაღუპულ მამას.
მონანიება შორი გზით მოდის,
ყველაფრისათვის მოვიხდი ბოდიშს,
მაგრამ, ვაი, რომ არის გვიანი,
რა მწარედ ცდება ადამიანი...
და ამიტომაც მოგმართავთ ყოველს,
სანამ დრო არის, ეფერეთ მშობელს!
მაგრამ თუ უკვე ცოცხალი არ გყავთ,
იქ რომ დაადგეთ სხივი ნათელი,
ნუ დაიზარებთ, დედ-მამისათვის,
დაანთეთ თუნდაც ერთი სანთელი.
— გავძლიერდებით უფრო მეტადო!
— ვენდოთ პატრიარქს თუნდაც ამაში.
დაგვიბრუნდებენ ასჯერ მეტ სითბოს
შვილები, როცა შევალთ ასაკში.

მერაბ ბერაძე

## ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა და აღარ ვიკამათოთ ამაზე! (?)

დიდი ხანია „ეკამათებიან" ჩარლზ დარვინს და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ადამიანი მაიმუნისგან არ წარმოშობილა. ზოგი ამბობს, ადამიანი უცხო პლანეტიდან ჩამოსვლეს, ზოგი ამტკიცებს, ღმერთმა შექმნაო. მაგრამ ყველა ამ ჰიპოთეზას ერთი შეკითხვა აერთიანებს: რა საერთო არის მაშინ ადამიანსა და მაიმუნს შორის?

იუარში აღმოაჩინეს ჩვენი უძველესი წინაპრების ძვლები, რომლებიც „გარდამავალი პერიოდის" ადამიანს ეკუთვნის. ეს ძვლები პრინციპში, მაიმუნის უფროა, ვიდრე ადამიანის.

იოჰანესბურგელმა პროფესორმა ლი ბერგერმა შეადარა ერთმანეთს იუარში აღმოჩენილი ძვლები და სტერკფონტენში მის მიერ ნანახი ჩონჩხის ნაწილები. 1994 წელს სტერკფონტენში ავსტრალოპითეკის თითქმის სრული ჩონჩხი იპოვეს. ის 3,3, მლნ. წლის წინანდელი იყო.

როგორც ფილიპ ტობიასი ირწმუნება, ეს ზრდასრული ადამიანის კი არა, ბავშვის ჩონჩხია, რომელიც 2 მილიონი წლის წინ გარდაიცვალა.



ჩონჩხის ნაწილები, ხერხემალი, ფეხები, ხელები, ისეა მოწყობილი, რომ მისი მფლობელი სავარაუდოდ, ძალიან სწრაფად დადიოდა, შეეძლო დღევანდელი, ადამიანისგან განსხვავებით, ქვისგან გაეკეთებინა ნაჯახი, მოეპოვებინა საჭმელი და ტყავი შეესამოსელად.

მოამზადა ანა ბადაჭკორიამ

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.

**კურო** — ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.

**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

**კირჩხიბი** — ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**ლომი** — ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

**ქალწული** — გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.

**სასწორი** — თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა — იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.

**მორიელი** — ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

**მშვილდოსანი** — წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**თხის რქა** — ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.

**მერწყული** — წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.

**თევზები** — ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.

**ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:**

1.შარპეი. 2. ჩეჩნეთი. 3. ჩახრუხაძე. 4. ჩეპმენი. 5. ოაზისი. 6. თაკილი. 7. ორშიმო. 8. პოლკა. 9. კაროლი. 10. სისლეი. 11. ნახშირი. 12. ბეკჰემი. 13. დიაფრაგმა. 14. ხუბუა. 15. ბატიბუტი. 16. სინაი. 17. მუხლი. 18. ოფსეტი. 19. ფლაკონი. 20. ფიტი. 21. ჩოკინა. 22. ფიბა. 23. ბუხარი. 24. ალფე. 25. ბიგამია. 26. პადედე. 27. გრანიტი. 28. სონეტი. 29. გენეტიკა. 30. არაბიკა. 31. ჯოდი. 32. სირენა. 33. სიგი. 34. ნეფრიტი. 35. რობერტ. 36. უნიტაზი. 37. სარფი. 38. ონკანი. 39. გლობუსი. 40. ბუკი. 41. გიდელი. 42. ორაგული. 43. კობრა. 44. ოპერატორი. 45. ელზასი. 46. მეტიუზი. 47. ალექსანდრია. 48. ბრატისლავა. 49. ფრონტი. 50. ტემზა. 51. ფიგარო. 52. ისპანახი. 53. კუზენი. 54. კიფოზი. 55. ამულეტი. 56. სიროკო. 57. უმა. 58. კურო. 59. ზარი. 60. სირ. 61. ტროფეი. 62. კაბალა. 63. ედემი. 64. მონო. 65. ყრუ. 66. დეკა. 67. ხარო. 68. ჰუკი. 69. პორტრეტი. 70. შაორი.